

ვალიდა სესაძე , გელა ჭიკაძე

## მართვის ინჟინერიის საფუძვლები



“სტუ-ს IT კონსალტინგის ცენტრი”

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
გელაჭიკაძე, ვალიდა სესაძე

მართვის ინჟინერიის  
საფუძვლები



დამტკიცებულია:

სტუ-ს „კონსალტინგის სამეცნიერო  
ცენტრის“ სარედაქციო კოლეგიის  
მიერ

თბილისი

2021 წელი

მიძღვნა

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესორების :

# ალმასხან გუგუშვილისა და ალექსანდრე ედიბერიძის ნათელ ხსოვნას

ქვემდებარე სახელმძღვანელო მიძღვნილია მართვის ინჟინერიის საფუძვლების პროგრამულ საგანს. იგი შემუშავებულია ამ საგნის სილაბუსის მიხედვით. წიგნში გარდა მართვის ინჟინერიის საგნის თეორიული მასალისა უხვად არის მოყვანილი მაგალითები. სახელმძღვანელოში კომპიუტერული მოდელირების ინსტრუმენტებად გამოყენებულია გამოთვლითი მათემატიკის პროგრამა Matlab (Simulink) ასევე სიმბოლური მათემატიკის ენა Maple რომელსაც გააჩნია ძალიან მოხერხებული ინტერფეისი და გამოთვლებს ასრულებს სიმბოლური მათემატიკის სივრცეში. ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სტუდენტების, მაგისტრების და დოქტორანტებისათვის, აგრეთვე ყველა იმ დაინტერესებული პირისთვის რომლებიც აპირებენ მართვის ინჟინერიის საკითხების შესწავლას. გარდა ამისა ავტორები გეგმავენ ან მიმართულებით სხვა სახელმძღვანელოების შემუშავებას.

**რეცენზენტები:** პროფ. ქ.კოტრიკაძე

პროფ. გ. სურგულაძე

**რედკოლეგია:**

ა.ფრანგიშვილი (თავმჯდომარე), მ.ახობაძე, გ.გოგიჩაიშვილი, ზ.ბოსიკაშვილი, ე.თურქია, რ.კაკუბავა, თ.ლომინაძე, ნ.ლომინაძე, ვ.კვარაცხელია, ჰ.მელაძე, თ.ობაძე, გ.სურგულაძე(რედაქტორი), გ.ჩაჩანიძე, ა.ცინცაძე, ზ.წვერაიძე, ო.შონია

სტუ-ის „IT -კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი“, 2021

**ISBN 978-9941-8-3534-6**

Georgian Technical University

Valida Sesadze, Gela Chikadze

**Fundamentals of Management Engineering**



**“IT-Consulting scientific center” of GTU, 2021**

**ISBN 978-9941-8-3534-6**

The following guide is devoted to the programming subject of Fundamentals of Management Engineering. It is designed according to the syllabus of this subject. The book is rich in examples in addition to the theoretical material of the subject of management engineering. The textbook uses Matlab (Simulink), a computational mathematics program, as well as the symbolic mathematical language Maple, which has a very user-friendly interface and performs calculations in the symbolic mathematics space. This guide is intended for students, masters and doctoral students of the Faculty of Informatics and Management Systems, as well as for all those interested in studying management engineering issues. In addition, the authors plan to develop or guide other textbooks.

# სარჩევი

1. თავი 1. მართვის ძირითადი ცნებები და პრინციპები.....	12
1.1. მართვის ინჟინერიის შექმნის ისტორია.....	12
1.2. მართვის ძირითადი ცნებები და პრინციპები.....	14
1.3. ფუნქციური სქემები .....	15
1.4. ტიპური ფუნქციონალური სქემები.....	16
1.4.1. მართვის სისტემის ტიპური სქემა.....	16
1.4.2. მართვის სისტემაში (მს) მართული .....	
ცვლადის პრინციპი.....	16
1.4.3. მართვის სისტემის კომბინირებული.....	
რეგულირების პრინციპი.....	17
2. თავი 2. მართვის სისტემების კლასიფიკაცია.....	17
2.1. მართვის პრინციპები მართვის სისტემებში (მს).....	17
2.2. მართვის სისტემების კლასიფიკაცია.....	18
2.3. ინტელექტუალური მართვის სისტემები .....	19
2.4. ავტომატური მართვის სისტემების ბლოკსქემა. ფუნქციონა.....	
ლური ბლოკები. ძირითადი სტრუქტურული სქემა. მართ.....	
ვის ინფორმაციული ასპექტები.....	21
3. თავი 3. მართვის ტექნიკური სისტემების მაგალითები.....	23
3.1. მართვის ტექნიკური სისტემები.....	23
3.1.1. საფრენი აპარატების მართვის სისტემები.....	23
3.1.2. საფრენი აპარატების მართვის ავტომატიზებული სისტემა.....	23
3.1.3. საავტომობილო მოძრაობის მართვის სისტემები.....	30
3.1.4. მართვის სისტემები მეტალურგიულ,ქიმიურ და სხვა.....	
ტექნიკურ საწარმოებში .....	34
4. თავი 4. ბიოლოგიური მართვის სისტემების.....	
მაგალითები.....	37
4.1. მართვა ბიოლოგიურ სისტემებში.....	37
4.2. ბიოტექნიკური სისტემები,როგორც კვლევის ობიექტები.....	
ძირითადი განმარტებები .....	38
4.3. მართვა ეკონომიკურ სისტემებში.....	47
5. თავი 5. დინამიკური სისტემების მათემატიკური მოდელები.....	53
5.1. დინამიკური სისტემების მათემატიკური აღწერა დი-.....	
ფერენციალური განტოლებებით.....	53
5.2. თავმოყრილ-პარამეტრიანი დინამიკური სისტემები.....	54
5.3. დინამიკური მოდელების კლასიფიკაცია.....	56
5.4. მათემატიკური მოდელების სახეები.....	60
5.4.1. უინერციო მოდელები .....	60

5.4.2.	ინერციული მოდელები.....	61
5.4.3.	ვოლტერას ფუნქციონალური მწკრივები.....	62
5.4.4.	დინამიკური სისტემის აღწერა მდგომარეობის..... სივრცის მეთოდით.....	63
5.5.	გადაცემის ფუნქციები.....	63
<b>6.</b>	<b>თავი 6. მართვის სისტემების გრაფიკული წარმოდგენა.....</b>	<b>67</b>
6.1.	მართვის სისტემების მოდელები სტრუქტურული სქემის..... სახით.....	67
6.2.	სტრუქტურული სქემის გარდაქმნა (გამარტივება).....	71
6.3.	ზედღების (სუპერპოზიციის) პრინციპი.....	74
<b>7.</b>	<b>თავი 7. მართვის სისტემების მათემატიკური აღწერის.....</b>	<b>77</b>
	თანამედროვე ფორმა.....	77
7.1.	მართვის სისტემების მათემატიკური აღწერა მდგომარეობის..... სივრცის მეთოდით.....	77
7.2.	მდგომარეობის ცვლადები და სივრცე.....	80
7.3.	მდგომარეობის განტოლებები.....	89
7.3.1.	ნორმალური ერთგვაროვანი დიფერენციალური ..... განტოლებათა სისტემის ამოხსნა.....	89
7.3.2.	ფუნდამენტალური მატრიცის განსაზღვრა.....	90
7.3.3.	განტოლებათა სისტემის მიყვანა ნორმალურ სახემდე.....	95
<b>8.</b>	<b>თავი 8. მათემატიკური მოდელები.....</b>	<b>97</b>
8.1.	დინამიკური სისტემების მათემატიკური მოდელები.....	97
8.2.	დინამიკური სისტემების წრფივი და არაწრფივი მოდელები.....	99
8.3.	კოშის ამოცანა და პერიოდული ამოხსნები.....	103
8.4.	ციკლური პროცესები.....	105
8.5.	ელექტრული სისტემები.....	110
8.6.	რობოტი-მანიპულატორები.....	111
8.7.	ენერგეტიკული სისტემები.....	114
<b>9.</b>	<b>თავი 9. მართვის სისტემების მდგრადობა.....</b>	<b>115</b>
9.1	მართვის სისტემების მდგრადობის ცნება..... მდგრადობის აუცილებელი და საკმარისი პირობები.....	115
<b>10.</b>	<b>თავი 10. მართვის სისტემების მდგრადობა.....</b>	<b>120</b>
10.1.	მდგრადობის გურვიცის კრიტერიუმი.....	120
10.2.	მდგრადობის რაუსის კრიტერიუმი.....	124
<b>11.</b>	<b>თავი 11. არაწრფივი სისტემების კვლევის მეთოდები. ფაზური....</b>	<b>127</b>
	სივრცის მეთოდი.....	127
11.1.	არგუმენტების პრინციპი მდგრადობის მიხაილოვის..... კრიტერიუმი.....	127
11.2.	ნაიკვისტის მდგრადობის კრიტერიუმი.....	135
11.2.1.	ნაიკვისტის მდგრადობის კრიტერიუმი ღია მდგრადი.....	

სისტემის შემთხვევაში.....	137
11.2.2. ნაიკვისტის მდგრადობის კრიტერიუმი ღია.....	
არამდგრადი სისტემის შემთხვევაში.....	138
11.2.3. ნაიკვისტის მდგრადობის კრიტერიუმი ღია.....	
ასტატიკური სისტემის შემთხვევაში.....	139
11.2.4. ავტომატური მართვის ერთკონტურიანი სისტემის.....	
მდგრადობის ანალიზი მათი სიხშირული მახასია-.....	
თებლების მიხედვით.....	140
<b>12. თავი 12. წრფივი სტაციონარული სისტემის კვლევა MATLAB</b>	
გარემოში.....	148
12.1. ერთგანზომილებიანი წრფივი უწყვეტი სისტემის ანალიზი.....	
MATLAB გარემოში.....	148
12.2. წრფივი სისტემის მოდელები.....	148
12.3. წრფივი სტაციონარული სისტემის გადაცემის ფუნქცია.....	149
12.4. წრფივი სისტემის დინამიური მახასიათებლები.....	150
12.5. გარდამავალი მახასიათებლები (გარდამავალი ფუნქცია).....	150
12.6. სიხშირული მახასიათებლები.....	151
12.7. საკონტროლო კითხვები.....	157
<b>13. თავი 13. მართვის სისტემის მოდელირება SIMULINK-ში.....</b>	<b>158</b>
13.1. წრფივი სისტემები SIMULINK-ში.....	158
13.2. მოდელირების სისტემის აღწერა.....	159
13.3. SIMULINK-ზე სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა.....	159
13.4. საკონტროლო კითხვები.....	162
<b>14. თავი 14. მართვის ობიექტის მათემატიკური აღწერა.....</b>	<b>.....</b>
ექსპერიმენტალური მეთოდებით.....	163
14.1. ამოცანის ჩამოყალიბება .....	163
14.2. თეორიული საკითხების მოკლე აღწერა.....	163
14.3. სტატისტიკური მახასიათებლების აპროქსიმაცია.....	164
14.4. დინამიკური მახასიათებლების აპროქსიმაცია.....	165
14.5. სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა.....	166
14.6. საკონტროლო კითხვები.....	170
<b>15. თავი 15. ანალიზური მეთოდებით მათემატიკური მოდელების....</b>	<b>.....</b>
აგება(თბომცვლელი აპარატურის მოდელირება).....	171
15.1. სამუშაოს მიზანი.....	171
15.2. მოკლე თეორიული აღწერა.....	171
15.3. მაგალითი 1.....	174
15.4. მაგალითი 2.....	176
15.5. მაგალითი 3.....	178

15.6.	მაგალითი 4.....	180
15.7.	სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა.....	183
15.8.	საკონტროლო კითხვები.....	183
16.	თავი 16. ანალიზური მეთოდებით მათემატიკური მოდელების.... აგება (ქიმიური რეაქციების მოდელირება) .....	187
16.1.	სამუშაოს მიზანი.....	187
16.2.	საკითხის მოკლე აღწერა.....	187
16.3.	მარტივი რეაქციების კინეტიკა.....	188
16.4.	რთული რეაქციების კინეტიკა.....	190
16.5.	რეაქციის საკვანძო კომპონენტის შერჩევა.....	190
16.6.	მაგალითი 7.....	193
16.7.	სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა.....	196
16.8.	საკონტროლო კითხვები.....	199
17.	თავი 17. მარტივი ჰიდრავლიკური სისტემის მოდელირება.....	200
17.1.	მოკლე თეორიული აღწერა.....	200
17.2.	ჰიდრავლიკური სისტემის სტაციონარული რეჟიმის აღმწერი..... განტოლებათა სისტემის ინფორმაციული მატრიცა 1.....	203
17.3.	ჰიდრავლიკური სისტემის სტაციონარული რეჟიმის აღმწერი..... განტოლებათა სისტემის ინფორმაციული მატრიცა 2.....	204
17.4.	ამოცანათა შესრულების თანმიმდევრობა.....	204
17.5.	საკონტროლო კითხვები.....	209
18.	თავი 18. ორთქლის მიღების პროცესის მოდელირება.....	209
18.1.	შესასრულებელი სამუშაოს გეგმა.....	209
18.2.	მოკლე თეორიული დებულებები.....	209
18.3.	მართვის ობიექტის იმიტაციური კვლევა.....	213
18.4.	საკანში (ქვაბში) წნევის რეგულირების ერთკონტურიანი სისტემის.... მოდელირება.....	215
18.5.	ანალოგურ-ციფრული გარდამქმნელის(აცგ)-ს გარდამავალ..... პროცესში ხარისხოვანი მაჩვენებლების ანალიზი.....	219
18.6.	სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა.....	219
18.7.	აცგ-ს გარდამავალი პროცესის მათემატიკური მოდელების ..... შესაბამისი განტოლებების ამოხსნა MATLAB გარემოში.....	219
19.	თავი 19. არაწრფივი სისტემების მდგრადობის გამოკვლევა..... ლიაპუნოვის მეთოდით.....	223
19.1.	ლიაპუნოვის პირველი მეთოდი.....	223
19.2.	ლიაპუნოვის მეორე მეთოდი.....	227
	ლიტერატურა.....	233



## შესავალი

საავტომობილო მრეწველობაში რობოტების გამოყენებას უკვე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ეს აღარავის უკვირს. ამერიკელი ავტომწარმოებლები, როგორც წესი საამწყობო საამქროს მუშებს არ ათავისუფლებს სამსახურიდან, არამედ ელოდებიან მის პენსიაზე გასვლას, რათა მათ მაგივრად „დაასაქმონ“ რობოტები. უკვე არსებობენ სრულად რობოტიზებული ქარხნები, მაგალითად ტელევიზორების გამოსაშვებად. საამწყობო საამქროებში აღარ არიან ადამიანები, იქ ჩამქრალია სინათლე (ეკონომია ელ. ენერგიაზე), გამორთულია დანიავეების (ვენტილაციის) სისტემები, რობოტებს არც სინათლე და არც გაგრილება არჭირდებათ. ორ-სამ კვირაში ერთხელ ამ საამქროებს აჩერებენ, ანთებენ სინათლეს, რთავენ განიავეების სისტემას - მოდიან გამმართველები ე.წ. „ნალადჩიკები“. მომავალში ასეთი ქარხნები შეიქმნებიან სულ უფრო მეტი და მეტი. პრაქტიკულად ყველა იმ საწარმოში სადაც ხელით სამუშაო შეიძლება შეიცვალოს რობოტებით ან მანიპულატორებით ანუ პროლეტარიატის საუშაოები აღარ იქნება და ასეთი კვალიფიკაციის ადამიანები ვეღარ დასაქმდებიან. ისმის კითხვა რატომ? იმიტომ რომ, რობოტი შეიძლება ჩართულ იქნას ერთი საათით და შეიძლება ჩართული იქნას მთელი ღამით, მივცეთ მას ბრძანება იმუშაოს ნელა ანდა ძალიან ჩქარა. ასეთი საწარმოების მფლობელებს გაუჩნდათ სრულიად ახალი ეკონომიური პერსპექტივები: მათ შეუძლიათ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა ცვალონ საბაზრო მოთხოვნილების შესაბამისად, გაითვალისწინოს წარმოების ოპტიმალური ფუნქციონირების ყველა ვარიანტები, რათა ეკონომიური მოგება და სხვა შემთხვევაში დანაკარგები დაიყვანონ მინიმუმამდე (არ არის საჭირო ზედმეტი სამუშაო საათების ანაზღაურება, არ ჭირდება სამედიცინო დაზღვევების გადახდა, არ ჭირდება სოციალური უზრუნველყოფის ნალოგების გადახდა, არაა საჭირო პროფკავშირებთან „ვაჭრობა“ და ა. შ.) სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით უფრო ზუსტად და ეფექტურად შეუძლია მოემსახუროს ბაზარს. რობოტები ჩვენი ცხოვრების სულ სხვა და სხვა სფეროებში ჩნდებიან. ცალკე თემაა რობოტები სამხედრო სფეროში, ანუ მეომარი რობოტები. მაგალითად სამხედრო მოსამსახურე დედამიწის ერთ, რომელიმე რეგიონში მართავს სამხედრო რობოტს მისგან ათასობით კილომეტრით მოშორებულ სხვა სახელმწიფოს რეგიონში ბრძოლის ველზე. ავტომოყვარულებში აღფრთოვანებას იწვევს ახალი თაობის ავტომობილები, რომელთა მიერ ავტოსადგომე თავისუფალი ადგილის მოძებნა და ავტომობილის იქ გაჩერება ხდება თავად ავტომობილის მიერ ავტომატურ რეჟიმში მძღოლის მიერ სამართავ პულტზე ხელის დაჭერით. უკვე დაიწყო ისეთი ავტომობილების გამოყენება, რომელთაც მძღოლი არ ჭირდებათ. ძნელი წარმოსადგენი არაა რა მოგებას ნახავენ საავტომობილო კომპანიები ასეთი ავტომობილების გამოყენებით. ანუ მძღოლის პროფესია, როგორც ასეთი საჭირო აღარ იქნება. უახლოეს მომავალში ამერიკის ეკონომიკა დაბალი კვალიფიკაციის პროფესიებისაგან განავისუფლდება. ის საწარმოები, რომლებიც იყენებენ დაბალკვალიფიციურ ხელით სამუშაოს გააქვთ ამერიკიდან იმ ქვეყნებში, სადაც იაფფასიანი მუშახელი არსებობს, ხოლო თუ საწარმო გადაადის ავომატური ტექნოლოგიების გამოყენებაზე მას ტოვებენ ამერიკაში.

უახლოე ხანებში დაიწყება გაყიდვა რობოტი-დამლაგებლების, რობოტი-ოფიციალტების, რობოტი-ბარმენების, რობოტი-მედდების, რობოტი-ძიძების და მრავალი სხვა და სხვა ამ ტიპის მარტივი რობოტებისა.

აქ ისმის უმთავრესი და უმტკივნეულები კითხვა: რითი დასაქმდნენ ის ხალხი ვინც ამ უბრალო სამუშაოებით არიან დასაქმებულნი და რომლებიც ამ ტიპის რობოტების ექსპლოატაციის შემთხვევაში დარჩებიან უმუშევრად? აქ უნდა მოვიგონოთ „რევოლუციის დოდო ბელადის ლენინის სიტყვები“. სწავლა, სწავლა და სწავლა! დღესდღეობით აშშ-ში ეკონომიკური კრიზისის პირობებში ყველაზე მომგებიანი ბიზნესის სახეობად გადაიქცა კოლეჯები და უნივერსიტეტები. ადამიანებმა დაკარგეს რა სამსახურები ცდილობენ აიმაღლონ კვალიფიკაცია ან საერთოდ შეიცვალონ სპეციალობა და მოძებნონ ის სფერო სადაც ისინი დასაქმდებიან. ასეთი სფეროები მრავლადაა და იქ დასაქმებულები ძალიან მოთხოვნადი არიან. მეცნიერება ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევები უზომოდ ზრდის თოთოეული ადამიანის ეფექტურ მოღვაწეობას.

### ადამიანების „გაციფრულება“

დღეს-დღეობით მსოფლიოში ჩართულია და მუშაობს ორ მილიარდზე მეტი სხვადასხვა გამოთვლითი მოწყობილობა: დაწყებული სუპერ-კომპიუტერებით რომელთაც გააჩნიათ ასობით ათასი სერვერი და დამთავრებული პლანშეტებითა მობილური ტელეფონებით, რომლებიც შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სრულფასოვანი კომპიუტერები. მოგეხსენებათ ყველა კომპიუტერი პროგრამული კომპლექსების გარეშე წარმოადგენენ უბრალო გამოუსადეგარ ჯართს. სწორედ პროგრამული კომპლექსების დახმარებით ხდება კომპიუტერების იმგვარი მართვა, რომ მათ განახორციელონ ისეთი ფუნქციონირება, რომლის დიაპაზონი განუსაზღვრელად დიდია. ისინი ახორციელებენ ატომური რეაქტორებისა და კოსმოსური აპარატების მართვას, თანამშრომლების დიდი კოლექტივების მართვას საწარმოებში. თითოეულ ადამიანს აძლევს წვდომას კაცობრიობის დაგროვილ ცოდნასთან ვირტუალური საშუალებებით. უახლოეს ხანებში გამოჩნდებიან პროგრამული კომპლექსები მათთან თავვისა და კლავიატურით ურთიერთობის ტრადიციული მეთოდების ხმოვანი, ხელების მიმიკებისა და ჟესტების ენაზე კონტაქტირების გამოყენებით. ზუსტად ისევე ვიურთიერთობებთ კომპიუტერთან, როგორ ვურთიერთობთ ადამიანები ერთმანეთთან. კომპიუტერი გახდება ადამიანის ნამდვილი მეგობარი. მეორეს მხრივ უკვე დღესვე შეიძლება შეიქმნას ისეთი ციფრული რობოტი, რომელიც შეცვლის თავის მფლობელ ადამიანს არა მარტო გარეგნულად არამედ სემანტიკურადაც ანუ რობოტი პასუხებს გაგვცემს, ისევე იმოქმედებს სხვადასხვა სიტუაციებში, როგორც იმოქმედებდა მისი მეპატრონე ადამიანი. უკვე დღესვე შეიძლება დავინახოთ ის თუ როგორი იქნება ჩვენი მომავალი შვილი, მის გაჩენამდე, შესაძლებელი გახდება ეკრანზე მოვიზომოთ ტანსაცმელი ისე, რომ არ დაგვჭირდება ტანსაცმლის გახდა და ახალი ტანსაცმლის მორგება. ეს ყოველივე მოხდება მაშინ, როდესაც გამოჩნდებიან ისეთი პროგრამული კომპლექსები, რომლებიც მოახდენენ ადამიანის მუდმივ ავტომატურ განათლება-განვითარებას დაწყებული საბავშვო ასაკიდან ღრმა სიბერემდე. ეს ყოველ ჩვენთაგანს მისცემს მუდმივად მივიღოთ ახალ-ახალი ცოდნა და უნარჩვევები დროის მინიმალურ მონაკვეთში. ადამიან ალარ შეეშინდება

რობოტებისა და იგი შეასრულებს იმ სამუშაოს, რომელიც რობოტებს არ შეუძლიათ. პირველ რიგში მოახდენენ კვლევებს და ახალი ტექნოლოგიების პროექტირებას. პრაქტიკულად საქმე გვაქვს საზოგადოება „ცოდნის“ შექმნის ფაქტთან. ცოდნა და გამოცდილება ყოველთვის წარმოადგენდა კაცობრიობის ყველაზე დიდ ფასეულობას და ამ პირობებში ცოდნის ავტომატიზება მიგვიყვანს დღეს-დღეობით წარმოუდგენელ შედეგებამდე წარმატებამდე. დღეს უკვე მკაფიოდ ჩანს, რომ ადამიანის არსებობის გარემო უკვე ძალიან მათემატიზებული და რიცხვით ფორმებადაა წარმოდგენილი, რასაც საბოლოოდ მივყავართ შრომითი საქმიანობის მაღალ მწარმოებლობასა და ეკონომიკურ ეფექტიანობებამდე. ამაზე ჩვენ არც კი შეგვეძლო გვეოცნება თუნდაც 50 წლის წინათ. ხელით შრომით შექმნილი ზედმეტი ღირებულება უკვე წარსულს ჩაბარდა, ახალი ცოდნა და ახალი ტექნოლოგიები არის დღეს ის გარემო სადაც იქმნება ახალი ზედმეტი ღირებულებები. პოლოტიკოსებს, ფილოსოფოსებს, ეკონომისტებს ბევრი თავსატეხი გაუჩნდებათ ამ მიმართულებით, იმის გამო, რომ ხელოვნური „ციფრული“ რობოტები ძალიან მიუახლოვდებიან ბიოლოგიურ ასპექტშიც კი ადამიანებს.

## გენეტიკური კოსმოსი

ყველა ჩვენთაგანს უკვე გვაქვს გარკვეული ინფორმაცია „დნმ“-სა და ორმაგ სპირალზე. მოვიყვანოთ ზოგიერთი უბრალო ფაქტი. დნმ- ორმაგი სპირალი ადამიანის უჯრედში იკავებს კუბური მილიმეტრის ერთ მეხუთიასედე ნაწილს, მაგრამ თუ ამ ორმაგ სპირალს გავშლით წრფეზე მივიღებთ ორმეტრიანი სიგრძის მონაკვეთს. ერთი ადამიანის ორგანიზმში მოთავსებულია 100 ტრილიონამდე ასეთი უჯრა. ამ უჯრათა ორმაგი სპირალები, რომ გავშალოთ ერთ წრფეზე მივიღებთ ათეულჯერ მეტ მანძილს ვიდრეა დედამიწიდან მზემდე. ცოცხალი სამყაროს გენეტიკური სირთულეები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებენ, რომ მეცნიერების აზრით აქ ინახება „სამყაროს მთელი“ ინფორმაცია უცხო პლანეტელების შესახებ არა მხოლოდ სამყაროში უნდა ვეძებოთ, არამედ უნდა ვეძებოთ ჩვენში. მეცნიერებმა დაიწყეს მოლეკულური კომპიუტინგი ბიოლოგიურ გარემოცვაში. საუბარია უშუალოდ „ცოცხალი“ კომპიუტერების შექმნაზე. როგორ და რითი დაეხმარებიან ისინი ადამიანებს ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ უკვე ვდგავართ გენეტიკური კოსმოსის მიჯნაზე. მაგალითად ბრიტანელმა ლიტერატორმა კრისტიან ბოკ -მა თავის ცხოვრების რამოდენიმე წელი მიუძღვნა პროგრამირებისა და მოლეკულური ბიოლოგიის შესწავლას. მან ამ ცოდნაზე დაყრდნობით მოახდინა ბაქტერიის გენომში თავისი ლექსის კოდირება. ამ „გენეტიკური კოდის“ შექმნაზე მან დახარჯა დაახლოებით 4 წელი. მან მიაღწია იმას, რომ ცილაში ამინომჟავების მიმდევრობა, სინთეზში მოიყვანა თავისი ლექსის პირველ სტრიქონთან, შესაძლებელი გახდა გარდაქმნილიყო მისი ლექსის მეორე სტრიქონად და ა. შ. აგრეთვე იყენებდა ამინომჟავების კომბინაციებით დაკოდირებულ ლათინურ ანბანს. წარმოვიდგინოთ ასეთი რამ ჩვენ მოვახდინეთ ცოცხალი უჯრედის სინთეზირება, რომელიც გაყოფისას აღადგენს მიხეილ ჯავახისვილის რომანის არსენა მარაბდელის პირველი სტრიქონის შინაარს, შემდგომი გაყოფისას აღადგენს მეორე სტრიქონს და ა. შ. ყველა ახლად დაბადებული უჯრედები შეიცავენ მთელ რომანს. ისმება კითხვა მერე რა რომ ეს ასეა? პასუხად შეიძლება იქვას ის რომ, გავა რა ადამიანი გენეტიკური კოსმოსის სივრცეში და შეძლებს იქ თავისი

ინფორმაციის განთავსებას. შედეგად ჩვენ შევძლებთ არა მხოლოდ კიბორგების შექმნას და ათასი წელი სიცოცხლეს არამედ შევქმნით ხელოვნურ ეკოლოგიურ სისტემებს, რომელიც შეძლებს პრაქტიკულად პრაქტიკულად ყველა ტიპის ენერგიაზე მუშაობას, მათ შორის მზის ენერგიაზე და თავისუფლად შევძლებთ სამყაროში გადაადგილებას. აგრეთვე ამ ტექნოლოგიური გარღვევის შემდეგ აღარ იქნება პლანეტაზე ავადმყოფობები, სიღარიბე, შიმშილი...

## საზოგადოების მართვა

საზოგადოების მართვა ეფუძნება ერთი ადამიანის მართვის ტექნოლოგიებს, მისი ინტერესებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მართვის თანამედროვე ტექნოლოგიები რა თქმა უნდა ძალიან შორს არის ძალიან პოპულარული აზრებისგან, რომ თითქოს და კომპიუტერული ტექნოლოგიები შეაღწევენ ადამიანების ტვინებში და იქ ბიოლოგიურ დონეზე მოახდენენ მათ მართვას. მართალია უკვე შესაძლებელია ბიოლოგიურ დონეზე „შეღწევადი“ ტექნოლოგიების გამოყენება, რომელთა დახმარებითაც მოხდება ადამიანების აზრების წაკითხვა, ადამიანის ტვინში ელექტრული აქტივობების სკანირების საფუძველზე. ყველაზე დიდი მნიშვნელობა ექნება ინფორმაციის განაწილების ტექნოლოგიებს, რომლებიც ძირითადად „განთესავენ“ ადამიანისათვის არასასურველ ინფორმაციას, ანუ არ განიხილავენ ინფორმაციის იმ ბაზებს, რომელიც არ იქნება საჭირო კონკრეტული ადამიანის, კონკრეტული მიმართულებით განათლების პროცესში. ის თუ რა ტემპებით ვითარდება კაცობრიობის აზროვნება, ის თუ რა ტემპებით იკვლევს ის გარემომცველ ბუნებას და საზოგადოებრივი განვითარების პროცესებს, ის თუ რა „პრაგმატულობით“ იყენებს ის ახალ აღმოჩენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში მეტყველებს პირველ რიგში ის ფაქტი რომ: დაახლოებით 1000 წლის წინ წერა-კითხვა იცოდა მოსახლეობის დაახლოებით 3%-მა. 1000 წელი ეს არის მხოლოდ 1000 შემობრუნება დედამიწისა მზის გარშემო... ანუ ეს სამყაროს ფონზე წამია, ერთი გაელვებაა და ამ წამის განმავლობაში ადამიანთა ცივილიზაციამ მოახდინა ინფორმაციული აფეთქება. სხვა სიტყვებით, რომ ვქვათ ადამიანები განსაკუთრებით, შეიძლება ითქვას ზედმეტად ეფექტურები არიან. ეფექტურობის ეს ბუნებრივი ფენომენი მისი, რაობა და წარმომავლობა მეცნიერებისათვის ჯერ-ჯერობით უცნობია და თუ როდისმე ცნობილი გახდება ესეც ეჭვის ქვეშ არის. ჩვენ ყველანი დაკავებული ვართ მიმდინარე პრობლემებით და ვცდილობთ მოვძებნოთ ამ პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. საზოგადოებრივი მოწყობის პრობლემების ოპტიმალური გადაწყვეტის ძიება, სხვა არაფერია თუ არა ძებნა ამოცანის იმ ამონახსნისა, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ფენების, ერების და ეროვნებების, სხვადასხვა რელიგიების თანაცხოვრების ეფექტურობის განმსაზღვრელი იქნება და ეს გადაწყვეტილება მისაღები იქნება დედამიწის მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის და რომელიც განსდაზღვრავს მათი ცხოვრების დონეს. მაშინ როდესაც ადამიანები ვერ ახერხებენ უმრავლესობისათვის მისაღებ გადაწყვეტილებათა გამომუშავებას, მიღებას და ცხოვრებაში დანერგვას, საზოგადოებრივი მოწყობის საკითხებში, აი სწორედ მაშინ იწყება პროტესტები, გაფიცვები, რევოლუციები, ომები და ა.შ. სახელმწიფოები, რელიგიები, რასობრივი განსხვავებები რამდენადაც ძნელი არ იყოს ამის აღიარება ქმნიან სხვადასხვა სახის ტიპის პრობლემებს, იქმნება სხვადასხვა ბანაკები,

რელიგიური გაერთიანებები, რომლების ერთმანეთთან არიან დაპირისპირებული იმ დონეზე, რომ მზად არიან გამოიყენონ მასობრივი განადგურების იარაღიც კი... , მაგრამ კაცობრიობამ უკვე გარკვეულ წილად მოძებნა ამ პრობლემის გადაჭრის სამეცნიერო-ტექნიკური გადაჭრის ერთერთი გზა, რომელიც დაუპირისპირდება ბანაკებს, - ეს არის ინფორმაციის გაცვლა ერთმანეთს შორის, ერთობლივი ვირტუალური გადაწყვეტილებების მიღება და სწორედ ასეთი მიდგომებით არის შესაძლებელი მთელს დედამიწაზე საზოგადოებრივი მოწყობის კაცობრიობის სასარგებლოდ გარდაქმნა. დღეს-დღეობით მარტო Facebook სისტემაში ყოველდღიურად დაახლოებით 800 მლნ ადამიანი ურთიერთობს. ცვლიან ინფორმაციას, იღებენ საერთო გადაწყვეტილებებს, აწყობენ ერთობლივ ვირტუალურ ღონისძიებებს, ამყარებენ პირადულ კონტაქტებს. ამის წარმოდგენა რატქმა უნდა სულ რაღაც 20 წლის წინ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისია. ინტერნეტს ძალუმს ყველა დაპირისპირებული ბანაკის განადგურება, მაგრამ მომავალში ამან შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოების გაქრობა.

თავიდან ამერიკელებმა ინტერნეტის შექმნა დაიწყეს თავისთვის გასული საუკუნის სამოციან წლებში ( კომპიუტერული ქსელების პირველი მოდელები შეიქმნა პენტაგონში) , მისი აგება შესაძლებელი გახდა იმ დროისათვის უკვე არსებული მათემატიკის, ფიზიკის, კიბერნეტიკის, ინფორმაციის თეორიის, კავშირგაბმულობის, გამოთვლითი ტექნიკის გრანდიოზული მიღწევების საფუძველზე, მაგრამ მაინც უმთავრესი მათ შორის იყო კაცობრიობის, ადამიანების სწრაფვა თავისუფალი ურთიერთობებისკენ. ინტერნეტი - ეს არის სხვადასხვა ქვეყნის ათასობით მოწინავე მეცნიერების ფუნდამენტურ კვლევებზე და მათ საზოგადოებრივ მისწრაფებებზე დაფუძნებული ბრწყინვალე შედეგი, იმ მეცნიერებისა , რომლებიც მიეკუთვნებოდნენ სწორედ ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენებ ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ ბანაკებს. ყველაზე მომხიბლავი ამ პროცესში მაინც არის ის, რომ სახელმწიფოები და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი ბანაკები ხარჯავენ განუზომ-ლად დიდ თანხებს ინფორმატიკაში მიღწეული შედეგების თავისი ინტერესებისათვის გამო-ყენების საქმეში. სამეცნიერო მიწევები ხდება მისაწვდომი სრულიად მსოფლიოსათვის და ურთიერთკავშირების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მსოფლიო საზოგადოებრივი ურთიერთობების რეორგანიზება. უახლოეს 10-15 წელიწადში ჩვენ გვინდა თუ არ გვინდა მოწმენი გავხდებით მტული ბანაკების ერთმანეთთან დაპირისპირებისა თავიანთი პოზიციე-ბის შენარჩუნებისათვის, იმედია ამ ყველაფერი ზემოთთქმულის საბოლოო შედეგი პოზიტიური იქნება კაცობრიობისათვის, მისი სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით.

აღნიშნული სახელმძღვანელო მართვის ინჟინერიის საფუძველები ეძღვნება ავტომა-ტური მართვის სისტემების (ა.მ.ს.)-ს სალექციო სილაბუსზე აგებულ სახელმძღვანელოს( კონს-პექტს). იგი კლასიკური სახელმძღვანელოებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ითვალის-წინებს კომპიუტერული გამოთვლითი მათემატიკის პროგრამა MATLAB-ის და სიმბოლური მათემატიკის სპეციალური პროგრამა MAPLE -ს უსაზღვრო შესაძლებლობებს. სახელმძღვანე-ლოში მოყვანილი დიდი განზომილების უამრავი ამოცანების რეალური ამოხსნებისათვის (ამოხსნის პროცესის გაიოლებისათვის) ამოცანების უმრავლესობა გადაწყვეტილია ამ ორ პროგრამაზე.

## თავი 1

### მართვის ძირითადი ცნებები და პრინციპები.

#### 1.1 მართვის ინჟინერიის შექმნის ისტორია

პირველად ინფორმაცია ავტომატების შესახებ ჩვენი ეპოქის დასაწყისში გამოჩნდა ალექსანდრიელი ჰერონის ნაშრომებში "პნევმატიკა" და "მექანიკა", სადაც აღწერილია თვით ჰერონისა და მისი მასწავლებლის კტესიბიუსის მიერ შექმნილი ავტომატები: პნევმატური ავტომატი ტაძარი, წყლის ორგანო, ავტომატი წმინდა წყლის გაყიდვისთვის და ა.შ. ჰერონის იდეები ბევრად უსწრებდა თავის დროს და მის ეპოქაში ვერ გამოიყენებოდა. შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად განვითარდა იმიტაცია "ანდროიდის" მექანიკა, როდესაც მექანიკურმა დიზაინერებმა შექმნეს არაერთი ავტომატი, რომელიც მიჰბაძა ინდივიდუალურ ქმედებებს და შთაბეჭდილების გასაზრდელად, გამომგონებლებმა ავტომატებს გარეგნული მსგავსება მისცეს ადამიანს და მათ "ანდროიდები" უწოდეს. ", ანუ ადამიანის მსგავსი. დღეისათვის ასეთ მოწყობილობებს რობოტებს უწოდებენ, განსხვავებით ავტომატური მართვის მოწყობილობებისაგან, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც ავტომატებს უწოდებენ. მე -13 საუკუნეში გერმანელმა სქოლასტიკურმა ფილოსოფოსმა და ალქიმიკოსმა ალბერტ ფონ ბოლშტადტმა ააშენა რობოტი კარების გასაღებად და გასახსნელად. ძალიან საინტერესო ანდროიდები შეიქმნა მე -17 და მე -18 საუკუნეებში. მე -18 საუკუნეში შვეიცარიელმა საათების მწარმოებლებმა პიერ დროზმა და მისმა ვაჟმა ანრიმ შექმნეს მექანიკური მწიგნობარი, მექანიკური მხატვარი და სხვები. მე -18 საუკუნეში შეიქმნა ავტომატების ულამაზესი თეატრი. რუსი თვითნასწავლი მექანიკოსი კულიბინი. მისი თეატრი, რომელიც ერმიტაჟში ინახება, მოთავსებულია "კვერცხის ფიგურის საათში". მისი ჩანასახოვანი ფორმით, ავტომატური მართვის თეორიის მრავალი დებულება შეიცავს (ხაზოვანი) კონტროლერების ზოგად თეორიას, რომელიც ძირითადად შემუშავდა 1868-1876 წლებში მაქსველისა და ვიშნეგრადსკის ნაშრომებში. ვიშნეგრადსკის ფუნდამენტური ნამუშევრებია: "მარეგულირებლის ზოგადი თეორიის შესახებ", "არაპირდაპირი მოქმედების მარეგულირებლის შესახებ". ამ ნამუშევრებში შეგიძლიათ იხილოთ თანამედროვე საინჟინრო მეთოდების წარმოშობა რეგულირების სტაბილურობისა და ხარისხის შესასწავლად. გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსის ანდრეი მარკოვის (უმცროსი), საბჭოთა კონსტრუქტივისტული მათემატიკის სკოლის დამფუძნებლის, ალგორითმების თეორიისა და მათემატიკური ლოგიკის ნაშრომების ავტორმა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შიდა მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. ავტომატური მართვის თეორია. ამ კვლევებმა გამოიყენა აკადემიკოს ლებედევის სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში სამხედრო თემებზე - ავტომატური ტორპედოს კონტროლი და იარაღის ხელმძღვანელობა და დიდი ენერგოსისტემების სტაბილურობა. მე -20 საუკუნის დასაწყისისთვის და პირველ ათწლეულში ჩამოყალიბდა ავტომატური მართვის თეორია, როგორც ზოგადი სამეცნიერო დისციპლინა, რომელ\_იც გამოყენებულია მრავალი სექცია.

#### 1.2 მართვის ძირითადი ცნებები და პრინციპები

მართვა არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფერო, რომელიც მოიცავს მართვის თეორიასა და პრაქტიკას, აგრეთვე ავტომატური სისტემების აგების პრინციპებს და მათ ფორმირების ტექნიკურ საშუალებებს. საკონტროლო ობიექტი (მო) არის მოწყობილობა, ფიზიკური პროცესი ან პროცესების ერთობლიობა, რომელთა კონტროლი უნდა მოხდეს საჭირო შედეგის მისაღებად. ობიექტამ-თან ურთიერთქმედება ხდება მისი პირობითი შეყვანის კონტროლის მოქმედების გამოყენებით (რომელიც ასწორებს ობიექტში – ში წარმოქმნილ პროცესებს), ხოლო გამომავალი არის მოდიფიცირებული პარამეტრი (რაც შედეგების პროცესია). კონტროლი არის მოქმედება (სიგნალი), რომელიც გამოიყენება კონტროლის ობიექტის შეყვანაზე და უზრუნველყოფს კონტროლის ობიექტში პროცესების იმგვარ კურსს, რომელიც უზრუნველყოფს მის გამოსვლაში მოცემული საკონტროლო მიზნის მიღწევას. მიზანი არის პროცესების სასურველი მიმდინარეობა საკონტროლო ობიექტში და მის გამოსვლაში პარამეტრის სასურველი ცვლილების მიღება.

ობიექტები არსებობენ ორი ტიპის: მართვადი და უმართავი. ავტომატური მართვის სისტემა (ამს) მოიცავს მართვის ობიექტს და მართვის მოწყობილობას.

**მართვის მოწყობილობა** არის მოწყობილობების ერთობლიობა, რომელთა დახმარებით ხორციელდება მართვის ობიექტის შესასვლელი (ინფორმაცია, სიგნალი და ა.შ) .

**რეგულირება** არის მართვის კერძო შემთხვევა, რომლის მიზანია მართვის ობიექტის ერთი ან რამოდენიმე გამოსასვლელის შენარჩუნება მოცემულ დონეზე.

**რეგულატორი** - გარდაქმნის რეგულირების  $\varepsilon(t)$  შეცდომას მმართველ ზემოქმედებად, რომელიც მიეწოდება მართვის ობიექტს.

**დამკვეთი ზემოქმედება  $g(t)$**  - განსაზღვრავს გამომავალი მნიშვნელობის საჭირო რეგულირების კანონს.

რეგულირების შეცდომა მოიცემა ფორმულით  $\varepsilon(t) = g(t) - y(t)$ , სხვაობა კონტროლირებადი ცვლადის საჭირო მნიშვნელობასა და მის მიმდინარე მნიშვნელობას შორის. თუ  $\varepsilon(t)$  არ არის ნულოვანი, მაშინ ეს სიგნალი მიეწოდება რეგულატორს შესასვლელზე, რომელიც ახორციელებს ისეთ მარეგულირებელ ზემოქმედებას, რომ საბოლოოდ  $\varepsilon(t) = 0$  დროთა განმავლობაში.

**აღმწფოთი ზემოქმედება  $f(t)$**  არის პროცესი მართვის ობიექტის შესასვლელზე, რომელიც წარმოადგენს მართვის ხელისშემშლელ ზემოქმედებას.

**მართვის გახსნილი (ღია) სისტემები** არიან პროგრამული მართვის სისტემები. მმართველი მოწყობილობა გასცემს მმართველ ზემოქმედებას ისე, რომ არ აქვს ინფორმაცია სისტემის მდგომარეობის შესახებ, დროებითი პროგრამის მინიშნებით (უბრალოება და გაზრდილი საიმედოობა, მართვის დაბალი ხარისხი თუ სხვა). მართვის სისტემა (მს) აღმწფოთების საფუძველზე. მმართველი მოწყობილობა (მმ) შეიმუშავებს მმართველ ზემოქმედებას, რომელიც ეფუძნება სისტემაზე ხელისშემშლელი ზემოქმედების სიდიდეს.

**ჩაკეტილი სისტემა: (ჩს)** ახდენს მმართველ ზემოქმედებას შერჩეული პარამეტრით ობიექტის გაზომილი მდგომარეობის ინფორმაციის საფუძველზე.

**კომბინირებული სისტემა:** მმართველი მოწყობილობა (მმ) გამოიმუშავებს მმართველ ზემოქმედებას ობიექტის პარამეტრების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე და აღმწფოთი

ზემოქმედების საფუძველზე. პირველად ინფორმაცია ავტომატების და მართვის შესახებ ჩვენი ეპოქის დასაწყისში გამოჩნდა ალექსანდრიის ჰერონის ნამუშევრებში " პნევმატიკა "და" მექანიკა ", სადაც აღწერილია თვით ჰერონისა და მისი მასწავლებლის ქტესიბიუსის მიერ შექმნილი ავტომატები: პნევმატური ავტომატური მოწყობილობა ტაძრის კარების გასახსნელად, წყლის ორგანო, წმინდა წყლის გაყიდვის ავტომატური მოწყობილობა და ა.შ. ჰერონის იდეები შორს უსწრებდა თავის ეპოქას და ამიტომაც ვერ ჰპოვეს აღიარება იმ ეპოქაში. შუა საუკუნეებში მნიშვნელოვნად განვითარდა იმიტაციური "ანდროიდული" მექანიკა, როდესაც მექანიკოს-კონსტრუქტორებმა შექმნეს რიგი ავტომატებისა, რომელიც იმეორებდნენ ადამიანები გარკვეულ მოქმედებებს. შთაბეჭდილების მოსახდენად, გამომგონებლები ავტომატებს აძლევდნენ გარეგნული მსგავსების ელემენტებს ადამიანთან და მათ "ანდროიდები" (ადამიანის მსგავსი) უწოდეს. დღეისათვის ასეთ მოწყობილობებს რობოტებს უწოდებენ, განსხვავებით ავტომატური მართვის მოწყობილობებისაგან, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, რომელსაც ავტომატებს უწოდებენ.

მე -13 საუკუნეში გერმანელმა ფილოსოფოს-სქოლასტიკოსმა და ალქიმიკოსმა ალბერტ ფონ ბოლშტადტმა ააგო რობოტი კარების გასაღებად და დასახურად.

ძალიან საინტერესო ანდროიდები შეიქმნა მე -17 და მე -18 საუკუნეებში. მე -18 საუკუნეში შვეიცარიელმა საათების მწარმოებლებმა პიერ დრომ და მისმა ვაჟმა ანრიმ შექმნეს მექანიკური მწიგნობარი, მექანიკური მხატვარი და სხვები.

მე -18 საუკუნეში შეიქმნა ავტომატების ულამაზესი თეატრი. რუსი თვითნასწავლი მექანიკოსი კულიბინი. მისი თეატრი, რომელიც სანკტ-პეტერბურგში ერმიტაჟში ინახება, მოთავსებულია "კვერცხის ფიგურის საათში".

ჯერ კიდევ ჩანასახურ მდგომარეობაშია, ავტომატური მართვის თეორიაში მრავალი დებულება (წრფივი) რეგულატორების შესახებ, რომელიც ძირითადად შემუშავდა 1868-1876 წლებში მაქსველისა და ვიშნეგრადსკის ნაშრომებში. ვიშნეგრადსკის ფუნდამენტური ნამუშევრებია: "რეგულატორების ზოგადი თეორიის შესახებ", "ირიბი მოქმედების რეგულატორების შესახებ". ამ ნამუშევრებში შეგიძლიათ იხილოთ თანამედროვე საინჟინრო მეთოდების ჩანასახური იდეები რეგულირების სტაბილურობისა და ხარისხის კვლევის მიმართულებით.

გამოჩენილი მათემატიკოსის ანდრეი მარკოვის (უმცროსი), კონსტრუქტივისტული მათემატიკის სკოლის დამფუძნებლის, ალგორითმების თეორიისა და მათემატიკური ლოგიკის ნაშრომების ავტორმა, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა შიდა მეთოდოლოგიის შემუშავებაზე. ავტომატური მართვის თეორია. ეს კვლევები გამოიყენა აკადემიკოსმა ლებედევმა სამეცნიერო, პრაქტიკულ საქმიანობაში აგრეთვე სამხედრო სფეროში - საზღვაო და სხვა ტორპედოების ავტომატურ მართვაში ანუ ტორპედოს მიზანში მოხვედრის სიზუსტის მართვაში. ამ თეორიებს იგი აგრეთვე იყენებდა მსხვილი, დიდი ენერგოსისტემების სტაბილურობის საქმეში.

მე 20 საუკუნის დასაწყისში მართვის თეორია კერძოდ ავტომატური მართვის თეორია ჩამოყალიბდა ზოგადსამეცნიერებო საგნად.

### **1.3. ფუნქციური სქემები**

ტიპიური მართვის სისტემის (მს)სქემა



**ელემენტის ფუნქციონალური სქემა** - ავტომატური რეგულირებისა და მართვის სისტემის სქემაა, რომელიც შედგენილია იმ ფუნქციის მიხედვით, რომელსაც ეს ელემენტი ასრულებს.

**გამომავალი სიგნალები** არის პარამეტრები, რომლებიც ახასიათებენ მართვის ობიექტის მდგომარეობას და აუცილებელია მართვის პროცესის განხორციელებისათვისთვის.

**სისტემის გამოსასვლელი** არის სისტემის ის წერტილები, სადაც გამომავალი სიგნალები შეიძლება შეინიშნოს გარკვეული ფიზიკური სიდიდეების სახით.

**სისტემის შესასვლელი** არის სისტემის ის წერტილები, რომლებზეც ხდება გარე გავლენა.

**სიგნალები შესასვლელზე:**

**ხელშეშლა (помеха)** არის სიგნალები, რომლებიც არ უკავშირდება მენეჯმენტის ამოცანებისა და შედეგების შესახებ ინფორმაციის წყაროებს.

**სასარგებლო - სიგნალები**, რომლებიც დაკავშირებულია ინფორმაციის წყაროებთან მენეჯმენტის ამოცანებისა და შედეგების შესახებ.

**სისტემები:**

**ერთგანზომილებიანი** არის სისტემები ერთი შესასვლელით და ერთი გამოსასვლელით.

**მრავალგანზომილებიანი** არის სისტემები მრავალი შესასვლელით და მრავალი გამოსასვლელით.

**მართვის სისტემის (მს) მართვის პრინციპები**

**უკუკავშირი** არის კავშირი, რომელშიც გამომავალი ცვლადის რეალური მნიშვნელობა, ისევე როგორც კონტროლირებადი ცვლადის დაყენებული მნიშვნელობა, იკვებება კონტროლერის შეყვანაში.

**ხისტი** - ისეთ უკუკავშირიან სისტემას (**სუ**), რომელის რეგულატორის შესასვლელზე მიიღება ობიექტის გამომავალი სიგნალის პროპორციული სიგნალი ნებისმიერ დროს.

**მოქნილი** - ისეთ უკუკავშირიან სისტემას (**სუ**), რომელშიც რეგულატორის შეყვანისას მიიღება არა მხოლოდ ობიექტის გამომავალი სიგნალის პროპორციული სიგნალი, არამედ გამომავალი ცვლადის წარმოებულების პროპორციული სიგნალი.

**მართვა მმართველი ცვლადის გადახრის (ცვლილების) დროს** - უკუკავშირი ქმნის ჩაკეტილ კონტურს. მოქმედება გამოიყენება კონტროლირებად ობიექტზე, რომელიც პროპორციულია გამომავალ ცვლადსა და შემავალ ცვლადს შორის ჯამისა (სხვაობისა) ისე, რომ ეს ჯამი (სხვაობა) მცირდებოდეს.

**მართვა შემფოთების კომპენსაციის პრინციპით** რეგულატორის შესასვლელზე ხვდება შემამფოთებელი ეფექტის პროპორციული სიგნალი. მიჰყავს კონტროლერის შეყვანას. არ არსებობს დამოკიდებულება მმართველ მოქმედებასა და ამ მოქმედების შედეგს შორის ობიექტზე.

**მართვა კომბინირებული რეგულირების პრინციპის შესაბამისად** გამოიყენება ერთდროულად რეგულირება შემფოთებით და რეგულირება გადახრით რაც უზრუნველყოფს მართვის დიდ სიზუსტეს.


**მართვის თეორიაში (მთ)– ში** სამართავი ცვლადის გადახრის პრინციპი

**მართვის თეორიაში (მთ)– ში** შემფოთებათა კომპენსირების პრინციპი.


**მართვის თეორიაში (მთ)– ში** კომბინირებული რეგულირების პრინციპი.

#### 1.4. ტიპური ფუნქციონალური სქემები:


##### 1.4.1. მართვის სისტემის ტიპური სქემა:



##### 1.4.2. მართვის სისტემაში (მს) მართული ცვლადის პრინციპი:



##### 1.4.3. მართვის სისტემის კომბინირებული რეგულირების პრინციპი



## თავი 2

### მართვის სისტემების კლასიფიკაცია.

#### 2.1. მართვის პრინციპები მართვის სისტემებში (მს)

- **უკუკავშირი** არის კავშირი, რომელშიც რეგულატორის შესასვლელზე მიეწოდება გამოსასვლელი ცვლადის რეალური მნიშვნელობა, ასევე როგორც რეგულირებადი ცვლადის საწყისი მნიშვნელობა.
- **ხისტი** არის ასეთი უკუკავშირი, რომელშიც რეგულატორის შესასვლელში მიიღება ობიექტიდან გამომავალი სიგნალის პროპორციული სიგნალი დროის ნებისმიერ მომენტში.
- **მოქნილი** არის ისეთი უკუკავშირი, რომელშიც რეგულატორის შესასვლელზე მიეწოდება არა მხოლოდ სიგნალი, რომელიც პროპორციულია ობიექტიდან გამომავალი სიგნალისა, არამედ ის სიგნალიც რომელიც წარმოადგენს გამომავალი სიგნალის წარმოებულს.
- **მართვა მართვადი ცვადის გადახრის პრინციპით** არის უკუკავშირი ჩაკეტილი კონტურით. სამართავ ობიექტს მიეწოდება ზემოქმედება რომეც პროპორციულია გამომავალ და შემავალ ცვლადების ჯამისა და სხვაობისა, ისე, რომ ეს ჯამი (სხვაობა) უნდა მცირდებოდეს.
- **მართვა აღშფოთებების კომპენსაციის პრინციპით** არის ისეთი მართვა, როდესაც რეგულატორზე ხვდება სიგნალი, რომელიც პროპორციულია აღმშფოთი ზემოქმედებისა. არ არსებობს გავლენა მმართველ ზემოქმედებასა და ობიექტზე ამ ზემოქმედების შედეგს შორის.
- **მართვა კომბინირებული რეგულირების პრინციპით** არის ისეთი მართვა, რომელშიც ერთდროულად გამოიყენება რეგულირება, როგორც გადახრით ასევე აღშფოთებით, რაც მართვის ყველაზე დიდ სიზუსტეს უზრუნველყოფს.

## 2.2. მართვის სისტემების კლასიფიკაცია

მართვის სისტემების (მს) კლასიფიკაცია მართვის სახეობების მიხედვით:

- მართვის სისტემები;
- რეგულირების სისტემები;

მოქმედების ხასიათის მიხედვით:

- უწყვეტი მოქმედების სისტემები;
- დისკრეტული მოქმედების სისტემები;
- სარელეო მოქმედების სისტემები.

სამართავი ობიექტის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამოყენების ხარისხის მიხედვით:

- მართვა უკუკავშირით;
- მართვა უკუკავშირის გარეშე.

კონტროლი ოპერაციული სისტემის გარეშე

სამართავი ობიექტის პარამეტრებისა და სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გამოყენების ხარისხის მიხედვით:

- ადაპტური სისტემა;
- სამიეზო სისტემა;
- არაადაპტური სისტემა;
- არასამიეზო სისტემა;
- სისტემა ცვლადი სტრუქტურით;
- სისტემა იდენტიფიკაციით.

მს-ში კორდინატები გარდაქმნის ხარისხის მიხედვით:

- დეტერმინირებული სისტემა;
- სტოქასტური (შემთხვევითი ზემოქმედების შემცველი) სისტემა.

კორდინატთა გარდაქმნის მათემატიკური მოდელის სახის მიხედვით:

- წრფივი;
- არაწრფივი.

მმართველი ზემოქმედების სახის მიხედვით:

- ანალოგური;
- დისკრეტული (წყეტადი, იმპულსური, ციფრული).

ადამიანის მონაწილეობის ხარისხის მიხედვით:

- ხელით მართვის სისტემები;
- ავტომატური;

- ავტომატიზირებული( ადამიანი მართვაში).

**გამომავალი ცვლადის ცვლილების კანონების მიხედვით:**

- მასტაბილიზებული : გამომავალი ცვლადის მნიშვნელობა უცვლელია;
- პროგრამული: გამომავალი ცვლადის მნიშვნელობა იცვლება წინასწარ მიცემული პროგრამით;
- მიმყოლი: გამომავალი ცვლადის მნიშვნელობა დამოკიდებულია მართვის სისტემის შესასვლელზე წინასწარ მოცემული ცვლადის მნიშვნელობაზე.

**მმართველი და რეგულირებადი ცვლადების რაოდენობაზე:**

- ექსტრემალური ცვლადები;
- თვითაწყობადი ცვლადები;
- ინტელექტუალური ცვლადები.

**მგრძობიარე (გაზომვადი) ელემენტის მარეგულირებელზე ზემოქმედების მიხედვით:**

- პირდაპირი მართვის სისტემა;
- ირიბი მართვის სისტემა.

**2.3.ინტელექტუალური მართვის სისტემები (იმს)**

ეს არის სისტემები, რომლებიც სწავლების, ადაპტაციის ან რეგულირების საშუალებას იძლევა ობიექტის ქცევის, მისი მართვის სისტემისა და გარე გავლენის შესახებ ინფორმაციის დამახსოვრებისა და ანალიზის გზით. ამ სისტემების თავისებურებაა დასკვნითი ლოგიკური დასკვნების მონაცემთა ბაზის არსებობა, ახსნისა და განმარტებების ქვესისტემა და ა.შ.

**ცოდნის ბაზა** არის ფორმალიზებული წესები ლოგიკური ფორმულების, ცხრილებისა და ა.შ. სახით ჩაწერილ-დამახსოვრებული ინტელექტუალური მართვის სისტემები (იმს)-ები გამოიყენებიან ცუდად ფორმალიზებული ანდა რთული აგებულების ტექნიკური სისტემების მართვისას.

ინტელექტუალური მართვის სისტემების (იმს) კლასი შეესაბამება შემდეგ ნიშან-თვისებებს:

- მართვის სისტემის რეალურ გარემოსთან ურთიერთკავსირის არსებობით კავშირების ინფორმაციული არხების საშუალებით.
- სისტემის გახსნილობა (ღიაობა) საჭიროა ცოდნის შეძენისა და შევსებისათვის.
- პროგნოზირების მექანიზმების არსებობა სისტემის ფუნქციონირების გარემოსი.

- უკუკავშირზე ინფორმაციის უზუსტობა შეიძლება კომპენსირდეს მართვის ალგორითმის მეტი ინტელექტუალიზებით და კავშირის
- წყვეტის შემთხვევაში ფუნქციონირების შენარჩუნებით.

თუ ინტელექტუალური მართვის სისტემა ზემოთ ჩამოთვლილ ხუთ ნიშან-თვისებას აკმაყოფილებს მაშინ იმს ინტელექტუალურია, ხოლო თუ არ აკმაყოფილებს არაინტელექტუალურია.

### ზოგადი განმარტებები

- **ზოგადად მართვა** ეს არის ობიექტზე მიზანმიმართულ მოქმედებათა ერთობლიობა რის შედეგად ობიექტი გადადის ჩვენთვის მიზნობრივად სასურველ მდგომარეობაში.
- **რეგულირება** ეს არის მართვის კერძო შემთხვევა. რეგულირების დროს მიიღწევა სისტემის გამოსასვლელზე მიღებული სამართავი ცვლადების ნორმის ფარგლებში გასწორება (რეგულირება).
- **ავტომატური მართვა** ეს არის მართვა ანუ ობიექტზე მიზანმიმართულ მოქმედება, რომელიც ხორციელდება ადამიანის ჩარევის გარეშე ობიექტის მუშაობის პროცესში.
- **ავტომატური რეგულირება** ეს არის რეგულირება, რომელიც ხორციელდება ადამიანის ჩარევის გარეშე ობიექტის მუშაობის პროცესში.
- **ავტომატური მართვის სისტემა (ამს)** ამს-ის დროს უშუალოდ მართვის პროცესში ადამიანი არ იღებს მონაწილეობას.
- **მართვის ავტომატიზებული სისტემა (მას)** მას-ის დროს მართვა ხორციელდება ადამიანის მონაწილეობით, ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და გარდაქმნა ხორციელდება კომპიუტერის ანუ ადამიანის საშუალებით.
- **მართვის ობიექტი (მო)** ეს არის ტექნოლოგიური პროცესი ან ტექნიკური ობიექტი, რომელიც სისტემის მუშაობის პროცესში საჭიროებს სხვა ობიექტებთან ან პროცესებთან კავშირს. (მო) შეიძლება იყოს ცალკეული მექანიზმი, მანქანა, ჩარხი, მუშათა ან სპეციალისტთა ჯგუფი.
- **ფიზიკური პარამეტრები(ფპ)** ფიზიკური პარამეტრები ეს შეიძლება იყოს რაღაც ნივთიერება, ენერგია, ტემპერატურა, წნევა, რაიმე მოწყობილობის მუშაობის რეჟიმი და ა.შ.
- **მმართველი პარამეტრი(მპ)** ეს არის პარამეტრები, რომელთა მნიშვნელობების შენარჩუნებაა საჭირო მუდმივად, ან ცვლილება უნდა უზრუნველიყოს გარკვეული ჩვენთვის საჭირო წინასწარ გაგსაზღვრული წესის ფარგლებში .ამ პარამეტრს სხვანაირად უწოდებენ **მმართველ სიდიდეს  $y(t)$** . მმართველი პარამეტრის მოცემულ მომენტში მინიჭებულ მნიშვნელობას უწოდებენ მმართველი პარამეტრის მოცემულ ანუ საწყის მნიშვნელობას  $y_0$ -ს.
- **მმართველი მოწყობილობა (მმ)** - ეს არის მოწყობილობათა კომპლექსი, რომელიც მიერთებულია მმართველ ობიექტთან (მო), რათა უზრუნველიყოს მმართველი პარამეტრის საჭირო მნიშვნელობის შენარჩუნება, ან მისი ცვილება ჩვენთვის სასურველი წესის მიხედვით.

ე.ი. ავტომატური მართვის სისტემა (ამს) არის მართვის ობიექტისა (მო) და მმართველი მოწყობილობის(მმ) ერთობლიობა (კავშირი), რომელთა ფუნქციონალური ურთიერკავშირის შედეგად მიიღწევა მართვის დასახული მიზანი.


- მმართველი ზემოქმედება (ზზ) ეს არის ის ფაქტორი ან ფაქტორთა ერთობლიობა, რომელიც (რომლებიც) მოქმედებენ მართავის ან რეგულირებად ობიექტებზე ამ ფაქტორებს ეწოდებათ მმართველი ფაქტორები. სხვა ფაქტორები, რომლებიც იწვევენ მმართველი (რეგულირებადი) სისიდეების არასასურველ ცვლილებებს ეწოდებათ შეშფოთებები (აღშფოთებები).

მართვის ობიექტი (მო) სქემატურად მოცემულია ნახ.1.-ზე სამართავი სიდიდეების ერთობლიობა აღვნიშნოთ  $Y$  ვექტორით  $Y\{y_1, y_2, \dots, y_n\}$ , მმართველი სიდიდეები - აღვნიშნოთ  $U$  ვექტორით  $U\{u_1, u_2, \dots, u_n\}$ , ხოლო შეშფოთებები - აღვნიშნოთ  $F$  ვექტორით  $F\{f_1, f_2, \dots, f_n\}$ . მაშასადამე, მართვის ქვეშ გვესმის მართვის ობიექტზე ისეთი მიზანმიმართული ზემოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს ობიექტის მიზნობრივ (წინასწარ დაგეგმილ) მდგომარეობაში გადაყვანას. მართვის ობიექტზე მმართველი ზემოქმედების განხორციელება შესაძლებელია თუ სრულდება შემდეგი სამი პირობა:

1. მართვის ყოველი პროცესი უნდა იყოს მიზანმიმართული, ანუ უნდა იყოს ცნობილი მართვის მიზანი.
2. არსებობს გარკვეული წესი (წესები), რომლებიც გვაძლევენ საშუალებას მივალწიოთ მართვის მიზანს სხვადასხვა სიტუაციაში.
3. არსებობს მმართველი მოწყობილობა, რომელსაც ძალუძს შექმნას მმართველი ზემოქმედება მართვის წესებიდან მართვის დასახული მიზნიდან გამომდინარე.

#### 2.4. ავტომატური მართვის სისტემის(ამს) ბლოკ-სქემა. ფუნქციონალური ბლოკები. ძირითადი სტრუქტურული სქემა. მართვის ინფორმაციული ასპექტები.

ამს-ს სტრუქტურული სქემა (ნახ. 1ა) შეიცავს მართვის ობიექტს (მო) და მმართველ მოწყობილობას (მმ). ობიექტის მდგომარეობა ხასიათდება  $Y$  ვექტორით, რომლის კომპონენტებიცაა ცალკეული სამართავი (მმართველი) სიდიდეები  $y_i(t)$  - ები. მმართველი მოწყობილობის (მმ) მხრიდან ობიექტის შესასვლელზე ხორციელდება მმართველი ზემოქმედება  $u_i(t) U$  -დან. ობიექტზე აგრეთვე ძემოქმედებს შეშფოთებები (აღშფოთებები)  $F$ , რომლებიც ცვლიან ობიექტის მდგომარეობას,  $Y$  რომელიც ხელს უშლის ან ხელს უწყობს მართვას. მმართველი მოწყობილობის (მმ) შესასვ-ლელზე მიეწოდება დამკვეთი ზემოქმედება (დავალება)  $G$ , რომელიც შეიცავს სამართავი სიდიდის სასურველ მნიშვნელობას  $Y(y_0)$  ანუ მართვის მიზანს. ცვლადები  $U, G, F$  ზოგადად წარმოადგენენ ვექტორებს, ისევე, როგორც  $Y$ . ნახ.1ა -ზე ნაჩვენებია, რომ მმართველი მოწყობილობის შესასვლელზე ზოგადად მმართველი  $G$  ზემოქმედების გარდა, მიეწოდება ობიექტის მიმდინარე მდგომარეობა  $Y$  და შეშფოთებები  $F$ . მმართველი მოწყობილობა (მმ) გადაამუშავებს მიღებულ ინფორმაციას გარკვეული ალგორითმით. რის შედეგადაც (მმ)-ს გამოსასვლელზე მოიცემა მმართველი ზემოქმედება. ნახ.1ბ-ზე მოცემულ ამს-ს სტრუქტურული სქემაზე დატანილია მმართველი მოწყობილობის (მმ) შემადგენელი ნაწილები: 1. გაზომვის მოწყობილობა (გამ) 2. გამომთვლელი მოწყობილობა (გმ). 3. შემსრულებელი მოწყობილობა (შმ). (გაზმ) - ახორციელებს  $U, G, F$  ცვლადების გაზომვას. (გმ) - ახორციელებს მართვის მოწყობილობის ალგორითმის რალიზებას. (შმ) - განკუთვნილია უშუალოდ ობიექტის მართვისათვის, ანუ მდგომარეობის შეცვლა (გმ)-ის მიერ



ნახ. 1 - ავტომატური მართვის სისტემის ბლოკ-სქემა

ნახ.1 -ზე მოცემულია შემდეგი შემოკლებები:

$G$  - დამკვეთი ზემოქმედება (დავალება).  $U$  - მმართველი ზემოქმედება.

$F$  - გარეგანი შემფოთება.  $Y$  - სამართავი სიდიდის საბოლოო მნიშვნელობა.

**მმ** - მმართველი მოწყობილობა; **მო** - მართვის (სამართავი) ობიექტი;

**გამ** - გაზომვის მოწყობილობა; **გმ** - გამომთვლელი მოწყობილობა;

**შმ** - შემსრულებელი მოწყობილობა.

სამრეწველო ტექნოლოგიის რთული ობიექტების მართვის თანამედროვე სისტემები აგებულია იერარქიული პრინციპის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ კონტროლის სისტემაში ასეთი ობიექტები იყოფა რიგ ქვესისტემებად, რომლებიც დგანან დაქვემდებარების სხვადასხვა დონეზე. უფრო მაღალი რანგის სისტემა ორიენტირებულია მართვის ზოგადი (გლობალური) კრიტერიუმზე, გვაწვდის ცალკეული ლოკალური ობიექტების ჩართვა-გამორთვის ბრძანებებს, აგრეთვე ახორციელებს ობიექტის მართვის კერძო კრიტერიუმების შერჩევას. მართვის ლოკალური სისტემები ახორციელებენ სისტემის ამოქმედების (გაშვების) ოპტიმალურ რეჟიმებს. სამრეწველო ობიექტის მართვაში ავტომატური მართვის ლოკალური ობიექტები, არიან რა ქვედა იერარქიული რგოლის წარმომადგენლები ახორციელებენ ძირითადი ტექნოლოგიური პროცესების მახასიათებელი ტექნოლოგიური პარამეტრების გაზომვას, კონტროლს, რეგულირებას. როგორც წესი სარეგულირებელი პარამეტრების რაოდენობა ლოკალურ სისტემებში არ არის დიდი, ერთი ან მაქსიმუმ სამი პარამეტრი. მართვის სისტემების საერთო რიცხვიდან ლოკალური სისტემების ხვედრითი წილი არის 80%. ლოკალური სისტემების მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვან-



წილად განსაზღვრავს გამოსავალზე მიღებული პროდუქტის ხარისხს, რაც თავისთავად განაპირობებს წარმოების რენტაბელობას.

## თავი 3

### მართვის ტექნიკური სისტემების მაგალითები.

მართვის ტექნიკური სისტემები: საფრენი აპარატების მართვის სისტემები, ავტომობილის მართვის სისტემა, მართვის სისტემები მეტალურგიულ, ქიმიურ და სხვა ტექნიკურ საწარმოებში.

#### 3.1. მართვის ტექნიკური სისტემები:

##### 3.1.1. საფრენი აპარატების მართვის სისტემები :

საფრენი აპარატების მართვის პროცესი მოიცავს

- საფრენი აპარატების მართვის სისტემის და მისი დანიშნულების ცოდნას;
- მართვის სისტემაში ხელით მართვის ხელსაწყოების სახეობებს;
5) მათემატიკური აპარატის გამოყენებით, მკვლევარს შეუძლია მიიღოს შესწავლილი სისტემის შესახებ ახალი ცოდნა, რომელიც რეალობის ადეკვატურია ისეთივე მასშტაბით, როგორც აგებული მოდელი;

6) მათემატიკური მოდელების გამოყენება საშუალებას იძლევა ჩატარდეს ოპტი-მალური ან მათთან ახლოს მყოფი გადაწყვეტილებების წინასწარი შერჩევა გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც შემდგომ ეფექტურად გამოიყენება (ამს)-ს მიერ ;

7) ეს მათემატიკური მოდელები (მმ) დასაბუთებულია მეცნიერულად და მმართველი გადაწყვეტილების მიმღებს პროცესში (ამს)-ს გამოყენებისას შეუძლია იხელმძღვანელოს ამ მოდელებით.

ეკონომიკურ მათემატიკური მოდელები, მათემატიკურად ფორმალიზებული კავშირების დახმარებით ხდება ეკონომიკური პროცესებისა და ფენომენების ძირითადი თვისებების, ასახვა და სამართავი ფუნქციების განსაზღვრა. ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ობიექტების ავტომატიზებული მართვის საკითხების გადაწყვეტისას (**ეოამს**), ეს მართვის სისტემები განსაკუთრებით ეფექტურია რთული ეკონომიკური პრობლემების გამოსაკვლევად და მათი მართვის პროცესში. ასეთი ტიპის მათემატიკურ მოდელებს სხვანაირად ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს (**ემმ**) უწოდებენ. (**ემმ**)– ს გამოყენების საფუძველზე ხორციელდება გამოყენებითი კომპიუტერული პროგრამების შედგენა, რომლებიც შექმნილია ეკონომიკური ანალიზის, დაგეგმვის პრობლემების და მენეჯმენტის საკითხების გადასაჭრელად (**ემმ**)– ს საფუძველზე ხორციელდება ეკონომიკური სისტემების ავტომატური მართვის სისტემების აგება. გადაწყვეტილების დამხმარე სისტემების (**გდს**) კომპონენტების (მონაცემთა ბაზებთან, ტექნიკასთან, ადამიანის და ადამიანის ინტერფეისთან ერთად). ეკონომიკური სისტემების მათემატიკური მოდელები და ავტომატიზებული მართვის სისტემები შეიძლება დაიყოს შემდეგ ნაწილებად:

1. დაკვირვების მოდელს **ქცევის მოდელს** უწოდებენ. ობიექტის ქცევა და დაკვირვებადი ქცევის აღწერა (კავშირი შესაყვან და გამომავალ ცვლადებს შორის) ობიექტის შიდა სტრუქტურის შესახებ ინფორმაციის გარეშე ანუ "შავი ყუთის" მოდელი. სტრუქტურა და პარამეტრების რაოდენობა დგინდება მოდელის აგების პროცესში, როდის ასეთი მოდელების პარამეტრებს შეიძლება არ ჰქონდეს რაიმე ეკონომიკური მნიშვნელობა.
2. **ფენომენოლოგიური მოდელი** არის შესაბამისი ეკონომიკური სისტემის შიდა სტრუქტურის მათემატიკური აღწერა, როგორც წესი, ასეთი მოდელების ამსახველი განტოლებების სტრუქტურა შეესაბამება ეკონომიკური თეორიის ჰიპოთეზას და პარამეტრების რაოდენობა წინასწარ განსაზღვრას და ნათლადაა ამ განტოლებებში გაცხადებული ეკონომიკური ამოცანის აზრი და არსი. (**ამს**)-ში გამოყენებული ეკონომიკურ - მათემატიკური მოდელების კლასიფიკაცია შესაძლებელია ქვემოთ მოყვანილი ზოგადი ნიშნების შესაბამისად:

1. **მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით**, მოდელები შეიძლება დაიყოს:

ა) **თეორიული და ანალიზური**, რომლებიც ყველაზე მეტად გამოიყენე ბიან ეკონომიკური პროცესების განვითარების ზოგადი ტენდენციების დასადგენად მიმართულ კვლევაში;

ბ) **გამოყენებითი**, რეალური კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად.;

2. **შესასწავლი ეკონომიკური პროცესების მიხედვით**:

ა) საწარმოო და ტექნოლოგიური;

ბ) სოციალურ-ეკონომიკური.

3. მიზეზობრივი კავშირის ასახვის ხასიათიდან გამომდინარე:

ა) დეტერმინესიული;

ბ) არასაკმარისი (ალბათური, სტოქასტური), გაურკვევლობის ფაქტორის გათვალისწინებით.

4. დროის ფაქტორის ასახვის გამოყენებით:

ა) სტატიკური (აქ ყველა დამოკიდებულება დროის მოცემულ მომენტში ან დროის მონაკვეთში);

ბ) დინამიური, პროცესების ცვლილებების დამახასიათებელი დროის ცვლილების გათვალისწინებით.

5. მათემატიკური მოდელირების ფორმით:

ა) წრფივი (ყველაზე მოსახერხებელია ანალიზისა და გამოთვლებისთვის, იმის გამო, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული);


ბ) არაწრფივი.

6. დეტალური აღწერილობი ხარისხის მიხედვით:

ა) აგრეგირებული ("მაკრომოდელები");

ბ) დაწვრილებითი ("მიკრომოდელები").

ნახ.4.10 - ზე წარმოდგენილია ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების (ამს)-ს ის ჯგუფები, რომლებიც ერთად ქმნიან ეკონომიკური ობიექტების ავტომატიზებული მართვის სისტემების აგების სრულყოფილ სქემას (ეოამს)-ს.




ნახ.4.10 (ამს)-ს აგების პროცესში უმნიშვნელოვანესი ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კავშირის ჯგუფები

## თავი 5

### თემა. დინამიური სისტემების მათემატიკური მოდელები.

#### 5.1 დინამიური სისტემების მათემატიკური აღწერა დიფერენციალური განტოლებებით.

დინამიური სისტემა ეს არის ნებისმიერი ობიექტი ან პროცესი, რომლისთვისაც ცალსახად არის განსაზღვრული მდგომარეობის ცნება, როგორც გარკვეული სიდიდეების ერთობლიობა დროის გარკვეულ მომენტებში და აგრეთვე მოცემულია მათი საწყისი მდგომარეობიდან დროში ევოლუციის (განვითარების) კანონი. დინამიური სისტემები თავისი ხასიათის მიხედვით შეიძლება იყვნენ - ფიზიკური, ბიოლოგიური, ქიმიური, გამოთვლითი ან ინფორმაციის გარდაქმნის პროცესები. ევოლუციის კანონი - ეს არის დიფერენციალური განტოლებები, დისკრეტული ასახვები და სხვა.



**დინამიური სისტემის მათემატიკური მოდელი** - ეს არის მახასიათებელი პარამეტრების (კოორდინატების) და გარკვეული მმართველი ოპერატორის (ოპერატორების) საშუალებით სისტემის (სისტემის კოორდინატების) დროში ცვლილების აღმწერი ფორმალიზებული წარმოდგენა.

### დინამიური სისტემების კლასიფიკაცია

- ოპერატორების სახეობათა მიხედვით: წრფივი  
$$\varphi_t[x(t) + y(t)] = \varphi_t[x(t)] + \varphi_t[y(t)]$$
  
და არაწრფივი
- სისტემები დროში დისკრეტული ან უწყვეტი (ნაკადური ან კასკადური);
- რხევითი სისტემები:
  - წრფივი და არაწრფივი;
  - თავმოყრილ პარამეტრიანები და განაწილებული;
  - ავტონომიური და არაავტონომიური;
  - ავტორხევითი;
- კონსერვატიულები (ჰამილტონიანები) და არაკონსერვატიულები;

### 5.2. თავმოყრილ-პარამეტრიანი დინამიკური სისტემები

თუ  $M$  - არის ევკლიდური სივრცის რაღაც გარემო, ხოლო  $t$  – მუდმივად ცვლადი პარამეტრი, მაშინ ევოლუცია შეიძლება მოიცეს ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლების სახით.

სისტემის მდგომარეობა შეიძლება აღწერილ იქნას ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების სისტემის საშუალებით.



$$\dot{x}_1 = f_1(x_1, x_2, \dots, x_n)$$

$$\dot{x}_2 = f_2(x_1, x_2, \dots, x_n)$$

.....


$$\dot{x}_n = f_n(x_1, x_2, \dots, x_n)$$

სადაც

არის  $i$ -ური ცვლადის პირველი წარმოებული  $t$  პარამეტრით ანუ

$$\dot{x}_i = \frac{dx_i}{dt}$$

ანუ ამ დიფერენციალური განტოლებების სისტემის ამოხსნას შეიძლება მიეცეს შემდეგი გრაფიკული სახე ნახ.11



ნახ.11

ახლა განვიხილოთ ზოგადად მათემატიკური მოდელირების საკითხების არსი და მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარების იტორიულ ფონზე. იმიტომ, რომ კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა სხვადასხვა მოვლენათსა კანონზომიერებების დადგენა, რისთვისაც იგი არ ზოგავდა არც დროს, არც ენერგიას და არც ხარჯებს. შემეცნების პროცესში პირველადია და მოვლენებზე ან საგნებზე დაკვირვება, შემდეგ დაკვირვების შედეგების გაანალიზება

აბსტრაქტული აზროვნების ელემენტების გამოყენებით. ამის შემდეგ ხდება მოდელირების პროცესის გააზრება და საბოლოოდ ამ მოდელის (მათემატიკური, ზოგჯერ ფიზიკური მოდელისაც). შემეცნების ეს სქემა არ არის დმოკიდებული საგნის ან მოვლენის ბუნებაზე. მათემატიკური მოდელისა და საერთოდ მათემატიკური მოდელირების გარეშე შეუძლებელია კომპიუტერული მოდელის შექმნა და საერთოდ საყოველთაო კომპიუტერიზაციის პროცესი. დღევანდელ მსოფლიო მეცნიერებები ნებისმიერ სფეროში ხშირად გვხვდება სიტყვები „მპოდელი“, „მათემატიკური მოდელი“, „იმიტაციური მოდელი“ და სხვა. არსებობს მოდელის მრავალი განსაზღვრება. მაგალითად „**მოდელი არის მატერიალური ან აზრობრივად წარმოდგენილი ობიექტი, მოვლენა, პროცესი, რომელიც ინარჩუნებს რეალური ობიექტის, მოვლენის, პროცესის მნიშვნელოვან თვისებებს და ცვლის მას შემეცნების პროცესში**“.

კარგად აგებული მოდელი კვლევისათვის უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე რეალური ობიექტი. ამასთან, ზოგიერთ ობიექტი საერთოდ მიუწვდომელია გამოსაკვლევად, მაგალითად კოსმოსური სხეულების, პლანეტების, კომეტების, ასტეროიდების, მეტეორების, გალაქტიკების და საერთოდ ვარსკვლავების შემთხვევაში. ამ დროს მათემატიკურ ან სხვა მოდელების გამოყენება აუცილებელი ხდება. ახლა დავსვათ კითხვა: **რისთვის არის საჭირო მოდელი? რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება?**:

1. გამოვიკვლიოთ, თუ რას წარმოადგენს ობიექტი, როგორია მისი ბუნება, სტრუქტურა, ძირითადი თვისებები, განვითარების კანონები და სხვა;
2. ვმართოთ ობიექტი, ვიპოვოთ მოცემულ პირობებში საუკეთესო მართვის რეჟიმი;
3. მოვახდინოთ ობიექტის მდგომარეობის და მისი მოსალოდნელი ცვლილებების პროგნოზირება;

**მოდელის აგების პროცესს ეწოდება მოდელირება.** მოდელირების არსებული მეთოდები (სახეობები) შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ნაწილად იგი ორ მაკრო ჯგუფად: **მატერიალური** (ფიზიკური, სანობრივი) ანუ რეალური და **იდეალური** (ფორმალიზებული სახით წამოდგენილი) ჯგუფებად.


მატერიალური მოდელები ასახავენ ობიექტის გეომეტრიულ, ფიზიკურ, დინამიკურ და ფუნქციონალურ მახასიათებლებს. მატერიალური მოდელირების ძირითადი სახეებია **ფიზიკური და ანალოგური** მოდელირება. **ფიზიკური მოდელირებისას** რეალური ობიექტი იცვლება მისი გადიდებული ან შემცირებული ასლით, რომელიც იძლევა ლაბორატორიულ პირობებში მისი გამოკვლევის საშუალებას. **ანალოგური მოდელირება** დამყარებულია სხვადასხვა ფიზიკური ბუნების მქონე პროცესების და მოვლენების ანალოგიაზე. **იდეალურ** მოდელირებას კი წარმოადგენს ისეთი ტიპის მოდელირებას, რომელიც იყენებს ობიექტის შესახებ ინტუიციურ წარმოდგენას. არსებობს აგრეთვე **ნიშნობრივი** მოდელირება, რომელიც იყენებს ნიშნობრივ გარდაქმნებს სქემების, გრაფიკების, ნახაზების, ფორმულებისა და სხვა **ფორმალიზებულ** საშუალებებს.

არსებობს მათემატიკური მოდელის მიღების ორი გზა: **თეორიული** და **თეორიულ-ექსპერიმენტალური**. თეორიული გზა უფრო მოსახერხებელია (ადვილია, ნაკლებხარჯიანია) იგი ძირითადად გამოიყენება მარტივი ობიექტების კვლევისას. იგი გულისხმობს მოდელის მიღებას ობიექტში

მიმდინარე მათემატიკური კანონების საფუძველზე. რთული ობიექტისთვის ეს გზა მიუღებელია, ვინაიდან ან მოდელი გამოდის ძალიან რთული ან საერთოდ არ ხერხდება მისი მიღება. ასეთ შემთხვევაში იყენებენ ექსპერიმენტულ მეთოდს, რომელიც დამყარებულია თეორიული გამოკვლევების შედეგებზე. მათემატიკური მოდელი მიიღება ექსპერიმენტიდან მიღებული ობიექტის სიგნალების „შესასვლელი-გამოსასვლელი“-ის რეალიზების შედეგად. მოდელის მიღების ასეთ მეთოდს ეწოდება „**იდენტიფიკაცია**“.

მათემატიკური მოდელირება შეიცავს **ანალიზურ, იმიტაციურ და კომბინირებული** სახის მოდელირებას.

**ანალიზური მოდელის შემთხვევაში** სისტემის ელემენტების ფუნქციონირების პროცესი ჩაიწერება ფუნქციონალური დამოკიდებულებებით - **ალგებრული, ინ-ტეგრალურ-დიფერენციალური** და სხვა . ანალიზური მოდელების შესწავლა შეიძლება ანალიზური, რიცხვითი, ხარისხობრივი მეთოდებით, იმიტაციური მოდელირების დროს კი ის ალგორითმი , რომელიც ახდენს ობიექტის მოდელის რეალიზებას, დროში აღადგენს სისტემის ფუნქციონირების პროცესს, რაც იძლევა ობიექტის შესახებ ინფორმაციის მიღების, სისტემის მახასიათებლების შეფასების საშუალებას დროის გარკვეულ მომენტში. იმიტაციური მოდელირება იძლევა რთული ამოცანების გადაწყვეტის საშუალებას, რადგან შესაძლებელია დისკრეტული და უწყვეტი ელემენტების, არაწრფივი მახასიათებლების, შემთხვევითი ზემოქმედების და სხვათა გათვალისწინება. ნებისმიერი საწარმოო პროცესი შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც სისტემა. **სისტემა** - არის ისეთი ელემენტების ერთობლიობა, რომლებიც გაერთიანებულ არიან გარკვეული წესით და განიხილება, როგორც მთლიანი ერთეული. ის ელემენტები, რომლებიც არ შედიან მოცემულ სისტემაში, წარმოზადგენენ მისთვის გარეშე გარემოს. სქემატურად სისტემა შეიძლება წარმოდგენილ იქნას შემდეგნაირად(ნახ.12):



ნახ. 12.

სადაც  $\vec{u} = \{u_1, u_2, \dots, u_n\}$  - შესასვლელი სიგნალის ვექტორი;

$\vec{x} = \{x_1, x_2, \dots, x_m\}$  - გამოსასვლელი სიგნალის ვექტორი;


$\vec{f} = \{f_1, f_2, \dots, f_r\}$  - აღშფოთების ვექტორი.

5  
ვტომა  
ტური  
მართვ  
ის  
თეორი  
აში  $\vec{x}$  -

ს უწოდებენ ფაზურ კოორდინატებს ან მდგომარეობის პარამეტრებს . სისტემის შესწავლა ხორციელდება მისი მათემატიკური მოდელის საფუძველზე. მათემატიკური მოდელი არის სისტემის თვისებების გამარტივებული ასახვა, რომელიც ჩაწერილია მათემატიკური (ფორმალიზებული) ფორმით:

$$\vec{x} = A(\vec{u}, \vec{f}) \quad (5.1)$$

სადაც A არის აგებრული, ინტეგრალური, დიფერენციალური ან სხვა რომელიმე სახის ოპერატორი. ხშირად სისტემის გამოსასვლელზე დაკვირვება ვერ ხორციელდება . ამის გამორეალურად სიგნალი გვაქვს საზომი ხელსაწყოს გამოსასვლელზე (ნახ.13):



ნახ.13

$\vec{y}$  განსხვავდება  $\vec{x}$  –ისგან, ვინაიდან საზომ ხელსაწყოზე შემთხვევითი ხმაური (შესფოთება)  $\vec{z}$  . მაშინ მოდელი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\vec{y} = B(\vec{x}, \vec{z}) \quad (5.2)$$

ამრიგად სისტემის მათემატიკური მოდელი მიზანშეწონილია წარმოვადგინოთ

**ორნაირი სახით**

1. სისტემის მდგომარეობის მოდელით (5.1)
2. დაკვირვების მოდელით (5.2)

**5.3. მოდელების კლასიფიკაცია**

საწარმოო პროცესების მათემატიკური მოდელების სიმრავლე შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვა ნიშნით.

განვიხილოთ მოდელების კლასიფიკაცია ოპერატორის ნიშნების მიხედვით:

1. ობიექტის შესასვლელი და გამოსასვლელი სიგნალების არგუმენტი შეიძლება იყოს, როგორც დრო, ასევე სივრცული კოორდინატა, ან რომელიმე სხვა ცვლადი. თვითონ ოპერატორიც შეიძლება დამოკიდებულ იქნას დროზე. ასეთი ტიპის მოდელებს ეწოდებათ **დინამიკური მოდელები**. თუ მოდელი არ არის დამოკიდებული დროზე მაშინ მას ეწოდება **სტაციონარული მოდელი**. სტაციონარული სისტემის რეაქცია დამოკიდებულია შესასვლელი სიგნალის ზემოქმედების ინტერვალზე  $\tau = t_2 - t_1$  და არ არის დამოკიდებული ზემოქმედების დაწყების  $t_1$  და დამთავრების  $t_2$  მომენტებზე. თუ შესასვლელი და

გამოსასვლელი სიგნალები დამოკიდებულია სივრცულ კოორდინატებზე, მაშინ გვექნება **სტატისტიკურ-სივრცული** მოდელი.

2. დინამიკური მოდელები იყოფა ორ ჯგუფად: **ინერციული და უინერციო**. უინერციო მოდელებში ოპერატორი განსაზღვრავს დამოკიდებულებას შესასვლელ-გამოსასვლელ სიგნალებს შორის ერთსა და იმავე დროის მომენტში. უინერციო მოდელებს ეწოდებათ მოდელები მეხსიერების გარეშე. ინერციულ მოდელებში გამოსასვლელი ფუნქციის მნიშვნელობა მოცემული დროის მომენტში დამოკიდებულია შესასვლელი ფუნქციის მნიშვნელობაზე არა მარტო მიმდინარე დროის მომენტში, არამედ წინა მნიშვნელობაზეც. ინერციულ მოდელებს სხვაგვარად უწოდებენ **მეხსიერების მქონე მოდელებს**. უინერციო მოდელებს მიეკუთვნება **ტრენდის ტიპის მოდელი**, ხოლო ინერციულ მოდელებს მიეკუთვნება **დიუამელის ინტეგრალი, ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლება** და სხვა.
3. ასეობენ სასრული და უსასრულო მეხსიერების მქონე დინამიკური მოდელები.
4. არსებობენ **დეტერმინირებული და სტოქსასტური** მოდელები. დეტერმინირებული ოპერატორი საშუალებას იძლევა, ცალსახად განისაზღვროს გამოსასვლელი სიგნალი ცნობილი შესასვლელი სიგნალის დროს. დეტერმინირებული მოდელი გულისხმობს მხოლოდ შესასვლელი სიგნალის არაშემთხვევით დეტერმინირებულ გარდაქმნას, ხოლო თვითონ სიგნალები შეიძლება იყოს შემთხვევითიც და დეტერმინირებულიც. სტოქსასტურ (ალბათურ) მოდელში გამოსასვლელი სიგნალის ცალსახად განსაზღვრა არ ხდება, ცალსახად განისაზღვრება მხოლოდ გამოსასვლელი სიგნალების ალბათობის განაწილება და სისტემის პარამეტრები.
5. გარდაქმნის ოპერატორი შეიძლება შეიცავდეს უცნობ პარამეტრებს. მდგომარეობის მოდელი ჩაიწერება შემდეგნაირად:  $\vec{x} = a(\vartheta)\vec{u}$ , სადაც  $\vartheta$  - არის პარამეტრების ვექტორია. ასეთ მოდელებს ეწოდება პარამეტრული. მაგალითად, პარამეტრულია მოდელი, რომელიც აღიწერება ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებით, უცნობი პარამეტრებით, კოეფიციენტებით. არაპარამეტრული მოდელია - დიუამელის ინტეგრალი.
6. ოპერატორის მნიშვნელოვანი ნიშანია შესასვლელი სიგნალის მიმართ მისი წრფივობა და არაწრფივობა. ოპერატორი და შესაბამისი მოდელი წრფივია, თუ ადგილი აქვს სუპერპოზიციის პრინციპს. წინააღმდეგ შემთხვევაში - მოდელი არაწრფივია.
7. მოდელების კლასიფიცირება შესაძლებელია იმ მათემატიკური ოპერაციების მიხედვით, რომლებიც გამოიყენება ოპერატორში:
  - ა) თუ  $\vec{x}(t)$ -სა და  $\vec{u}(t)$ -ს შორის დამოკიდებულება მოცემულია ფუნქციის სახით, მაშინ მოდელი არის ალგებრული. მაგალითად **ტრენდის მოდელი**.
  - ბ) თუ  $\vec{x}(t)$  და  $\vec{u}(t)$  შორის დამოკიდებულება მოცემულია ფუნქციონალის სახით, მაშინ მოდელი **ფუნქციონალურია**. მაგალითად **დიუამელის ინტეგრალი**.
  - გ) თუ მოდელი აღიწერება დიფერენციალური განტოლებით, იგი დიფერენ-

ციალურია. მისი დისკრეტული ანალოგი არის **სასრულსხვაობიანი მოდე-  
ლი**. თუ განტოლება არის კერძოწარმოებულებით, მაშინ მოდელი არის  
**კერძოდიფერენციალური**

### **დინამიკური მოდელების კლასიფიკაცია**

1. განვიხილოთ მოდელების კლასიფიკაცია შესასვლელ-გამოსასვლელი სიგნალების ვექტორებისგანზომილების მიხედვით:
  - ა) **ერთგანზომილებიანი მოდელი** ამ მოდელის შესასვლელი და გამოსასვ-  
ლელი სიგნალები სკალარებია და მრავალგანზომილებიანი - თუ ისინი  
ვექტორებია.
  - ბ) თუ მოდელის გამოსასვლელი სკალარია, მაშინ შესასვლელის განზომილების  
მიუხედავად მოდელი არის ერთგანზომილებიანი, თუ არა რავალგანზომილე-  
ბიანი.
  - გ) პარამეტრების ვექტორის განზომილების მიხედვით, არსებობს **ერთ და  
მრავალპარამეტრიანი** მოდელები.
2. სიგნალების თვისებების მიხედვით, არსებობს სხვადასხვა ტიპის მოდელები.  
მოდელებს, რომელთა შესასვლელი და გამოსასვლელი უწყვეტი სიგნალებია  
ეწოდებათ **უწყვეტი მოდელები**, ხოლო თუ სიგნალები დისკრეტულია -  
**დისკრეტული მოდელები** სიგნალების დისრეტირება შესაძლებელია დროშიც და  
სიგნალის დონითაც. თუ სიგნალი არის დროში დისკრეტული, მაშინ მოდელი არის  
**იმპულსური**.
3. არსებობს მოდელები შეკრული და გახსნილი წრედებით. შეკრულ და ჩაკეტილ  
სისტემაში არის უკუკავშირი , რაც ართულებს არა მარტო მათემატიკური  
მოდელის ჩაწერას არამედ მის ანალიზსაც.

## **5.4. მათემატიკური მოდელების სახეები**

### **5.4.1 უინერციო მოდელები**

1. **ტრენდის მოდელი** ტრენდი აღნიშნავს რაღაც მდგრად სისტემურ ცვლილებას  
დროის ხანგრძლივ პერიოდში. **ტრენდის ერთგამოძახილიანი** მოდელი შეიძლება  
ჩაიწეროს ასე:  $y(t) = \eta(t, \theta) + \nu(t)$ , სადაც  $\eta(t, \theta)$  ცნობილი დროის ფუნქციაა  $\theta$   
პარამეტრამდე სიზუსტით;  $\nu(t)$  შემთხვევითი შემადგენელია .
2. **რეგრესიული მოდელი**  $y(t) = \eta[u(t), \theta] + \nu(t)$ , სადაც  $u(t)$  სამართავ ფუნქციათა  
ვექტორია, რომელიც შეიძლება შეირჩეს მოცემული საზღვრებში. ეს მოდელი  
სტატისტიკური რეგრესიული მოდელის განზოგადებაა. სტატისტიკურ მოდელებ-  
ში ფაქტორები არის სიდიდეები, დინამიურში ფუნქციები. რეგრესიული  
მოდელები შეიძლება იყოს წრფივიც და არაწრფივიც პარამეტრების მიმართ.  
მოდელი შეიცავს უცნობ  $\theta$  პარამეტრებს, რომელთა შეფასება აუცილებელი ხდება.  
გამოძახილი შეიძლება იყოს უწყვეტიც და დისკრეტულიც. ექსპერიმენტის დაგეგმვა  
დაიყვანება  $u(t)$  ფუნქციის საუკეთესო არჩევანზე.

### **5.4.2. ინერციული მოდელები**

1. **ხვეული ინტეგრალი და ხვეული ჯამი.**

წრფივი რაციონალური დინამიკური სისტემები უწყვეტი „შესასვლელ-გამოსასვლელის“ შემთხვევაში, შეიძლება აღიწეროს შემდეგნაირად:

$$y(t) = \int_0^{\infty} \omega(\tau) * u(t - \tau) d\tau + v(t) = \int_{-\infty}^t \omega(t - \tau) * u(\tau) d\tau + v(t) \quad (5.3)$$

არასტაციონარული კი: 
$$y(t) = \int_{-\infty}^t \omega(t, \tau) * u(\tau) d\tau + v(t)$$

გამოსახულებაში შემავალ ინტეგრალს ეწოდება **ხვეული** ინტეგრალი ან **დიუამელის** ინტეგრალი.

თუ „შესასვლელ-გამოსასვლელი არის „ არის დისკრეტული, მაშინ გვექნება:

$$y(k\Delta t) = \sum_{i=0}^{\infty} \omega(i\Delta t) * u(k\Delta t - i\Delta t) + v(k\Delta t) \quad (5.4)$$

გამოსახულებაში შემავალი ფუნქცია  $\omega(\tau)$  ან  $\omega(i)$  არის სისტემის იმპულსური მახასიათებელი - **წონითი ფუნქცია**, რომელიც სისტემის რეაქციას  $\delta$  - დირაკის ფუნქციაზე

$$\delta(t) = \begin{cases} \infty, & t = 0 \\ 0, & t \neq 0 \end{cases}$$

ეს მოდელები არაპარამეტრულია, ისინი შეიცავენ უცნობ წონით ფუნქციას  $\omega(t)$ -ს. მისი განსაზღვრა შეიძლება ინტეგრალურ განტოლებიდან, რაც გარკვეულ სიმძნელებთან არის დაკავშირებული. ამოცანა ხდება ვარიაციული, თუ  $v(t)$  უმნიშვნელოა, მაშინ  $\omega(t)$ -ს განსაზღვრა  $u(t)$ ,  $y(t)$  ცნობილი ფუნქციებიდან (5.3) განტოლების ამოხსნით. დისკრეტულ შემთხვევაში ვხსნით (5.4) განტოლებას. თუ  $v(t)$  მნიშვნელოვანია მაშინ (5.3) და (5.4)-ის ნაცვლად გვექნება სტატისტიკური მოდელები, ე.წ. **ვინერ-ჰოპფის** განტოლება. ისიც ინტეგრალური განტოლებაა, მასში შედის სიგნალების კორელაციური ფუნქციები. ამოხსნა  $\omega(t)$ -ს პოვნის მიზნით რთულდება. თუ ფუნქციას ცნობილ ორთოგონალურ ფუნქციათა

მწკრივის სახით:  $\omega(t, \theta) = \sum_{i=1}^p \theta_i * F_i(t)$ , მაშინ პარამეტრულ მოდელს და ამოცანა დაიყვანება  $\theta_i$  პარამეტრების სასრული სიმრავლის განსაზღვრაზე. ვინაიდან  $\theta_i$  პარამეტრები მოდელში შედიან წრფივად, ამოცანა მნიშვნელოვნად მარტივდება.

### 5.4.3 ვოლტერას ფუნქციონალური მწკრივები.

არაწრფივი სტაციონარული დინამიკური სისტემის ფართო კლასი შეიძლება აღწერილ იქნას ვოლტერას ფუნქციონალური მწკრივით:

უწყვეტი სისტემის შემთხვევაში:

$$y(t) = \omega_0(t) + \int_0^{\infty} \omega_1(\tau_1) * u(t - \tau_1) d\tau_1 + \int_0^{\infty} \int_0^{\infty} \omega_2(\tau_1, \tau_2) * u(t - \tau_1) * u(t - \tau_2) d\tau_1 d\tau_2 + \dots + v(t)$$

დისკრეტული სისტემის შემთხვევაში:

$$y(k) = \omega_0(k) + \sum_{i=0}^{\infty} \omega_1(i) * u(k - i) + \sum_{j=0}^{\infty} \sum_{i=0}^{\infty} \omega_2(i, j) * u(k - i) * u(k - j) + \dots + v(k)$$

$\omega_i$  - ვოლტერას ბირთვებია.

არაწრფივი დინამიკური სისტემები შეიძლება აღწერილ იქნას სხვა ფუნქციონალური მწკრივებითაც. მაგალითად ვინერის მწკრივით.

2. წრფივი სტაციონარული დინამიკური სისტემების აღწერა შეიძლება ოპერატიული მიდგომით. იგი წარმოადგენს სისტემის მათემატიკურ აღწერას ლაპლასის გარდასახვათა სივრცეში. პირველ შემთხვევაში მოდელის საფუძველია გადაცემის ფუნქცია , ხოლო მეორე შემთხვევაში მოდელის საფუძველია - სისტემის სხშირული მახასიათებელი.

ა) გადაცემის ფუნქცია არის სისტემის გამოსასვლელი სიგნალის ლაპლა

სის გარდასახვის შეფარდება შესასვლელი სიგნალის ლაპლასის გარდასახვასთან ნულლოვანი საწყისი პირობების დროს. მოდელი ჩაიწერება შემდეგნაირად:  $y(t) = w(s) * x(t)$ , სადაც  $w(s)$  გადაცემის ფუნქციაა. მოდელის პარამეტრები , რომელთა შეფასება ხდება ექსპერიმენტიდან, შედის გადაცემის ფუნქციაში.

ბ) ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით მივიღებთ:

$$y(j\omega) = w(j\omega) * u(j\omega) + v(j\omega),$$

სადაც  $w(j\omega)$  არის სისტემის სიხშირული მახასიათებელი, იგი

წარმოადგენს იმპულსური მახასიათებლის ფურიეს გარდასახვას.  $w(j\omega)$  მიღება შეიძლება  $w(s)$ -ში  $s = j\omega$  ჩასმით

#### 5.4.4. დინამიკური სისტემის აღწერა მდგომარეობის სივრცის მეთოდით.

ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება რა მართო წრფივი სისტემებისათვის , არამედ არაწრფივი და არასტაციონარული დინამიკური სისტემების გამოკვლევისთვისაც , რის საშუალებასაც გადაცემის ფუნქცია არ იძლევა. ამის გარდა გადაცემის ფუნქცია ახასიათებს წრფივი სისტემის მიზეზ-შედეგობრივ დამოკიდებულებას ლაპლასის გაედასახვათა არეში, რომელიც გამორიცხავს სისტემის წარსული და აწმყო მდგომარეობის გათვალისწინებას. მდგომარეობის



სივრცის მეთოდი მდგომარეობის პარამეტრებზე დაყრდნობითიძლევა უფრო სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას დინამიკური სისტემის შესახებ.

მდგომარეობის სივრცე ეწოდება ისეთ მეტრიკულ სივრცეს, რომლის თითოეული ელემენტი სრულიად განსაზღვრავს სისტემის მდგომარეობას. მათემატიკური თვალსაზრისით, სისტემის დინამიკური თვისებების ფორმალიზების მიზნით, მიზანშეწონილია, დინამიკური სისტემა განისაზღვროს მდგომარეობის პარამეტრებითა და მდგომარეობის განტოლებათა სისტემით. სისტემის მდგომარეობასა და მდგომარეობის პარამეტრებს შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება. მდგომარეობის პარამეტრების არჩევას განსაზღვრავს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა. ამ საკითხის გადაწყვეტა არ არის ცალსახა.

წრფივი სტაციონარული სისტემისათვის მდგომარეობის დინამიკის სტანდარტული განტოლებებია:

$$\dot{\bar{x}}(t) = A * \bar{x}(t) + B * \bar{u}(t) \text{ – მდგომარეობის გან ტოლება;}$$

$$\bar{y}(t) = D * \bar{x}(t) + E * \bar{u}(t) \text{ – გამომავალი განტოლება.}$$

სადაც A,B,D,E მატრიცებია,  $\bar{x}(t)$  – მდგომარეობის ვექტორი,  $\bar{u}(t)$  –შემავალი ვექტორი,  $\bar{y}(t)$  – გამომავალი ვექტორი.

**5.5.გადაცემის ფუნქციები.**

სანამ განვიხილავთ გადაცემის ფუნქციებს მანამ განვიხილოთ სარეგულირებელი სისტემის აღმწერი დიფერენციალური განტოლების სახე ( განვიხილოთ უწყვეტი მოქმედების წრფივი სისტემის უმარტივესი მაგალითი და მისი აღწერის წრფივი დიფერენციალური განტოლება, სადაც შესავალ (x) და გამომავა (y) სიდიდეებს შორის აღიწერება მუდმივკოეფიციენტებიანი წრფივი დიფერენციალური განტოლებით ). ამ განტოლებას აქვს სახე: (5.5)

$$a_n \frac{d^n y}{dt^n} + a_{n-1} \frac{d^{n-1} y}{dt^{n-1}} + \dots + a_1 \frac{dy}{dt} + a_0 y = b_m \frac{d^m x}{dt^m} + b_{m-1} \frac{d^{m-1} x}{dt^{m-1}} + \dots + b_1 \frac{dx}{dt} + b_0 x, \quad (5.5)$$

სადაც  $y(t)$  - ელემენტის სიდიდე გამოსასვლელზე;  $x(t)$  - ელემენტის სიდიდე შესასვლელზე.  $a_n, a_{n-1}, \dots, a_1, a_0$ ;  $b_m, b_{m-1}, \dots, b_1, b_0$  - მუდმივი კოეფიციენტებია. რომლებიც განისაზღვრებიან ელემენტების პარამეტრებითა თავისებურებებით. განტოლების მარცხენა მხარე ახასიათებს თავად სისტემას, რადგან იგი შეიცავს მმართველ სიდიდე  $y(t)$  - ს ხოლო მარჯვენა მხარე შეიცავს შეშფოთების (ხმაურის)  $x(t)$  -სიდიდეს. სისტემის ელემენტების უფრო მოხერხებული აღწერის მიზნით, არა უშუალოდ დიფერენციალური განტოლებით, არამედ კოეფიციენტების საშუალებით, რომლებიც განსაზღვრავენ კავშირს შესასვლელ და გამოსასვლელ პარამეტრებს შორის. ესენია

- გადაცემის ფუნქციები;
- გარდამავალი მახასიათებლები (ფუნქციები);
- გადაცემის კომპლექსური კოეფიციენტი (გკკ).

გადაცემის ფუნქციის განსაზღვრისათვის ყველაზე მიზანშეწონილია ლაპლასის გარდაქმნა, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ორ ფორმულას:

ლაპლასის პირდაპირი გარდაქმნა:

$$L[x(t)] = X(p) = \int_0^{\infty} x(t)e^{-pt} dt \quad (5.6)$$

ლაპლასის შებრუნებული (უკუ) გარდაქმნა:

$$L^{-1}[X(p)] = x(t) = \frac{1}{2\pi j} \int_{b-jw}^{b+jw} X(p)e^{pt} dp \quad (5.7)$$

სადაც  $L$  და  $L^{-1}$  - შესაბამისად ლაპლასის პირდაპირი და შებრუნებული გარდაქმნებია.

ლაპლასით გარდაქმნილი შემავალ  $X(p)$  და გამომავალ  $Y(p)$  სიდიდეებს ქვიათ **გამოსახულებები**.

$p$  - ს ქვეშ იგულისხმება კომპლექსური სიხშირე  $p = \sigma + j\omega$ . თუ  $p = j\omega$  ( $\sigma = 0$ ) ლაპლასის გარდაქმნა მის კერძო შემთხვევაში - **ფურიეს გარდაქმნაში**.

**წრფივი სახის გადაცემის ფუნქცია**  $W(p)$  არის გამოსასვლელი  $Y(p)$  გამოსახულების შეფარდებას შესასვლელ  $X(p)$  სიდიდესთან ნულოვანი საწყისიპირობებისთვის, ანუ დამატებითი ენერჯის არ ქონის შემთხვევაში.

$$W(p) = \frac{Y(p)}{X(p)} \quad (5.8)$$

ჩვენ ვიცით, რომ სიგნალი სისტემის გამოსასვლელზე შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სისტემის შესასვლელზე რომელიღაც ოპერატორის ზემოქმედების შედეგი. წრფივი მოდელებისათვის ასეთი ოპერატორი შეიძლება ჩაწერილ იქნას შემდეგნაირად: ვთქვათ ობიექტის მოდელი მოცემულია მეორე რიგის წრფივი დიფერენციალური განტოლებით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს შესასვლელს  $x(t)$  და გამოსასვლელს  $y(t)$  გამოსასვლელს ასე (5.9):

$$b_2 \frac{d^2 y(t)}{dt^2} + b_1 \frac{dy(t)}{dt} + b_0 y(t) = a_1 \frac{dx(t)}{dt} + a_0 x(t) \quad (5.9)$$

სადაც  $a_i$  ( $i = 0,1$ ) და  $b_i$  ( $i = 0,1,2$ ) მუდმივებია.

შემოვიტანოთ დიფერენცირების ოპერატორი  $p = \frac{d}{dt}$ , რომელიც მოქმედებს  $x(t)$  სიგნალზე შემდეგი წესით.  $p x(t) = \frac{dx(t)}{dt}$ . მივაქციოთ ყურადღება, რომ ჩანაწერი  $p x(t)$  არ ნიშნავს  $p$  და  $x(t)$  სიდიდეების ნამრავლს არამედ  $p$  ოპერატორის ზემოქმედებას, ანუ  $x(t)$  ცვლადის დიფერენცირებას. ახლა ჩავწეროთ შესასვლელს  $x(t)$  და გამოსასვლელს  $y(t)$  გამოსასვლელის დროზე დამოკიდებული (5.9) განტოლება ოპერატორული ფორმით

$$\dot{y}(t) = \frac{dy(t)}{dt} = py(t), \quad \ddot{y}(t) = \frac{d^2y(t)}{dt^2} = p^2y(t), \quad \dot{x}(t) = \frac{dx(t)}{dt} = px(t).$$

ჩავწეროთ ამ აღნიშვნებით (5.9) მივიღებთ:

$$b_2p^2y(t) + b_1py(t) + b_0y(t) = a_1px(t) + a_0x(t) \quad (5.10)$$

(5.10) მარცხენამხარდან გავიტანოთ  $y(t)$  ხოლო, მარჯვენა მხარედან  $x(t)$

მივიღებთ

$$(b_2p^2 + b_1p + b_0)y(t) = (a_1p + a_0)x(t). \quad (5.11)$$

(5.11)-დან ჩანს, რომ  $y(t)$  გამოსასვლელ ცვლადზე ზემოქმედებს  $b_2p^2 + b_1p + b_0$  ოპერატორი, ხოლო  $x(t)$  შესასვლელ ცვლადზე  $a_1p + a_0$  ოპერატორი. (5.11)-ის ორივე მხარე გავყოთ  $b_2p^2 + b_1p + b_0$ -ოპერატორზე მივიღებთ კავშირს შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის (5.12)

$$y(t) = \frac{a_1p + a_0}{b_2p^2 + b_1p + b_0} x(t) = W(p)x(t) \quad (5.12)$$

სადაც  $W(p)x(t)$  ნამრავლი კი არ არის არამედ რთული  $W(p)$  ოპერატორის ზემოქმედება  $x(t)$  შესასვლელ ცვლადზე სადაც

$$W(p) = \frac{a_1p + a_0}{b_2p^2 + b_1p + b_0}. \quad (5.13)$$

სხვა სიტყვებით ჩანაწერი  $y(t) = W(p)x(t)$  არის (5.9) განტოლების სიმბოლური ჩანაწერი, რომელზეც ოპერირება გაცილებით იოლია.

$W(p)$  ფუნქციას ეწოდება (5.9) განტოლებით აღწერილი ობიექტის **გადაცემის ფუნქცია**. იგი სრულად აღწერს ობიექტის შესასვლელსა და გამოსასვლელს შორის კავშირს, ნულოვანი საწყისი პირობების შემთხვევაში, მაგრამ არ ითვალისწინებს ობიექტის შიგა აგებულებას.

ხშირად გადაცემის ფუნქციას უწოდებენ  $W(\lambda)$  ფუნქციას, რომელიც მიიღება (5.13) - დან, თუ  $p$  ოპერატორს შევცვლით დამოუკიდებელი  $\lambda$  ცვლადით. მაშინ ეს ფუნქცია წარმოადგენს ორი  $\lambda$  ცვლადზე დამოკიდებული პოლინომის (მრავალწევრის) ფარდობას. გადაცემის  $W(\lambda)$  ფუნქციას ეწოდება **წესიერი** თუ მისი მრიცხველი უფრო ნაკლები ხარისხის მრავალწევრია ვიდრე მნიშვნელი და **არაწესიერი** თუ მრიცხველი უფრო მეტი ხარისხის მრავალწევრია ვიდრე მნიშვნელი. მაგალითად ფუნქცია  $\frac{1}{\lambda+1}$

მკაცრად წესიერია; ფუნქცია  $\frac{\lambda}{\lambda+1}$  არამკაცრად წესიერია ( ბიწესიერია); ხოლო ფუნქცია  $\frac{\lambda^2+\lambda+1}{\lambda+1}$  არაწესიერია.

გადაცემის ფუნქციის ნოლები ეწოდებათ მრიცხველი მრავალწევრის ფესვებს, ხოლო პოლუსები მნიშვნელში მოცემული მრავალწევრის ფესვებს. მაგალითად ფუნქციის  $W(\lambda) = \frac{\lambda-1}{\lambda^2+3\lambda+1}$  ნოლია  $\lambda = 1$ , ხოლო პოლუსები  $\lambda = -1$  და  $\lambda = -2$ .

განვიხილოთ წრფივი სახის გადაცემის ფუნქციის აგების მაგალითები.

1. ავაგოთ სისტემის გადაცემის ფუნქცია, მოცემული დიფერენციალური განტოლებით და ნულოვანი საწყისი პირობებით. ეს განტოლებაა (5.14):

$$4\ddot{y}(t) + 2\dot{y}(t) + 10y(t) = 5x(t) \quad (5.14)$$

მივიყვანოთ განტოლება სტანდარტულ სახემდე (5.15)

$$0, 4\ddot{y}(t) + 0, 2\dot{y}(t) + y(t) = 0, 5x(t) \quad (5.15)$$

ჩავწეროთ (5.15) განტოლება ოპერატორული ფორმით გავიხსენოთ მეორე წარმოებილი  $\equiv p^2$ , პირველი  $\equiv p$ , მაშინ (5.15) მიიღებს სახეს (5.16)

$$0, 4p^2 y(p) + 0, 2py(p) + y(p) = 0, 5x(p) \quad (5.16)$$

გავიტანოთ მარცხენა მხარეში ფრჩხილებს გარეთ  $x_2(p)$  მივიღებთ (5.17)-ს

$$(0, 4p^2 + 0, 2p + 1)y(p) = 0, 5x(p) \quad (5.16)$$

მაშინ სისტემის გადაცემის ფუნქციას  $W(p)$ -ექნება სახე (5.17)

$$W(p) = \frac{y(p)}{x(p)} = \frac{0, 5}{(0, 4p^2 + 0, 2p + 1)} \quad (5.17)$$

2. მოვძებნოთ სისტემის გადაცემის ფუნქცია ნულოვანი საწყისი პირობებით და შემდეგი დიფერენციალური განტოლებით(5.18):

$$2\dot{y}(t) + 4y(t) = 2\dot{x}(t) + 5x(t) \quad (5.18)$$

წარმოვადგინოთ სტანდარტული სახით (5.19)

$$0, 2\dot{y}(t) + 0, 4y(t) = 0, 2\dot{x}(t) + 0, 5x(t) \quad (5.19)$$

(5.19) ჩავწეროთ ოპერატორული ფორმით, მივიღებთ (5.20)-ს.

$$0, 2py(p) + 0, 4y(p) = 0, 2px(p) + 0, 5x(p) \quad (5.20)$$

გავიტანოთ  $y(p)$  და  $x(p)$  შესაბამისად მარცხენა და მარცხენა მხარიდან მივიღებთ (5.21)-ს

$$(0, 2p + 0, 4)y(p) = (0, 2p + 0, 5)x(p) \quad (5.21)$$

აქედან სისტემის გადაცემის ფუნქციას  $W(p)$ -ს ექნება სახე (5.22)

$$W(p) = \frac{y(p)}{x(p)} = \frac{0, 2p + 0, 5}{0, 2p + 0, 4} \quad (5.22)$$

3. მოვებნოთ სისტემის გადაცემის ფუნქცია ნულოვანი საწყისი პირობებით და შემდეგი დიფერენციალური განტოლებით(5.23):

$$6\ddot{y}(t) + \dot{y}(t) + 2y(t) = 8\ddot{x}(t) + 2\dot{x}(t)f(t) + 7x(t) \quad (5.23)$$

წარმოვადგინოთ სტანდარტული სახით (5.24)

$$0,6\ddot{y}(t) + 0,1\dot{y}(t) + 0,2y(t) = 0,8\ddot{x}(t) + 0,2\dot{x}(t)f(t) + 0,7x(t) \quad (5.24)$$

ჩავწეროთ ოპერატორული ფორმით, მივიღებთ (5.24)-ს.

$$0,6p^2y(p) + 0,1py(p) + 0,2y(p) = 0,8p^2x(p) + 0,2px(p)f(p) + 0,7x(p) \quad (5.24)$$

გავიტანოთ  $y(p)$  და  $x(p)$  შესაბამისად მარცხენა და მარცხენა მხარიდან მივიღებთ (5.25)-ს

$$(0,6p^2 + 0,1p + 0,2)y(p) = (0,8p^2 + 0,2pf(p) + 0,7)x(p) \quad (5.25)$$

აქედან სისტემის გადაცემის ფუნქციას  $W(p)$ -ს ექნება სახე

$$W(p) = \frac{y(p)}{x(p)} = \frac{0,8p^2 + 0,2pf(p) + 0,7}{0,6p^2 + 0,1p + 0,2}$$

## თავი 6

მართვის სისტემების გრაფიკული წარმოდგენა.

6.1. მართვის სისტემების მოდელები სტრუქტურული სქემის სახით.

სისტემის სტრუქტურული სქემა წარმოადგენს გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც აჩვენებს თუ რა ელემენტებისგან შედგება სისტემა და როგორ არიან ისინი ურთიერთდაკავშირებული. სტრუქტურული სქემა ასახავს სისტემის დინამიკურ თვისებებს და წარმოადგენს მათემატიკურ მოდელს. სტრუქტურული სქემის შესაბამისად, ყოველთვის შეგვიძლია ავაგოთ სისტემის გადაცემის ფუნქცია და მისი დიფერენციალური განტოლება. სტრუქტურირებული მეთოდის საფუძვლები სტრუქტურული სქემის ძირითადი ელემენტებია:

1. მოქმედების მიმართულების დინამიური რგოლები. წარმოდგენილია მართკუთხედებით, რომლებშიც ასახულია სიგნალის გადამყვანი ოპერატორები. მიმართულების კავშირებში სიგნალი შესასვლელიდან გადადის გამოსასვლელზე. როდესაც შესასვლელზე სიგნალი იცვლება, გამომავალი სიგნალიც იცვლება, როდესაც გამომავალი სიგნალი იცვლება, შესასვლელზე სიგნალი არ იცვლება. მოქმედების მიმართულების რგოლების შეერთებისას, მათი დინამიური თვისებები არ იცვლება.

2. რგოლები, რომლებიც მითითებულია ისრებით, მიუთითებენ სიგნალის გადაცემის მიმართულებას. განასხვავებენ პირდაპირ და უკუკავშირს.
3. ამჯამავეები („სუმატორები“) არიან რგოლები, რომლებშიც მიიღება სიგნალების ჯამი ან სხვაობა.
4. განშტოების კვანძები, მითითებულია წერტილებით, რომლებშიც სიგნალები ერთმანეთისაგან ნაწილდებიან ორი ან მეტი მიმართულებით.


სტრუქტურულ დიაგრამებზე ყველა ტიპის ზემოქმედება აღწერილია ქვემოთ მოყვანილ ნახაზებში. სტრუქტურულ სქემებში გამოიყენება შემდეგი ტიპის კავშირები :

- მიმდევრობითი;
- პარალელური (შემხვედრი);
- შერეული (პარალელური - მიმდევრობით ან მიმდევრობით-პარალელური).

მიმდევრობითი კავშირი არის კავშირი, რომელშიც წინა რგოლიდან გამომავალი მნიშვნელობა წარმოადგენს მომდევნო რგოლის შესასვლელ მნიშვნელობას. იხილე .ნახ.6.1

$$x_1 = x \cdot K_1(p);$$

$$y = x_1 \cdot K_2(p) = x \cdot K_1(p) \cdot K_2(p).$$



ნახ. 6.1 მიმდევრობითი კავშირის სქემა

მიმდევრობითი შეერთებისას გადაცემის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:


$$K(p) = \prod_{i=1}^n K_i(p) \quad (6.1)$$

პარალელური - არის შეერთება, რომელშიც მნიშვნელობა შესასვლელზე საერთოა ყველა რგოლისთვის, ხოლო გამომავალი ტოლია თითოეული რგოლის გამოსასვლელ მნიშვნელობათა ჯამისა (ნახ. 6.2).

$$y_1 = x \cdot K_1(p);$$

$$y_2 = x \cdot K_2(p);$$

$$y = y_1 + y_2 = x \cdot [K_1(p) + K_2(p)].$$




ნახ.6.2

პარალელური შეერთებისას გადაცემის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$K(p) = \sum_{i=1}^n K_i(p) \quad (6.2)$$

პარალელური (შემხვედრი) ეწოდება ასეთ კავშირს რომლის დროსაც ხორციელდება უკუკავშირი ანუ, როდესაც გამოსასვლელი სიგნალი ისევ მიეწოდება შესასვლელზე (ნახ.6.3) უკუკავშირი - უკუკავშირი შეიძლება იყოს დადებითი (თუ შეყვანის სიგნალი და უკუკავშირის სიგნალი იგივეა) და უარყოფითი (თუ ისინი ნიშნის საწინააღმდეგობაა). პრაქტიკაში უარყოფითი უკუკავშირი (NF) ფართოდ გამოიყენება სისტემის სტაბილური მუშაობისთვის.



$$y = x K_1(p); \quad x_1 = x - x_{oc} = x - x_1 K_1(p) K_2(p);$$


$$x_1 (1 + K_1(p) K_2(p)) = x$$

$$x_1 = \frac{x}{(1 + K_1(p) K_2(p))};$$

$$y = x \frac{K_1(p)}{1 + K_1(p) K_2(p)}$$

ნახ.6.3 ჩაკეტილი სიტემა გადაცემის ფუნქციის გამოსათვლელი ფორმულებით.

მთავარი განშტოება არის განშტოება, რომელიც მოიცავს კავშირებს შესავალსა და გამოსავლას შორის. მთავარი კონტური არის კონტური, რომელიც მოიცავს ყველა რგოლს. (ნახ.6.4)



$$K_{\beta}(p) = \frac{Y(p)}{X(p)} = \frac{K_1(p)K_2(p)}{1 + K_1(p)K_2(p)};$$


$$K(p) = \frac{Y(p)}{Z(p)} = \frac{K_2(p)}{1 + K_1(p)K_2(p)}$$

ნახ.6.4 უკუკავშირის სქემა, (გვ) გამოსათვლელი ფორმულებით.

სადაც  $K_{\beta}(p)$  - არის ჩაკეტილი სისტემის გადაცემის ფუნქცია.

გვ - გადაცემის ფუნქცია.

ახლა განვიხილოთ ჩაკეტილი სისტემის ერთეულოვანი უკუკავშირის სტრუქტურული სქემა (ნახ.6.5):



$$K_{\varrho}(p) = \frac{B(p)}{A(p)};$$

$$K_{\beta}(p) = \frac{Y(p)}{1 + K_{\varrho}(p)} = \frac{B(p)}{A(p) + B(p)};$$

$$K_{\boxplus}(p) = \frac{Y(p)}{E(p)} = \frac{1}{1 + K_{\varrho}(p)} = \frac{A(p)}{A(p) + B(p)}.$$

ნახ. 6.5 ერთეულოვანი უკუკავშირის სტრუქტურული სქემა

$K_{\varrho}(p)$  - ღია სისტემის (გვ);

$K_{\beta}(p)$  - ჩაკეტილი სისტემის (გვ);


$K_{\boxplus}(p)$  - ერთეულოვანი უკუკავშირის სისტემის (გვ).



## 6.2. სტრუქტურული სქემის გარდაქმნა (გამარტივება).


ზოგადად, სისტემა შეიძლება იყოს მრავალკონტურიანი. ნებისმიერი მრავალკონტურიანი სისტემა შეიძლება შემცირდეს და გარდაიქმნას ერთკონტურიან სისტემად სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებით.

1. ამჯამავის (სუმატორი) გადატანა გამოსასვლელი რგოლიდან -შესასვლელზე (ნახ.6.6)



ნახ. 6.6

2. ამჯამავის (სუმატორი) გადატანა შესასვლელიდან გამოსასვლელზე- ნახ.6.7




ნახ.6.7

1. რგოლის გამსასვლელიდან შესასვლელზე გადატანა ნახ.6.8




ნახ.6.8

2. რგოლის შესასვლელიდან გამსასვლელზე გადატანა ნახ.6.9



ნახ.6.9


3. კიდევ ერთი გამარტივება ნახ.6.10




ნახ.6.10

ახლა განვიხილოთ იგივე საკითხები უფრო დაწვრილებით აქცენტი გავაკეთოთ სისტემის სქემატურ წარმოდგენაზე:


1. დინამიური რგოლების მიმდევრობითი შეერთების სქემა:




2. დინამიური რგოლების პარალელური შეერთება:




3. ჩაკეტილი კონტური უარყოფითი უკუკავშირით:




4. ჩაკეტილი კონტური დადებითი უკუკავშირით:




5. დინამიურ რგოლში განშტოების წერტილის გადატანა :




6. დინამიურ რგოლში ამჯამავის გადატანა:




7. დასაჯამებელი რგოლების გადაადგილება:



8. განშტოების წერტილის გადატანა ამჯამავე რგოლის გამოსასვლელიდან შესასვლელზე:




9. განშტოების წერტილის გადატანა ამჯამავე რგოლის შესასვლელიდან გამოსასვ-



ლელზე:

### 6.3. ზედღების (სუპერპოზიციის) პრინციპი


ახლა გამოვიყენოთ ზემოთ მოცემული წესები ნახ.6.11 - ზე მოცემული სტრუქტურული სქემისთვის.




ნახ.6.11

ამ ტიპის გარდაქმნებს მოცემული სქემის შეკუმშვას უწოდებენ.


1. 6.11-ში მეორე ამჯამავე რგოლის  $\Sigma_2$ -ის გადატანა  $W_1(s)$  დინამიური რგოლის გადაღმა.




2. 6.11-ში აბჯამავ რგოლებს  $\Sigma_1$  და  $\Sigma_2$  გავუცვალოთ ადგილები:




3. 6.11-ში გარდავექმნათ მიმდევრობით მოცემული დინამიური რგოლები  $W_1(s)$  და  $W_2(s)$ .




4. გარდავექმნათ ჩაკეტილი კონტური უარყოფითი უკუკავშირით ( $\Sigma_1, W_1(s)$ ,  $W_2(s)$ ,  $W_3(s)$ ).



5. ამჯამავე რგოლი  $\Sigma_2$  გადავიტანოთ მარჯვნივ:



6. გარდავექმნათ მიმდევრობით მოცემული რგოლები:



მიღებული სტრუქტურული სქემის მიხედვით ჩავწეროთ ოპერატორული განტოლება (6.3) სახით

$$Z(s) = X(s) \frac{W_1(s) W_2(s)}{1 + W_1(s) W_2(s) W_3(s)} + Y(s) \frac{W_2(s)}{1 + W_1(s) W_2(s) W_3(s)} = X(s) W_{ZX}(s) + Y(s) W_{ZY}(s) \quad (6.3)$$

(6.3) განტოლებიდან ჩანს, რომ  $Z(s)$  არის  $W_{ZX}(s)$  და  $W_{ZY}(s)$ -ების წრფივი კომბინაცია. გამოვარკვით ამ კოეფიციენტების არსი  $W_{ZX}(s)$  კოეფიციენტის მაგალითზე. ამისათვის (6.3)-ში  $Y(s) = 0$ , მაშინ მივიღებთ -


$$W_{ZX}(s) = \frac{Z(s)}{X(s)} = \frac{W_1(s) W_2(s)}{1 + W_1(s) W_2(s) W_3(s)} \quad (6.4)$$

ამგვარად, (6.4)-დან ჩანს, რომ  $W_{ZX}(s)$  არის დინამიური რგოლის გადაცემის ფუნქცია. რომლითვისაც გარდაქმნილია სტრუქტურული სქემა (ნახ. 6.11), რომელშიც ყველა შესასვლელი სიგნალი ნოლის ტოლია, გარდა  $X(s)$  - ისა.

ახლა განვიხილოთ ზედღების(სუპერპოზიციის) პრინციპის გამოყენება

(ნახ. 6.11) - ზე მოცემული სტრუქტურული სქემის მიხედვით.


1. დავუშვათ (6.11) სქემაზე მოცემულ სისტემაში  $Y(s) = 0$  ავაგოთ ამ შემთხვევის შესაბამისი სტრუქტურული სქემა



გამოვიყენოთ ექვივალენტური გარდაქმნები, მივითღებთ გამოსახულებას (6.5):

$$W_{ZX}(s) = \frac{Z(s)}{X(s)} \Big|_{Y(s)=0} = \frac{W_1(s) W_2(s)}{1 + W_1(s) W_2(s) W_3(s)} \quad (6.5)$$


2. ახლა დავუშვათ (6.11) სქემაზე მოცემულ სისტემაში  $X(s) = 0$  და ავაგოთ ამ შემთხვევის შესაბამისი სტრუქტურული სქემა



გამოვიყენოთ ექვივალენტური გარდაქმნები, მივითღებთ გამოსახულებას (6.6):

$$W_{ZX}(s) = \frac{Z(s)}{Y(s)} \Big|_{X(s)=0} = \frac{W_2(s)}{1 + W_1(s) W_2(s) W_3(s)} \quad (6.6)$$

გვაქვს რა  $W_{ZX}(s)$  და  $W_{ZY}(s)$  სიდიდეები ზედდების(სუპერპოზიციის) პრინციპის გამოყენებით შეგვიძლია წარმოვადგინოთ (ნახ.6.11)-ზე მოცემული (მას) - ის სტრუქტურული სქემის გარდაქმნილი ვარიანტი



<http://drive.ispu.ru/elib/lebedev/7.html>

## თავი 7

თემა. მართვის სისტემების მათემატიკური აღწერის თანამედროვე ფორმა.

### 7.1. მართვის სისტემების მათემატიკური აღწერა მდგომარეობის სივრცის მეთოდით.

მდგომარეობის სივრცეს, ჩვეულებრივად, დინამიური სისტემის ფაზურ სივრცეს უწოდებენ, ხოლო ამ სივრცეში მოცემული წერტილის მოძრაობის ტრაექტორიას - ფაზურ ტრაექტორიას. მდგომარეობის სივრცეში იქმნება დინამიური სისტემის მოდელი, რომელიც მოიცავს შემავალ, გამომავალ და მდგომარეობის ცვლადებს, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებული პირველი რიგის დიფერენციალური განტოლებებით, რომლებიც მოცემულნი არიან მატრიცული ფორმით. გადაცემის ფუნქციისა და სხვა სიხშირული მეთოდებისგან განსხვავებით, მდგომარეობათა სივრცული მეთოდი საშუალებას გვაძლევს ვიმუშაოთ არა მხოლოდ წრფივ სისტემებთან და ნულოვან საწყის პირობებთან. გარდა ამისა, შედარებით მარტივია მდგომარეობის სივრცეში MIMO სისტემებთან მუშაობა.

წრფივი უწყვეტი სისტემები წრფივი სისტემა, რომელსაც გააჩნია  $p$  შესასვლელი ცვლადი,  $q$  გამოსასვლელი ცვლადი და  $n$  მდგომარეობის ცვლადი შეიძლება ჩავწეროთ შემდეგნაირად (7.1):

$$\begin{aligned} \dot{x}(t) &= A(t)x(t) + B(t)u(t) \\ y(t) &= C(t)x(t) + D(t)u(t) \end{aligned} \quad (7.1)$$

სადაც  $x(t) \in \mathbb{R}^n; y(t) \in \mathbb{R}^q; u(t) \in \mathbb{R}^p;$

$$\dim[A(\cdot)] = n \times n, \dim[B(\cdot)] = n \times p, \dim[C(\cdot)] = q \times n, \dim[D(\cdot)] = q \times p,$$

$$\dot{x}(t) := \frac{dx(t)}{dt};$$

$x(\cdot)$  - მდგომარეობის ვექტორი, რომლის ელემენტებს ეწოდებათ სისტემის მდგომარეობა,

$y(\cdot)$  - გამოსასვლელი ვექტორი,

$u(\cdot)$  - მართვის ვექტორი,

$A(\cdot)$  - სისტემის მატრიცა,

$B(\cdot)$  - მართვის მატრიცა,

$C(\cdot)$  - გამოსასვლელი მატრიცა,

$D(\cdot)$  - პირდაპირი კავშირის მატრიცა. ხშირად მატრიცა  $D(\cdot)$ -ს არის ნულოვანი, რაც

ნიშნავს, რომ სისტემაში არ არის პირდაპირი კავშირი.

დისკრეტული სისტემები მდგომარეობათა სივრცეში განტოლებები ჩაიწერებიან არა დიფერენციალური არამედ სხვაობიანი განტოლებების სახით (7.2):

$$\begin{aligned} x(nT + T) &= A(nT)x(nT) + B(nT)u(nT) \\ y(nT) &= C(nT)x(nT) + D(nT)u(nT) \end{aligned} \quad (7.2)$$



არაწრფივი სისტემები  $n$  - ური რიგის არაწრფივი დინამიური სისტემა შეიძლება აღიწეროს პირველი რიგის  $n$  დიფერენციალური განტოლებით ასე (7.3):

$$\begin{aligned} \dot{x}_1 &= f_1(x_1(t), \dots, x_n(t), u_1(t), \dots, u_m(t)) \\ &\cdot \\ &\cdot \\ &\cdot \\ \dot{x}_n &= f_n(x_1(t), \dots, x_n(t), u_1(t), \dots, u_m(t)) \end{aligned} \quad (7.3)$$

ან უფრო კომპაქტური ფორმით შეიძლება ჩაიწეროს (7.4) სახით:

$$\begin{aligned} \dot{\mathbf{x}}(t) &= \mathbf{f}(t, \mathbf{x}(t), \mathbf{u}(t)) \\ \mathbf{y}(t) &= \mathbf{h}(t, \mathbf{x}(t), \mathbf{u}(t)). \end{aligned} \quad (7.4)$$

პირველი განტოლება არის მდგომარეობის განტოლება, მეორე გამოსასვლელი განტოლება. გაწრფივება ზოგიერთ შემთხვევებში ( $\tilde{\mathbf{x}}, \tilde{\mathbf{u}}$ ) მუშა წერტილის მიდამოში დინამიური სისტემის აღწერის გაწრფივება. მოცემულ რეჟიმში ( $\tilde{\mathbf{u}} = \mathbf{const}$ ) მუშა ( $\tilde{\mathbf{x}} = \mathbf{const}$ ) ადგილი აქვს შემდეგ გამოსახულებას:

$$\dot{\mathbf{x}} = \mathbf{f}(\tilde{\mathbf{x}}, \tilde{\mathbf{u}}) = \mathbf{0}$$

შემოვიღოთ აღნიშვნა  $\delta \mathbf{u} = \mathbf{u} - \tilde{\mathbf{u}}$ ,  $\delta \mathbf{x} = \mathbf{x} - \tilde{\mathbf{x}}$ .

თუ შემოვიფარგლებით  $\mathbf{f}(\mathbf{x}(t), \mathbf{u}(t))$  მდგომარეობის განტოლების პირველი ორი წევრით ტეილორის მწკრივად მისი გაშლა მიიღებს სახეს (7.5):

$$\mathbf{f}(\mathbf{x}(t), \mathbf{u}(t)) \approx \mathbf{f}(\tilde{\mathbf{x}}(t), \tilde{\mathbf{u}}(t)) + \frac{\delta \mathbf{f}}{\delta \mathbf{x}} \delta \mathbf{x} + \frac{\delta \mathbf{f}}{\delta \mathbf{u}} \delta \mathbf{u} \quad (7.5)$$

თუ ავიღებთ  $\mathbf{f}$  ვექტორ-ფუნქციის კერძო წარმოებულებს მდგომარეობის  $\mathbf{x}$  ვექტორის და მართვის  $\mathbf{u}$  ვექტორის მიხედვით მივიღებთ იაკობის მატრიცას შესაბამისი ფუნქციის სისტემისათვის (7.6)

$$\frac{\delta \mathbf{h}}{\delta \mathbf{x}} = \begin{bmatrix} \frac{\delta h_1}{\delta x_1} & \dots & \frac{\delta h_1}{\delta x_n} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ \frac{\delta h_q}{\delta x_1} & \dots & \frac{\delta h_q}{\delta x_n} \end{bmatrix} \quad \frac{\delta \mathbf{h}}{\delta \mathbf{u}} = \begin{bmatrix} \frac{\delta h_1}{\delta u_1} & \dots & \frac{\delta h_1}{\delta u_p} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ \frac{\delta h_q}{\delta u_1} & \dots & \frac{\delta h_q}{\delta u_p} \end{bmatrix} \quad (7.6)$$

ანალოგიური იაკობის მატრიცა აიგება გამოსასვლელი  $\mathbf{h}$  ფუნქციისათვისაც (7.7)

$$\frac{\delta f}{\delta x} = \begin{bmatrix} \frac{\delta f_1}{\delta x_1} & \dots & \frac{\delta f_1}{\delta x_n} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ \frac{\delta f_n}{\delta x_1} & \dots & \frac{\delta f_n}{\delta x_n} \end{bmatrix} \quad \frac{\delta f}{\delta u} = \begin{bmatrix} \frac{\delta f_1}{\delta u_1} & \dots & \frac{\delta f_1}{\delta u_p} \\ \vdots & \ddots & \vdots \\ \frac{\delta f_n}{\delta u_1} & \dots & \frac{\delta f_n}{\delta u_p} \end{bmatrix} \quad (7.7)$$

თუ მივიღებთ მხედველობაში სამუშაო ცვლადის მიდამოში  $\delta \dot{x} = \dot{x} - \dot{\hat{x}} = \dot{x}$  ამ ტოლობას, მაშინ დინამიური სისტემის გაწრფივებული აღწერა მიიღებს სახეს (7.8)

$$\begin{aligned} \dot{x} &= A\delta x + B\delta u \\ \delta y &= C\delta x + D\delta u \end{aligned} \quad (7.8)$$

სადაც  $A = \frac{\delta f}{\delta x}$   $B = \frac{\delta f}{\delta u}$   $C = \frac{\delta h}{\delta x}$   $D = \frac{\delta h}{\delta u}$

## 7.2. მდგომარეობის ცვლადები და სივრცე.

თუ სისტემა დამოკიდებულია დროზე ( $t$  პარამეტრი) და არაწრფივია, ამ შემთხვევაში სიხშირული მეთოდების გამოყენება (სისტემის შესაბამისი ტრანსფორმაციის შემდეგ) გარკვეულ წილად რთულდება. საჭირო ხდება სხვადასხვა რიცხვითი მეთოდების გამოყენება, რომლებიც კომპიუტერზე ადვილად რეალიზებადია. ამ შემთხვევაში მოხერხებულია სისტემის წარმოდგენა მდგომარეობათა სივრცეში მდომარეობის ცვლადების გამოყენებით.

სისტემის მდგომარეობათა სისტემაში მდგომარეობის ცვლადებით წარმოდგენისათვის და მათი ამოხსნისათვის გავიხსენოთ უმაღლესი მათემატიკიდან ზოგიერთი საკითხები:

1. **მატრიცა** - ეს არის ცხრილური სახით წარმოდგენილი რიცხვები ან ობიექტები მატრიცა(მართკუთხოვანი  $m \neq n$ ) ჩაიწერება ასე (7.9):

$$A = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ a_{m1} & a_{m2} & \dots & a_{mn} \end{pmatrix} \quad (7.9)$$

თუ  $m=n$  მაშინ ეს არის **კვადრატული მატრიცა** იგი წარმოდგენილია (7.10)-ზე: სვეტ-ვექტორი კი წარმოდგენილია (7.11)-ზე:

$$A = \begin{pmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ a_{n1} & a_{n2} & \dots & a_{nn} \end{pmatrix} \quad (7.10)$$

$$A = \begin{pmatrix} a_1 \\ a_2 \\ \vdots \\ a_n \end{pmatrix} \quad (7.11)$$

$$A = \begin{pmatrix} D_1 & 0 & \cdot & 0 \\ 0 & D_2 & \cdot & 0 \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ 0 & 0 & \cdot & D_n \end{pmatrix} \quad \text{ეს არის დიაგონალური მატრიცა}$$

$$A = \begin{pmatrix} 1 & 0 & \cdot & 0 \\ 0 & 1 & \cdot & 0 \\ \cdot & \cdot & \cdot & \cdot \\ 0 & 0 & \cdot & 1 \end{pmatrix} \quad \text{ეს არის ერთეულოვანი მატრიცა}$$

ახლა გავიხსენოთ ძირითადი ოპერაციები მატრიცებზე:

1. მატრიცების შეკრება:

$$A = \begin{bmatrix} a_{11} & a_{12} & a_{13} \\ a_{21} & a_{22} & a_{23} \\ a_{31} & a_{32} & a_{33} \end{bmatrix} \quad A+B = \begin{bmatrix} a_{11} + b_{11} & a_{12} + b_{12} & a_{13} + b_{13} \\ a_{21} + b_{21} & a_{22} + b_{22} & a_{23} + b_{23} \\ a_{31} + b_{31} & a_{32} + b_{32} & a_{33} + b_{33} \end{bmatrix}$$

$$B = \begin{bmatrix} b_{11} & b_{12} & b_{13} \\ b_{21} & b_{22} & b_{23} \\ b_{31} & b_{32} & b_{33} \end{bmatrix}$$

2. მატრიცების გამოკლება:

$$A-B = \begin{bmatrix} a_{11} - b_{11} & a_{12} - b_{12} & a_{13} - b_{13} \\ a_{21} - b_{21} & a_{22} - b_{22} & a_{23} - b_{23} \\ a_{31} - b_{31} & a_{32} - b_{32} & a_{33} - b_{33} \end{bmatrix}$$

3. მატრიცების გამრავლება:

თუ სითბოგაცვლის პროცესი მიმდინარეობს სტაციონარულად, მაშინ ტემპერატურა მასალის ყოველ წერტილში (სითბომატარებლებისა და ტიხრისა) არ იცვლება დროში. თავმოყრილი პარამეტრების მოდელების გამოყენებას (ანუ, როცა სივრცითი კორდინატები არ გამოიყენებიან მათემატიკური აღწერილობაში) მივდივართ სისტემაში ტემპერატურებს შორის ალგებრულ დამოკიდებულებასთან. ხოლო, როცა ტემპერატურები იცვლებიან დროში მათემატიკური აღწერილობა საჭიროებს დიფერენციალური განტოლებების სისტემების გამოყენებას სადაც არგუმენტია დრო.

ტემპერატურების გეომეტრიულ კორდინატებზე დამოკიდებულება განსაზღვრავს სტატიკის აღწერას ან ჩვეულებრივი ან კერძოწარმოებულიანი დიფ განტოლებების საშუალებით. დამოუკიდებელ ცვლადებად ამ დროს გამოიყენებიან სივრცითი კორდინატები. სივრცობრივად-განაწილებულიეფექტების პირობებში დინამიური მოდელები წარმოიდგინებიან კერძოწარმოებულიანი დიფ. განტოლებების, ამასთან ერთ-ერთ დამოუკიდებელ ცვლადს წარმოადგენს დრო.

სითბოს გადაცემის ინტესივობა სითბოსმატარებელსა(გაზის ან სითხის ცხელი ნაკადი) სხვა (ტიხარი) გარემოზე დამოკიდებულია მათ შორის ტემპერატურათა სხვაობაზე. აგრეთვე თერმოწინალობაზე. გამომთველ განტოლებებში როგორც წესი , რთავენ არა წინალობას არამედ სითბოსგაცემის კოეფიციენტი -  $\alpha, q$  - სითბური ნაკადი( კკალ/სთ, ვტ) $1\text{მ}^3$  ფართობისათვის ტემპერატურათა სხვაობის დროს (ტემპერატურული ნაკადი)  $1^0$

სრული სითბური ნაკადი  $q$  განისაზღვრება სითბოგაცემის ( $\alpha$ ) , ზედაპირის ფართობის (F) და ტემპერატურული ნაკადის  $\Delta T$  ნამრავლით :

$$q = \alpha F \Delta T . \quad (15.1)$$

(15.1) განტოლება გამოყენებადია, როგორც ტიხრის ცხელი სითხით გაცხელებისას, ასევე ცივი სხის ნაკადით ცხელ ტიხარზე ზემოქმედებისას ამ დროს  $\Delta T$  -ს ექნება სხვადასხვა ნიშანი.

თუ უგულვებელყოფთ სითბოს გავრცელებას ტიხარში, მაშინ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ სითბოს გავრცელება ასე: სითბოს გავრცელება ცხელი სითხიდან ცივ ტიხარზე და მეორე გამთბარი ტიხარის ერთი მხარიდან მეორე ცივ მხარეზე გადაცემა. ეს პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ , როგორც სითბური ნაკადის მიერ ორი სითბოგადაცემის წინააღმდეგობის პროცესის გადალახვა. ცხელი ნაკადიდან ტიხარზე და გაცხელებული ტიხარიდან ცივ ნაკადზე.

წინალობის მაგივრად სითბოგაცემის კოეფიციენტების ( $\alpha_1$  და  $\alpha_2$  ) გამოყენებით ვიღებთ სითბოგადაცემის კოეფიციენტის (K) -ს გამოთვლის ფორმულას:

$$\frac{1}{K} = \frac{1}{\alpha_1} + \frac{1}{\alpha_2} \quad (15.2)$$

პრაქტიკული გამოთვლების დროს სითბოგადაცემის კოეფიციენტს იყენებენ, როგორც ნაკადებს შორის სითბოგაცვლის ინტენსივობის მახასიათე

$$q = \alpha F \Delta T. \quad (15.3)$$

იმ შემთხვევებში, როცა ეს კოეფიციენტები განიხილებიან ცალკე-ცალკე გამოიყენებენ საშუალო ტემპერატურას ტიხრისას, რომელიც ყოფს ნაკადებს. იგულისხმება რომ ტიხრის სითბოგამტარობა ისეთი დიდია (ტიხრის მასალის გათვალისწინებით), რომ ტემპერატურათა სხვაობა გამოირიცხება.

სითბოგადაცემის კოეფიციენტები დამოკიდებულია მრავალ პარამეტრზე, მაგრამ ყველაზე ძლიერად დამოკიდებულია ნაკადის სიჩქარეზე, სითხის ტიხარზე მისხმის სიმძაფრეზე, სითხის სიმკვრივესა და სითბოგამტარობაზე. ზუსტი გათვლების წარმოების დროს საჭიროა სითბოგადაცემის კოეფიციენტის დამოკიდებულება ნაკადის პარამეტრებზე აუცილებლად გასათვალისწინებელია. პრაქტიკაში კი სითბოგამტარობის სასკითხები რეაქტორების აგების საინჟინრო ვერსიებში საგრძნობლად გამარტივებულია.

სითბოგამტარობის პროცესის მათემატიკური აღწერისათვის სითბოგადაცემის პროცესი ტიხრის გადაღმა გადმოდმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული გარემოს სითბურ ბალანსის შედგება დროის ფარგლებში სითბოს მოსვლა-გაცემის სხვაობისაგან: **დაგროვება-მოდინება-გადინება**. სტატიკურად თუ მოდინება და გადინება ტოლია, მაშინ სითბოს დაგროვება არ არსებობს.

დაგროვება დამოკიდებულია ტემპერატურის ცვლილებასთან:

$$\rho c_p V \Delta T$$

ან ელემენტარული მოცულობისთვის

$$\rho c_p S de T dl$$

სადაც  $\rho$  – სიმკვრივე;  $c_p$  – ფარდობითი სითბოტევადობა;  $V$  – მოცულობა;  $S$  – ნაკადის კვეთა;  $dl$  – ნაკადის ელემენტარული მონაკვეთი.

სითბოს მოსვლა გასვლა განისაზღვრება სითბოგადაცემით, ხოლო მონაკად სისტემაში განაწილებული პარამეტრებით.

სითბოს ოდენობა, რომელიც მიეწოდება აპარატს კონვექტიკური ნაკადით განისაზღვრება ასე:

$$G \rho c_p T \tau$$

ხოლო ელემენტარული მოცულობისათვის

$$G \rho c_p T d\tau,$$

სადაც  $G$  – ნაკადის ხარჯის მოცულობა.



სითბოს რაოდენობა, რომელიც გადის კონვექტური ნასკადის მოცულობიდან, განოსაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$G\rho_p(T + \Delta T)\tau.$$

ან ელემენტარული მოცულობისთვის

$$G\rho_p(T + dT)d\tau.$$

სითბოს მოსვლა, განისაზღვრული სითბოგაცემით

$$K \frac{F}{V}(T_g - T)V\tau,$$

ან ელემენტარული მოცულობისთვის

$$K \frac{FS}{V}(T_g - T)dld\tau,$$

სადაც  $T_g$  - გარე სითბოსმატარებლის ტემპერატურა.

სისტემაში დაგროვილი სითბოს გათვალისწინებით შეგვიძლია დეავწეროთ ფორმულა:

$$\rho_p V \Delta T = G\rho_p T\tau - G\rho_p(T + \Delta T)\tau + KF(T_g - T)\tau,$$

ანდა ელემენტარული მოცულობით ელემენტარულ დროში

$$\rho_p S dT dl = G\rho_p T d\tau - G\rho_p(T + dT)d\tau + K \frac{FS}{V}(T_g - T)dld\tau,$$

გარდაქმნების საფუძველზე მივიღებთ სითბური ბალანსის განტოლებას, რომელიც აღწერს სითბოგამცვლელების დინამიკას, რომლის მთლიან ნაკადში ხორციელდება სრული (იდეალური) შერევა ნაკადის ნაჭილაკებისა.

$$\rho_p V \frac{dT}{d\tau} = G\rho_p(T^0 - T) + KF(T_g - t) \quad (15.4)$$

სადაც  $T^0, T$  - არიან შესაბამისად ტემპერატურა ნაკადის შესასვლელზე და იდეალური შერევის ზონაში.

იმის გამო, რომ სტატიკურ რეჟიმში სისტემაში სითბოს დაგროვება ნოლის ტოლია, სითბოგაცვლის მოდელს სტატიკის შემთხვევისათვის ექნება სახე:

$$G\rho_p(T^0 - T) + KF(T_g - T) = 0 \quad (15.5)$$

მილისებურთა სითბოგაცვლის სტატიკა აღიწერება განტოლებით:

$$\frac{\partial T}{\partial l} = \frac{KF(T_g - T)}{u\rho_p V}. \quad (15.6)$$

სადაც  $u$  - ნაკადის მოძრაობის სიჩქარეა.

**15.3. მაგალითი 1.** სითბოგამცვლელი წარმოადგენს თხელკედლა კლაკნილა (გველუკა), რომელშიც იდეალური გამოდევნის რეჟიმში ხდება ნაკადის გაგრილება. კლაკნილა ჩაძირულია წყალში, რომელიც (წყალი) უწყვეტად მიედინება ჭურჭელში ისე, რომ გამაგრილებელი წყლის ტემპერატურა  $T_g$  პრაქტიკულად მუდმივად არის  $10^\circ\text{C}$  მთელს მოცულობაზე.

საჭიროა განვსაზღვროთ ტემპერატურა ნაკადის გამოსასვლელზე, რომელიც მიედინება კლავნილაში  $u=4\text{მ/წმ}$  სისწრაფით, თუ მისი ტემპერატურა შესასვლელზე არის  $95^{\circ}\text{C}$ , კლავნილას სიგრძე  $L=2\text{მ}$ , მისი კვეთა  $S=10^{-4}\text{მ}^2$ , სითბოგადაცემის კოეფიციენტი  $K=1,16 \cdot 10^4 \text{ვტ}/(\text{მ}^2 \cdot ^{\circ}\text{C})$ . გამაგრილებელი სითხის  $c_p = 2,93 \cdot 10^3 \text{ჯ}/(\text{კგ} \cdot ^{\circ}\text{C})$ , მისი სიმკვრივე  $\rho = 900 \text{კგ}/\text{მ}^3$ . პარამეტრები ჩავთვალოთ, რომ არ არიან დამოკიდებულნი ტემპერატურაზე, მოცულობის ცვლილებაც არ გავითვალისწინოთ. მუშაობის რეჟიმში ჩავთვალოთ სტაციონარულად.

გამაგრილებელი ნაკადის ტემპერატურა  $T$  ექვემდებარება (15.6) დიფერენციალურ განტოლებას.

$$\frac{\partial T}{\partial l} = \frac{2K\pi(T_g - T)}{u\rho c_p S} \quad (15.7)$$

სადაც  $l$ - სიგრძე;  $r$ -კლავნილას რადიუსი;  $uS$ - ნაკადის მოცულობითი ხარჯი. (15.7) განტოლებისთვის საწყისი პირობებებია  $T(0)=95^{\circ}\text{C}$ . გამოვთვალოთ განტოლების კოეფიციენტი:

$$\beta = \frac{2K\sqrt{\pi}}{u\rho c_p \sqrt{S}} = \frac{2 \cdot 1,16 \cdot 10^4 \cdot \sqrt{3,14}}{4 \cdot 900 \cdot 2,93 \cdot 10^3 \sqrt{10^{-4}}} = 0,39 .$$


მაშინ

$$\frac{\partial T}{\partial l} = 0,39(T_g - T). \quad (15.8)$$

(15.8) განტოლების ამონახსნი  $l$  უნდა იცვლებოდეს  $0$ -დან  $2$  მ.

ამონახსენი წარმოდგენილია ნახ. 6.-ზე ნაკადის შესასვლელზე ტემპერატურა წარმოადგენს  $T(L)=47^{\circ}\text{C}$ .

(15.8) განტოლების **MATLAB**-ში რიცხვითი ინტეგრირებისათვის საჭიროა შექმნათ ორი  $m$ -ფაილი. ფაილში **func1\_T.m** აღიწერება ფუნქცია, რომელიც უზრუნველყოფს (15.8) განტოლების მარჯვენა მხარეს. ფაილში **Tep11.m** მოიცემიან ამოხსნისათვის საჭირო საწყისი მონაცემები, აგრეთვე **MATLAB**-ის ფუნქცია **ode45**-ის საშუალებით ხორციელდება დიფერენციალური განტოლების ამოხსნა.



ნახ.15.1 ტემპერატურის პროფილი სითბოგამცვლელის მთელი სიგრძის გასწვრივ

ჩვენს შემთხვევაში ფუნქცია **ode45**-ს აქვს შემდეგი სახე:

$$[1, T]=ode45(@func1\_T,[0 L],T0),$$

სადაც **func1\_T** არის დიფ. განტოლების მარჯვენა ნაწილის ODE ფუნქციის დესკრიპტორი. **[1, T]**-ამოხსნათა **T** მატრიცა, სადაც თითოეული სტრიქონი შეესაბამება სიგრძეს რომელიც ბრუნდება 1 სვეტ-ვექტორში;**[0 L]** - ეს არის ვექტორი, რომელიც საინტეგრირებელ ინტერვალს განსაზღვრავს. **T0** - საწყისი მონაცემების ვექტორი.

ფაილი **func1\_T.m**

**function dT = func1\_T(L,T) % დიფ.განტოლების მარჯვენა მხარის ფუნქცია**

**Tvn=10; % გარე სითბომატარებლის ტემპერატურა**

**dT = 0.39\*(Tvn-T); % დიფ. განტოლების მარჯვენა მხარის სახე**

ფაილი **Tepl1.m**

**L=2; % კლაკნილას მილის სიგრძე**

**T0=95; % განტოლების საწყისი პირობა**

**[L,T] = ode45(@func1\_T,[0 L],T0); % დიფ. განტოლების ამოხსნის ფუნქცია**

**plot(L,T); % T(1)დამოკიდებულების (გრაფიკის) აგება.**

**15.4. მაგალითი 2.** სითხე ცივდება ისეთ გამაგრილებელ მოწყობილობაში, რომელსაც აქვს სახე „მილი მილში“. გაცაცივებელი სითხე მიედინება პარალელურად ( ანუ სწორხაზობრივად). საჭიროა გავიგოთ სითბოგამცვლელის გამოსასვლელზე, თუ გასაგრილებელი სითხის ტემპერატურაა 170°C. ხოლო გამაციებლის ტემპერატურაა 15°C. გასაცივებელი და გამაციებელი სითხეების სიმკვრივე  $\rho = 900$  კგ/მ<sup>3</sup>. დიამეტრები სითბოგამცვლელისა შიდა  $D_1=0,1$ მ , გარე დიამეტრი 0,3მ. სითბოგამცვლელის სიგრძეა  $L=1$ მ. სითბოტევადობა სითხისა გამაციებლისა არის  $C_p=3,35 \cdot 10^3$  ჯ/(კგ\*°C). მოცულობითი ხარჯი სითხისა არის  $G_1=2,28 \cdot 10^{-4}$ მ<sup>3</sup>/სმ, ხარჯი გამაციებელი სითხისა არის  $G_2=5,75 \cdot 10^{-4}$ მ<sup>3</sup>/სმ. სითბოგაცემის კოეფიციენტი

$K=4900 \text{ ვტ}/(\text{მ}^2 \cdot ^\circ\text{C})$ . ტემპერატურული პროფილი მთელს სიგრძეზე თითოეული სითხისთვის მიიღება შემდეგი დიფ. განტოლებების ამოხსნით.

$$\frac{\partial T_1}{\partial l} = \frac{K\pi D_1(T_2 - T_1)}{G_1 \rho_1 c_{p1}}, \quad (15.9)$$

$$\frac{\partial T_2}{\partial l} = \frac{K\pi D_1(T_1 - T_2)}{G_2 \rho_2 c_{p2}}, \quad (15.10)$$


სადაც  $T_1, T_2$  – ეს არის ორივე სითხის ტემპერატურები შესაბამისად. საწყისი პირობებია  $T_1(0) = 170 \text{ }^\circ\text{C}$ ;  $T_2(0) = 15 \text{ }^\circ\text{C}$ . (15.9) და (15.10) განტოლებებში ჩასმების შემდეგ მივიღებთ სისტემას:

$$\frac{\partial T_1}{\partial l} = 2,239(T_2 - T_1), \quad (15.11)$$

$$\frac{\partial T_2}{\partial l} = 0,888(T_1 - T_2). \quad (15.12)$$

სისტემის ამოხსნის გრაფიკები მოცემულია ნახ. 15.2 -ზე მათზე მოცემულია ტემპერატურათა გავრცელება ორივე სითხეგამცვლელის მთელი სიგრძის გასწვრივ. ნახაზიდან კარგად ჩანს პროცესი ზლიერად იცვლება სიგრძის გასწვრივ, ამიტომაც სითხეგამცვლელის გამოყენების ეფექტურობა არაერთგვაროვანია. სითხეგამცვლელთა გამოსასვლელზე ტემპერატურები შემდეგია:  $T_1(L) = 62,9 \text{ }^\circ\text{C}$ ,  $T_2(L) = 56,5 \text{ }^\circ\text{C}$ .

(15.11) და (15.12) რიცხვითი ინტეგრირება ხდება პირველი მაგალითის ანალოგიურად. იქმნება ორი **m** ფაილი: **func2\_T.m** - დიფერენციალური განტოლებების მარჯვენა მხარეების გამოსათვლელად **Tepl2.m** -საწყისი მონაცემების მიწოდებისთვის, დიფ განტოლებების საწყისი პირობებისთვის, რომლებიც ხორციელდებიან **MATLAB ode45**-ის საშუალებით



ნახ.15.2 სითხეგამცვლელის ტემპერატურის ცვლილება სითხეგამცვლელის მთელი სიგრძის გასწვრივ

ფაილს **func2\_T.m**-ს აქვს შემდეგი სახე:

```

function dT = func2_T(l,T) % დიფ განტოლებების მარჯვენა მხარეების ფუნქციები
dT = zeros(2,1); % ტემპერატურათა ვექტორის შექმნა
dT(1)=2.239*(T(2)-T(1)); % პირველი დიფ. განტოლების მარჯვენა მხარე
dT(2)=0.888*(T(1)-T(2)); % მეორე დიფ. განტოლების მარჯვენა მხარე

```

ფაილს **Tepl2.m.**-ს აქვს შემდეგი სახე:

```

L=1; % სითბოგამცვლელის სიგრძე
T1_0=170; % პირველი დიფ. განტოლების საწყისი პირობა
T2_0=15; % მეორე დიფ. განტოლების საწყისი პირობა
[l,T] = ode45(@func2_T,[0 L],[T1_0 T2_0]); %დიფ. განტოლებების ამოხსნის
%ფუნქციები
plot(l,T(:,1),'r',l,T(:,2),'k'); % T1(l) და T2(l) დამოკიდებულებათა
%გრაფიკის აგება

```

**15.5. მაგალითი 3.** ავაგოთ მილი-მილში ტიპის სითბოგამცვლელის სტატისტიკური რეჟიმის მოდელი. გამოვიყენოთ მეორე მაგალითში მოცემული მონაცემები, საწინააღმდეგო ნაკადის შემთხვევისათვის. სითბოგამცვლელის სრული სიგრძე იყოს  $L=2,5$ მ. საწინააღმდეგო ნაკადები ემორჩილებიან იგივე კანონებს რასაც პირდაპირი-მართული ნაკადები ამიტომ მათემატიკური განტოლებები ორივე შემთხვევაში ერთნაირი სახისაა განსხვავება მხოლოდ არგუმენტის ნიშანშია.

$$\frac{\partial T_1}{\partial l} = \frac{K\pi D_1(T_2 - T_1)}{G_1 \rho_1 c_{p1}}, \quad (15.13)$$

$$\frac{\partial T_2}{\partial(-l)} = \frac{K\pi D_1(T_1 - T_2)}{G_2 \rho_2 c_{p2}}. \quad (15.14)$$

(15.13) და (15.14)-ის ამოხსნისას პრინციპიალურად სხვა სახით ხორციელდება საწყის პირობათა მიწოდება ვიდრე ეს ხდებოდა (15.9) და (15.10) განტოლებების დროს. (15.13) და (15.14)-ის ერთობლივი ინტეგრირება შესაძლებელია მხოლოდ ერთი მიმართულებით.  $l$  უნდა იცვლებოდეს ან  $0$ -დან  $L$ -მდე, ან  $L$ -დან  $0$ -მდე. ამასთან თითოეულ შემთხვევაში განიხილება საწყისი პირობების ერთი, მნიშვნელობების ნაკრები. მეორე კი უცვლელი რჩება, ცნობილია მხოლოდ, რომ მეორე ცვლადი, რომელ მნიშვნელობათა დიაპაზონში უნდა აღმოჩნდეს ამონახსენი.


ვისარგებლოთ ბოლო განმარტებებით და შევეცადოთ მოვძებნოთ უცნობი საწყისი მნიშვნელობა  $T_2(0)$ , ისეთი ანგარიშით, რომ სრულდებოდეს დასასრულზე პირობა  $T_2(L) = 15^\circ C$ . ასეთ ამოცანებს, როგორც წესი ცდისა და შეცდომის მეთოდით ხორციელდება.

საწყისი მნიშვნელობა  $T_2(0)$  მოძებნის ამოცანა განისაზღვრება(17) და (18)-განტოლებათა სისტემის ინტეგრირებისას.

ნახ.15.3 ა) გვაჩვენებს  $T_2(0)$  -ის მოძებნის პროცესს. წრფე 1 ასახავს  $T_2$ -ის პროფილს იმ პირობით ცივანტი გათბება  $57^{\circ}\text{C}$  ( მნიშვნელობა აიღება ნებისმიერად). ნახაზიდან ჩანს, რომ ეს წინადადება მცდარია, რადგან ვერ მივიღეთ მოსალოდნელი  $T_2(L) = 15^{\circ}\text{C}$ . მნიშვნელობა.

თუ  $T_2(0) = 65^{\circ}\text{C}$ , მივიღებთ 2 მრუდს. ის აგრეთვე არ არის დამაკმაყოფილებელი. რადგან  $T_2(L) = 15^{\circ}\text{C}$ , მაგივრად ვიღებთ მხოლოდ  $4^{\circ}\text{C}$ . მე-3 და მე-4 მრუდებშიც ასრ არის შესაბამისობა საძიებელი საწყისი პირობებისადმი. პრველ შემთხვევაში შესასვლელზე ტემპერატურა  $T_2(L)$  პირველ შემთხვევაში არის დაწეული, მეორეში -აწეული. სავარაუდოდ საწყისი პირობა არის მოთავსებული ორ შემოწმებულ მნიშვნელობას შორის ( $70^{\circ}\text{C}, 80^{\circ}\text{C}$ ).

ნახ.15.3 ბ)-ზე ნაჩვენებია ამოცანის ამოხსნის შედეგი. ტემპერატურა გამოსავალი ნაკადისა  $T_1(L)$  აღწევს  $18^{\circ}\text{C}$ . (15.13) და (15.14) სისტემის ინტეგრირება გავს მეორე მაგალითის ამონახსნებს.



ნახ.15.3 უუნაკადის სითბოგამცვლელის მოდელირება კომპიუტერზე

- ა) (17) და (18) განტოლებათა სისტემის ამოხსნის მრუდები, რომლებიც მივიღეთ უცნობი საწყისი მნიშვნელობი ტემპისას
- ბ) სითბოგამცვლელში ტემპერატურის ცვლილება მთელი სიგრძის გასწვრივ

ფაილი func3\_T.m

function dT = func3\_T(l,T) % დიფერენციალური განტოლებების მარჯვენა მხარეების %ფუნქცია

global b1 b2; % გლობალური ცვლადების აღწერა

dT = zeros(2,1); %გამოსასვლელი კორდინატების ვექტორი

$dT(1)=b1*(T(2)-T(1));$  % პირველი დიფ. განტოლების მარჯვენა მხარე  
 $dT(2)=-b2*(T(1)-T(2));$  % მეორე დიფ. განტოლების მარჯვენა მხარე

ფაილი **Tep13.m**

**global b1 b2;** % გლობალური ცვლადების აღწერა  
**L=2.5;** % სითბოგამცვლელის სიგრძე  
**T1\_0=170;** % 1-ლი დიფ განტოლების საწყისი პირობა  
**T2\_0=80;** % 2 დიფ განტოლების საწყისი პირობა  
**ro=900;** % გამაგრებელი სითხისა და სხვა გამაგრებლების სიმკვრივე  
**D1=0.1;** % შიდა მილის დიამეტრი  
**D2=0.3;** % გარე მილის დიამეტრი  
**cp=3.35e3 ;** % სითხის და ცივაგენტის სითბოტევადობა  
**G1=2.28e-4;** % გამაგრებელი სითხის მოცულობითი ხარჯი  
**G2=5.75e-4;** % ცივაგენტის მოცულობითი ხარჯი  
**K=4900;** % სითბოგაცემის კოეფიციენტი

% მოდელის კოეფიციენტების ანგარიში

**b1=K\*pi\*D1/(ro\*cp\*G1);**  
**b2=K\*pi\*D1/(ro\*cp\*G2);**  
**[I,T] = ode45(@func3\_T,[0 L],[T1\_0 T2\_0]);** % დიფ. განტოლებათა ამოხსნის ფუნქცია  
**plot(I,T(:,1),'b',I,T(:,2),'k');** % T1(I) და T2(I) დამოკიდებულებათა აგება.

**15.6. მაგალითი 4.** დავამოდელიროთ სითბოგამცვლელის გარდამავალი რეჟიმი „შერევა-შერევა“ ტიპის. სითბოგამცვლელი წარმოადგენს ორკლამერიან ჭურჭელს. მთელს მოცულობაზე ტემპერატურის ერთგვაროვანი გავრცელებისთვის კამერებში იდგმება შემრევები. გასაგრებელი სითხის სიმკვრივეა 850 კგ/მ<sup>3</sup>. თითოეული კამერის მოცულობაა 2,5 მ<sup>3</sup>. სითბოგამცვლელის მოცულობითი ხარჯია 4,12\*10<sup>-3</sup>მ<sup>3</sup>/სმ, ცივაგენტისა კი 5,43\*10<sup>-3</sup>მ<sup>3</sup>/სმ. სითხისა და ცივაგენტის სითბოტევადობებია შესაბამისად 3,75\*10<sup>3</sup>ჯ/(კგ\*C<sup>0</sup>) დდება 3,14\*10<sup>3</sup>ჯ/(კგ\*C<sup>0</sup>). სითბოგაცვლის მოცულობაა 4 მ<sup>3</sup>, ხოლო სითბოგაცემის კოეფიციენტი K=4360ვტ/(მ<sup>2</sup>C<sup>0</sup>). გასაგრებელი სითხის ტემპერატურა ნახტომებად იცვლება 115-200 C<sup>0</sup> ფარგლებში, ხოლო ცივაგენტის ტემპერატურა 10-15C<sup>0</sup>. თითოეული ნაკადისათვის ტემპერატურის ცვლილება დროში განისაზღვრება შემდეგი დიფ. განტოლების სისტემის ამონახსნებით:

$$\rho_1 c_{p1} V_1 \frac{dT_1}{dt} = G_1 \rho_1 c_{p1} (T_1^0 - T_1) + KF(T_2 - T_1), \quad (15.15)$$

$$\rho_2 c_{p2} V_2 \frac{dT_2}{dt} = G_2 \rho_2 c_{p2} (T_2^0 - T_2) + KF(T_1 - T_2), \quad (15.16)$$

სადაც  $T_1^0$  და  $T_2^0$  - არიან სითხისა და ცივაგენტის ტემპერატურები სითბოგამცვლელის შესასვლელზე.

(15.15) და (15.16) სისტემას ვხსნით  $T_1(0)=T_1^*$ ;  $T_2(0)=T_2^*$ .

$T_1^*$  და  $T_2^*$  -ის განსაზღვრისათვის, რომლებიც შეესაბამებიან ნომინალურ სტატიკურ რეჟიმს, დგება სითბოგამცვლელის მუშაობის სტატიკური რეჟიმის სითბური ბალანსის განტოლებები:

$$G_1 \rho_1 c_{p1} (T_1^0 - T_1) + KF(T_2 - T_1) = 0,$$

$$G_2 \rho_2 c_{p2} (T_2^0 - T_2) + KF(T_1 - T_2) = 0.$$

რიცხვითი მნიშვნელობების შემდეგ განტოლებები მიიღებენ სახეს:

$$13132,5 \cdot (115 - T_1) + 17440 \cdot (T_2 - T_1) = 0,$$

$$15686,2 \cdot (10 - T_2) + 17440 \cdot (T_1 - T_2) = 0,$$

რომლებიც იხსნებიან ანალიზურად ან რისხვითი სახით, განტოლებებში შემავალი ცვლადების მიხედვით.

სითბოგამცვლელის გამოსასვლელზე სითბომატარებლების ტემპერატურებმა მოცემულ მდგომარეობაში შეადგინეს:  $T_1^* = 74,46C^0$ ,  $T_2^* = 43,93C^0$ . მაშასადამე მივიღებთ განტოლებათა სისტემას:

$$\frac{dT_1}{dt} = \frac{G_1}{V_1} (T_1^0 - T_1) + \frac{KF}{\rho_1 c_{p1} V_1} (T_2 - T_1), \quad (15.17)$$


$$\frac{dT_2}{dt} = \frac{G_2}{V_2} (T_2^0 - T_2) + \frac{KF}{\rho_2 c_{p2} V_2} (T_1 - T_2). \quad (15.18)$$

საწყისი პირობებისთვის:  $T_1(0) = 74,46C^0$   $T_2(0) = 43,93C^0$

სისტემის ამოხსნის გრაფიკები მოცემულია ნახ.9-ზე, მათზე გამოსახულია ორივე სითბოგამცვლელის შესასვლელზე ტემპერატურათა ცვლილება. სითბომატარებელთა ტემპერატურები დაფორმირდნენ 2000 წმ-ის შემდეგ და შეადგინეს  **$T_1 = 126,6 \text{ } ^\circ\text{C}$** ;  **$T_2 = 71,4 \text{ } ^\circ\text{C}$** .

რიცხვითი ინტეგრირება (15.17) და (15.18) განტოლებებისათვის ანალოგიურია 1-3 მაგალითებისა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ **ode45-ის** გამოყენება ხდება დროში .





ნახ.15.4 ტემპერატურათა ცვლილება "წანაცვლება-წანაცვლება" ტიპის სითბოგამცვლელში დროის გათვალისწინებით

ფაილი func4\_T.m

```
function dT = func4_T(time,T) %დიფ. განტოლების მარჯვენა მხარის ფუნქცია
global a1 b1 a2 b2 T1_vx T2_vx; %გლობალური ცვლადების აღწერა
dT = zeros(2,1); % ტემპერატურათა ვექტორის შექმნა
dT(1)=a1*(T1_vx-T(1))+b1*(T(2)-T(1)); %პირველი დიფ. განტოლების მარჯვენა
% მხარის განტოლება
```

56

```
dT(2)=a2*(T2_vx-T(2))+b2*(T(1)-T(2)); %მეორე დიფ. განტოლების მარჯვენა მხარის
% განტოლება
```

ფაილი Tepl4.m

```
global a1 b1 a2 b2 T1_vx T2_vx; %გლობალური ცვლადების აღწერა
tk=4000; % ინტეგრირების დრო
T1_0=74.46; % პირველი დიფ. განტოლების საწყისი პირობა
T2_0=43.93; % მეორე დიფ. განტოლების საწყისი პირობა
T1_vx=200; % ტემპერატურა გამაგრებელი სითხის შესასვლელზე
T2_vx=10; %ტემპერატურა ცივაგენტის შესასვლელზე
ro1=850; % გასაგრებელი სითხის სიმკვრივე
ro2=920; %ცივაგენტის სიმკვრივე
cp1=3.75e3; % გასაგრებელი სითხის სითბოტევადობა
cp2=3.14e3; % ცივაგენტის სითბოტევადობა
G1=4.12e-3; %გასაგრებელი სითხის მოცულობითი დანახარჯი
G2=5.43e-3; % ცივაგენტის მოცულობითი დანახარჯი
K=4360; % სითბოგადაცემის კოეფიციენტი
F=4; % სითბოგაცვლის ზედაპირის ფართობი
```

V=2.5; % კამერების (საკნების) მოცულობა

% მოდელის კოეფიციენტების ანგარიში

a1=G1/V;

a2=G2/V;

b1=K\*F/(ro1\*cp1\*V);

b2=K\*F/(ro2\*cp2\*V);

[time,T] = ode45(@func4\_T,[0 tk],[T1\_0 T2\_0]); % დიფ. განტოლების ამოხსნის  
% ფუნქცია

plot(time,T(:,1),'b',time,T(:,2),'k'); % T1(time) ი T2(time) დამოკიდებულებათა  
% აგება

## 15.7. სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა

1. შევადგინოთ სითბოგამცვლელი აპარატის მათემატიკური აღწერა ( სითბოგამცვლელის ვარიანტები მ,ოთავსებულნი არიან ცხრილი. 6,7,8 ).
2. ვარიანტების შესაბამისად დავამოდელოთ კომპიუტერზე სითბოგამცვლელის სტატიკური და დინამიკური რეჟიმები და განვსაზღვროთ ყველა სითბოგამცვლელის ტემპერატურული დამოკიდებულებები .

## 15.8. საკონტროლო შეკითხვები

1. რითი აიხსნება სითბოგადასვლის პროცესი ერთი სითბოგამცვლელიდან მეორეზე ?
2. რითი განსხვავდებიან ნაკადების იდეალური შერევისა და იდეალური გამოდევნის ობიექტები ერთმანეთისგან ?
3. რას წარმოადგენს თბური ბალანსის განტოლება (სტატიკაში და დინამიკაში) ?
4. რას წარმოადგენს თბური ბალანსის განტოლება (სტატიკაში და დინამიკაში) იდეალური გამოდევნის ობიექტებისათვის ?
5. რომელი ფუნქციები გამოიყენებიან - MATLAB-ში ჩვეულებრივი დიფ. განტოლებების რიცხვითი ამოხსნისათვის ?
6. რა დამატებით პარამეტრებს შეიცავს ფუნქცია **ode45** და მისი ანალოგიური ფუნქციები ?

ცხრ.15.1 სითბოგამცვლელი აპარატების ვარიანტები

ცხრ.15.1 სითბოგამცვლელი აპარატების ვარიანტები

№	სითბოგამცვლელის სქემა	№	სითბოგამცვლელის სქემა
1		3	
2		4	

ცხრ.15.2 საწყისი მონაცემები

N:	N: სქემა	რეჟიმი	$V_1, M$	$V_2, M$	$F, M^2$	$\rho_1, \rho_2, კვ/მ^3$
1	1	დინამიკური	1,1	0,8	4,4	800
2	1	— " —	1,5	1,3	3,2	612
3	1	— " —	2,5	2,2	5,5	200
4	1	— " —	1,5	2,8	2,4	710
5	1	— " —	2,1	1,4	4,5	100
6	1	— " —	0,8	0,5	3,8	300
7	1	დინამიკური	1,2	0,9	6,5	520
8	2	— " —	5,2	—	2,5	800
9	2	— " —	6,5	—	4,5	612
10	2	— " —	4,6	—	3,6	200
11	2	— " —	3,2	—	2,2	710
12	2	— " —	7,2	—	5,1	100
13	2	— " —	2,5	—	2,1	300

№	$C_{p1}, C_{p2}, კვ/(კვ^{\circ}C)$	$G_1, G_2, მ^3/წმ$	$T_1^{BX}, ^{\circ}C$	$T_2^{BX}, ^{\circ}C$	$K, კვ/(მ^2 \cdot ^{\circ}C)$
1	4120	$4,5 \cdot 10^{-3}$	250	10	4360
2	5220	$3,18 \cdot 10^{-3}$	160	15	3650
3	7080	$5,23 \cdot 10^{-3}$	180	18	5650
4	4050	$3,91 \cdot 10^{-3}$	150	10	2020
5	9140	$6,88 \cdot 10^{-3}$	120	10	1110
6	6380	$4,66 \cdot 10^{-3}$	430	15	3470
7	4970	$7,88 \cdot 10^{-3}$	260	12	5720
8	4120	$4,51 \cdot 10^{-3}$	340	12	4590
9	5220	$3,18 \cdot 10^{-3}$	410	15	3210
10	7080	$5,23 \cdot 10^{-3}$	270	10	6320
11	4050	$3,91 \cdot 10^{-3}$	560	24	9230
12	9140	$6,88 \cdot 10^{-3}$	350	8	12010
13	6380	$4,66 \cdot 10^{-3}$	120	11	3260

ცხრ.15.3 საწყისი მონაცემები

№	№ სტუმები	რეჟიმი	$D_1, \text{მ}$	$\rho_1, \text{კგ/მ}^3$	$\rho_2, \text{კგ/მ}^3$	$c_{p1}, \text{კჯ/(კგ}\cdot^{\circ}\text{C)}$	$c_{p2}, \text{კჯ/(კგ}\cdot^{\circ}\text{C)}$
14	3	სტატიკური	0,01	900	750	4350	5140
15	3	— " —	0,02	600	450	3270	5230
16	3	— " —	0,03	200	480	1020	3120
17	3	— " —	0,015	515	200	3270	4780
18	3	— " —	0,025	700	960	3920	4770
19	3	— " —	0,035	800	300	2560	2680

ცხრ.15.3-ის გაგრძელება

№	№ სტუმები	რეჟიმი	$D_1, \text{მ}$	$\rho_1, \text{კგ/მ}^3$	$\rho_2, \text{კგ/მ}^3$	$c_{p1}, \text{კჯ/(კგ}\cdot^{\circ}\text{C)}$	$c_{p2}, \text{კჯ/(კგ}\cdot^{\circ}\text{C)}$
20	4	სტატიკური	0,01	900	750	4350	5140
21	4	სტატ.	0,02	600	450	3270	5230
22	4	სტატ.	0,03	200	480	1020	3120
23	4	სტატ.	0,015	515	200	3270	4780
24	4	სტატ.	0,025	700	960	3920	4770
25	4	სტატ.	0,035	800	300	2560	2680

№	$G_1, \text{მ}^3/\text{სმ}$	$G_2, \text{მ}^3/\text{სმ}$	$L, \text{მ}$	$T_1(0), ^{\circ}\text{C}$	$T_2(0), ^{\circ}\text{C}$	$T_2(L), ^{\circ}\text{C}$	$K, \text{კჯ/(მ}^2\cdot^{\circ}\text{C)}$
14	$2,08\cdot 10^{-5}$	$4,12\cdot 10^{-5}$	1	212	15	—	4817
15	$3,44\cdot 10^{-5}$	$5,21\cdot 10^{-5}$	1,5	193	25	—	2022
16	$2,92\cdot 10^{-4}$	$2,45\cdot 10^{-4}$	2	620	15	—	1460C
17	$5,22\cdot 10^{-4}$	$2,74\cdot 10^{-3}$	3,2	500	10	—	34600
18	$5,48\cdot 10^{-4}$	$6,18\cdot 10^{-4}$	1,8	450	18	—	41600
19	$3,12\cdot 10^{-5}$	$4,05\cdot 10^{-5}$	2,5	670	25	—	10350
20	$2,08\cdot 10^{-5}$	$4,12\cdot 10^{-5}$	1	212	—	15	4817
21	$3,44\cdot 10^{-5}$	$5,21\cdot 10^{-5}$	1,5	193	—	25	2022
22	$2,92\cdot 10^{-4}$	$2,45\cdot 10^{-4}$	2	620	—	15	14600
23	$5,22\cdot 10^{-4}$	$2,74\cdot 10^{-3}$	3,2	500	—	10	34600
24	$5,48\cdot 10^{-4}$	$6,18\cdot 10^{-4}$	1,8	450	—	18	41600
25	$3,12\cdot 10^{-5}$	$4,05\cdot 10^{-5}$	2,5	670	—	25	10350

## თავი 16

### ანალიზური მეთოდებით მათემატიკური მოდელების აგება (ქიმიური რეაქციების მოდელირება)

#### 16.1. სამუშაოს მიზანი: ქიმიური რეაქციების კომპიუტერზე მოდელირების

მეთოდების შესწავლა.

1. გავეცნოთ ქიმიური რეაქციების მოდელირების ძირითად პრინციპებს.
2. ავაგოთ ქიმიური რეაქციის მათემატიკური მოდელი.
3. რეაქციათა კომპონენტები გამოთვლილ დამოკიდებულებათა გრაფიკები.
4. პროგრამათა ტექსტები.

#### 16.2. საკითხის მოკლე აღწერა

ქიმიური რეაქციის სიჩქარე ეს არის რეაგენტების, მოლეზის რაოდენობის ცვლილება ( გაზრდა ან შემცირება) დროის ერთეულზე, მოცულობის ერთეულ ფართობზე ქიმიური ზემოქმედებისა (ჰომოგენური რეაქციებისათვის) ან ჰეტეროგენური პროცესებისათვის. ამ განმარტების საფუძველზე ჰომოგენური ქიმიური რეაქციის სიჩქარე განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$v_r = \frac{1}{V} \frac{dN}{d\tau}, \quad (16.1)$$

სადაც  $V$  - რეაქტორის მოცულობაა  $\frac{dN}{d\tau}$  -- დროში რეაგენტების მოლეზის ცვლილება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ მოლეზის რიცხვი  $N=CV$ , სადაც  $C$  არის რეაგენტის კონცენტრაცია, ზოგად შემთხვევაში გვექნება:

$$v_r = \frac{1}{V} \frac{d(CV)}{d\tau}, \quad (16.2)$$

ან

$$v_r = \frac{1}{V} \frac{VdC + CdV}{d\tau}. \quad (16.3)$$

რეაქციისათვის, მრომელიც მიმდინარეობს ჩაკეტილ სისტემაში მოცემული მოცულობისათვის, (16.3) ფორმულის მეორე შესაკრები ნოლის ტოლია და განტოლება დაიყვანება სახეზე:

$$v_r = \pm \frac{dC}{d\tau}. \quad (16.4)$$

ნიშანი (+) მიუთითებს, რომ რეაქციაში გროვდება ნივთიერება, ხოლო (-) ნიშნმავს, რომ მცირდება ნივთიერების კონცენტრაცია.

ჰეტეროგენული ქიმიური რეაქციებისათვის პროცესის სიჩქარე შეიძლება ავლწეროთ ფორმულით:

$$v_r = \frac{1}{S} \frac{dN}{d\tau}, \quad (16.7)$$

შემდგომში ყველგან ვუშვებთ, რომ სისტემაში მიმდინარეობს ჰომოგენური ქიმიური პროცესი.

ქიმიური პროცესის სიჩქარე არის ფუნქცია მარეაგირებელი ნივთიერების კონცენტრაციის, აგრეთვე ტემპერატურისა და ხანდახან წნევისა სისტემაში:

$$v_r = f(\bar{C}, P, T), \quad (16.8)$$

სადაც  $\bar{C}$  - არის ვექტორი მარეაგირებელი ნივთიერების კონცენტრაციისა  $P, T$  - შესაბამისად წნევა და ტემპერატურა.

ქიმიური რეაქციები შეიძლება პირობითად დავყოთ მარტივ და რთულ რეაქციებად. ქიმიური კინეტიკა განსაზღვრავს მარტივ რეაქციებად იმ რეაქციებს, რომელიც მიმდინარეობს ერთ სტადიად, იგი შეიცავს ქიმიური გარდაქმნის ერთ აქტს. მარტივი რეაქციის სიჩქარე დამოკიდებულია მხოლოდ საწყისი ნივთიერებების კონცენტრაციაზე. რთული რეაქციების დროს კი სიჩქარე დამოკიდებულია, როგორც ნივთიერებათა საწყის ასევე საშუალოდ (განმსაზღვრელ) კონცენტრაციაზე, ხოლო მექანიზმი ითვალისწინებს ქიმიური გარდაქმნების სხვადასხვა გზებს (გარდაქმნადი, მიმდევრობითი, პარალელური, განშტოებადი, მიმდევრობით-პარალელური რეაქციები).

მარტივი და რთული ქიმიური რეაქციების კინეტიკის განმსაზღვრელ განტოლებები გარკვეულად განსხვავებულნი არიან ამიტომ ისინი განვიხილოთ ცალკე-ცალკე.

### 16.3 მარტივი რეაქციების კინეტიკა

თუ მარტივ რეაქციაში მონაწილეობს  $n$  ნივთიერება, მაშინ მისი მატერიალური ბალანსი გამოისახება სტექიომეტრული განტოლებით:

$$\alpha_1 A_1 + \alpha_2 A_2 + \dots + \alpha_n A_n = 0 \quad (16.7)$$

სადაც  $\alpha_i$  არის სტექიომეტრული კოეფიციენტი (საწყისი ნივთიერებებისათვის უარყოფითი, ხოლო განსაზღვრელ ნივთიერებებისათვის დადებითი);  $A_i$  - რეაქციაში მონაწილე ნივთიერება.

$\alpha_i$  კოეფიციენტი აჩვენებს თუ  $A_i$  ნივთიერების რამდენი მოლეკულა მონაწილეობს რეაქციაში.

განვსაზღვროთ მარტივი რეაქციის სიჩქარე, როგორც რეაქციაში მონაწილე ნებისმიერი ნივთიერების წარმოქმნის სიჩქარე, გაყოფილი მითითებული

კომპონენტის სტექიომეტრულ კოეფიციენტზე, რომელიც ხან უარყოფითია. შესაბამისად (16.7) ქიმიური რეაქციისთვის სიჩქარე განისაზღვრება ასე:

$$v_r = \frac{v_{rA_1}}{\alpha_1} = \frac{v_{rA_2}}{\alpha_2} = \dots = \frac{v_{rA_n}}{\alpha_n} \quad (16.8)$$

მრავალ ფორმალურ-კინეტიკურ გამოთვლებში გამოიყენებიან რეაქციათა სიჩქარეები, კონკრეტულ ნივთიერებებში გამოსახული. ამ მნიშვნელობებისათვის ფორმულა (30) მიიღებს სახეს:

$$v_{ri} = \alpha_i v_r \quad (16.9)$$

(31) ფორმულის გამოყენებისას უნდა გვითვალისწინოთ, -როცა საწყის ნივთიერებებისთვის, ხოლო  $\alpha_i > 0$  რეაქციის პროდუქტებისათვის.

მარტივი რეაქციის სიჩქარე, აგრეთვე რთული რეაქციების გარკვეული სტადიები, მომქმედი მასების კანონის თანახმად პროპორციულნი არიან რეაქციაში მონაწილე ნივთიერებათა საწყისი კონცენტრაციისა. რეაქციისთვის გვაქვს:



შესაბამისი დამოკიდებულება გამოისახება კინეტიკური განტოლებით

$$v_r = k C_A^{n_1} C_B^{n_2} \quad (16.11)$$

აქ  $n_1$  - არის რეაქციის ხარისხი A ნივთიერებისთვის,  $n_2$  - რეაქციის ხარისხი B ნივთიერებისთვის.  $n_1 + n_2$  - არის ჯამური ხარისხი k პროპორციულობის კოეფიციენტია, მას უწოდებენ რეაქციის სისწრაფის კოეფიციენტს. არენუსის განტოლების თანახმად ქიმიური რეაქციის კონსტანტა დამოკიდებულია ტემპერატურაზე:

$$k = k_0 e^{-\frac{E}{RT}} \quad (16.12)$$


E-აქტივირების ენერგია; R - უნივერსალური გაზის კოეფიციენტი;  $k_0$  - წინა საექსპონენციალო მამრავლი.

რეაქციის ან სტადიის რიგს ვუთითებთ ისრის ზემოთ, ისარი მიუთითებს რეაქციის მიმართულებას. აქვე მივუთითებთ სიჩქარის მუდმივას. აქ გვაქვს

$$2A + B(1A,1B), k \text{ --- } > 2C \quad (16.13)$$

(35) აღნიშნავს რეაქციას, რომელსაც აქვს 1 ხარისხი A B ნივთიერებებისთვის, და სიჩქარის k კონსტანტისათვის. პრაქტიკაში გვხვდება სხვადასხვა ხარისხის რეაქციები, მთელრიცხვა, ნამდვილი ხარისხის, ნულოვანი და ხანდისხან უარყოფითიც.

**მაგალითი 5.** ნივთიერების რეაქციათა სიჩქარე.





რომელსაც აქვს პირველი ხარისხი A რეაგენტისთვის და სიჩქარის კონსტანტა k. ამ რეაქციისათვის (31) ფორმულის თანახმად გვაქვს

$$v_{rA} = -kC_A, \quad v_{rB} = -kC_A, \quad v_{rC} = 2kC_A.$$

#### 16.4. რთული რეაქციების კინეტიკა

რთული რეაქცია შესდგება რიგი სტადიებისაგან, თითოეულ მათგანს გააჩნია თავისი სიჩქარე და არ არის შესაძლებელი მთელი რთული რეაქციის სიჩქარის დადგენა.

ამ დროს კი რეაქციაში მონაწილე ნებისმიერი ნივთიერება წარმოიქმნებიან და იხარჯებიან გარკვეული სისწრაფით. ამ სისწრაფეების ცოდნა აუცილებელია პროცესის გაანგარიშებისას.

i -ური ნივთიერების სისწრაფე რთული რეაქციის დროს არის ყველა სტადიის სისწრაფეთა ალგებრული ჯამი (სტექიომეტრული კოეფიციენტების გათვალისწინებით).

$$v_{ri} = \sum_{j=1}^m v_{rij} = \sum_{j=1}^m \alpha_{ij} v_{rj}. \quad (16.14)$$

სადაც j - სტადიის ნომერია; m - სტადიათა რაოდენობაა.

სტადიის სისწრაფე განისაზღვრება (16.9) ფორმულით. თუ ნივთიერება სტადიაში არ იღებს მონაწილეობას, მაშინ სტექიომეტრული კოეფიციენტი ნოლის ტოლია.

**მაგალითი 6.** ნივთიერების სიჩქარე რთული რეაქციების დროს.

ჩავწეროთ რეაქციაში მონაწილე ნივთიერებათა კინეტიკური განტოლებები:

$$\begin{cases} A + 2B \xrightarrow{1, B, k_1} C; \\ A \xrightarrow{1, A, k_2} D; \\ C + D \xrightarrow{1, C, 1, D, k_3} 3E. \end{cases}$$

ნივთიერება A მონაწილეობს პირველ და მეორე სტადიებზე სტექიომეტრული კოეფიციენტებით -1 და -1. ამიტომ

$$v_{rA} = -v_{r1} - v_{r2} = -k_1 C_B - k_2 C_A.$$

შესაბამისად :

$$v_{rB} = -2k_1 C_B, \quad v_{rC} = k_1 C_B - k_3 C_C C_D,$$

$$v_{rD} = k_2 C_A - k_3 C_C C_D, \quad v_{rE} = 3k_3 C_C C_D.$$

#### 16.5 რეაქციის საკვანძო კომპონენტების შერჩევა

თუ ქიმიური რეაქცია (მარტივი ან რთული) მუდმივი მოცულობის პირობებში ჩაკეტილ სივრცეში, მაშინ მისი მიმდინარეობა აღიწერება დიფერენციალური


განტოლებათა სისტემით. მართლაც (16.1),(16.11) და (16.14) განტოლებების ერთობლივ განხილვას მივყავართ შემდეგ ფორმულასთან:

$$\frac{dC_i}{d\tau} = \sum_{j=1}^m \alpha_{ij} v_{rj}, \quad (16.15)$$

ასეთი განტოლებების რაოდენობა უდრის იმ ნივთიერებების( რეაგენტების და პროდუქტების) რაოდენობას, რომლებიც მონაწილეობენ რეაქციაში. ამასთან რთული რეაქციების დროს ამ განტოლებათა რაოდენობა შეიძლება იყოს საკმაოდ დიდი რაც საგრძნობლად ართულებს ამ რეაქციების შესაბამისი მათემატიკური მოდელების გამოყენებას რეაქციების ანალიზისათვის.

მათემატიკური მოდელის განტოლებათა რაოდენობა, რომლებიც აღწერენ რეაქციაში მონაწილე კომპონენტების ცვლილებას, შეიძლება შემცირებულ იქნას გარკვეულ მინიმუმამდე, თუ განტოლებებს შევადგენთ მხოლოდ საკვანძო კომპონენტებისათვის. დანარჩენი კომპონენტების ყოფაქცევა , რომლებიც არ შევიდნენ განტოლებებში, შეიძლება აღწერილ იქნან უბრალო სტექიომეტრული დამოკიდებულებებით, წარმოდგენილით საკვანძო კომპონენტების რაოდენობით.

ამ წესების ილუსტრაციისათვის ვისარგებლოთ შემდეგი ქიმიური რეაქციებით:



სადაც  $\alpha, \beta, \gamma, \delta$  - სტექიომეტრული კოეფიციენტები.

პროცესის კინეტიკა სრულად აღიწერებიან , თუ მოცემულია  $v_{r1}, v_{r2}, v_{r3}$  და  $v_{r4}$  ყველა სტადიაზე სიჩქარეები. ამ შემთხვევაში ნებისმიერი კომპონენტის წარმოქმნის სიჩქარე, რომლებიც მონაწილეობენ რთულ რეაქციაში და მათი შესაბამისი სტექიომეტრული კოეფიციენტები ნიშნების წესის გამოყენებით მიიღებენ სახეს:

$$\begin{aligned} v_{rA} &= -\alpha_1 v_{r1} + \alpha_1 v_{r2}, \\ v_{rB} &= -\beta_1 v_{r1} + \beta_1 v_{r2} - \beta_2 v_{r3} + \beta_2 v_{r4}, \\ v_{rC} &= \gamma_1 v_{r1} - \gamma_1 v_{r2} - \gamma_2 v_{r3} + \gamma_2 v_{r4}, \\ v_{rD} &= -\delta_1 v_{r3} + \delta_1 v_{r4}. \end{aligned} \quad (16.17)$$

შევადგინოთ მატრიცა სტექიომეტრული კოეფიციენტებისა.

$$\begin{vmatrix} -\alpha_1 & \alpha_1 & 0 & 0 \\ -\beta_1 & \beta_1 & -\beta_2 & \beta_2 \\ \gamma_1 & -\gamma_1 & -\gamma_2 & \gamma_2 \\ 0 & 0 & \delta_1 & -\delta_1 \end{vmatrix} \quad (16.18)$$

სადაც კოეფიციენტი, რომელიც მოთავსებულია  $i$  სტრიქონისა და  $k$  სვეტის გადაკვეთაზე არის სტექიომეტრული კოეფიციენტი  $i$ -ური კომპონენტისა რეაქციის  $k$ -ურ სტადიაში, ნიშნის გათვალისწინებით.

საკვანძო კომპონენტების ამოცანა დადის (16.18) მატრიცის რანგის მოძებნაზე. მატრიცის რანგის ქვეშ ჩვენ გვესმის ჩვეულებრივი მათემატიკური აზრით ანუ იმ ქვე-მატრიცის ზომი გამოთვლა რანგისა სტანდარტულია.

(16.18) შემთხვევისათვის, ვიქცევით შემდეგნაირად მოვძებნით მატრიცის რანგს თანდათანობით გავზრდით რა დეტერმინანტების რიგს. პირველი რიგის დეტერმინანტი იქნება ნებისმიერი არანულოვანი ელემენტი (16.18) მატრიცისა.

შემდეგ ვეძებთ მეორე რიგის დეტერმინანტებს თავიდან ვიღებთ ზედა მარცხენა კუთხეში მოცემულ ოთხეულს:

$$\begin{vmatrix} -\alpha_1 & \alpha_1 \\ -\beta_1 & \beta_1 \end{vmatrix} = -\alpha_1\beta_1 + \alpha_1\beta_1 = 0. \quad (16.19)$$

ვეძებთ დანარჩენ დეტერმინანტებს ადვილად მოიძებნება არანულოვანი დეტერმინანტის მქონე მინორი, მაგალითად:

$$\begin{vmatrix} \alpha_1 & 0 \\ \beta_1 & \beta_2 \end{vmatrix} = \alpha_1\beta_2 \neq 0, \quad \begin{vmatrix} \alpha_1 & 0 \\ 0 & \delta_1 \end{vmatrix} = \alpha_1\delta_1 \neq 0. \quad (16.20)$$

მივიღეთ, რომ (40) მატრიცის რანგია 2 და შეგვიძლია კომპონენტებად გამოვიყენოთ ორი კომპონენტი.

ვთქვათ კომპონენტებად შევარჩიეთ A და D, მაშინ ადვილი მისახვედრია B და C კომპონენტების სისწრაფეების წარმოქმნის ტოლობები შეიძლება გამოსახულ იქნას  $v_{rA}$  და  $v_{rD}$ :

$$v_{rB} = \frac{\beta_1}{\alpha_1} v_{rA} - \frac{\beta_2}{\delta_1} v_{rD}, \quad v_{rC} = \frac{\gamma_1}{\alpha_1} v_{rA} - \frac{\gamma_2}{\delta_1} v_{rD}. \quad (16.21)$$

თუ კომპონენტებად ავარჩევთ A და B-ს მაშინ  $v_{rC}$  და  $v_{rD}$ -თვის შესაბამისად მივიღებთ:

$$v_{rC} = -\frac{\beta_1 \gamma_2 + \beta_2 \gamma_1}{\alpha_1 \beta_2} v_{rA} + \frac{\gamma_2}{\beta_2} v_{rB}, \quad v_{rC} = \frac{\beta_1 \delta_1}{\alpha_1 \beta_2} v_{rA} - \frac{\delta_1}{\beta_2} v_{rB}. \quad (16.22)$$

ანალოგიურად შეიძლება მოიძებნოს შესაბამისობა A და C; B და C; B და D; C და D კომპონენტების წყვილებისათვის.

კომპონენტების დროში კონცენტრაციის ცვლილების განტოლებები მოცემული შემთხვევისათვის იღებენ სახეს:

$$\begin{cases} \frac{dC_A}{d\tau} = v_{rA}, & \frac{dC_B}{d\tau} = v_{rB}, \\ \frac{dC_C}{d\tau} = v_{rC}, & \frac{dC_D}{d\tau} = v_{rD}. \end{cases} \quad (16.23)$$

(16.21)-ის გათვალისწინებით მეორე და მესამე განტოლებები შეიძლება შეიცვალოს გამოსახულებებით:

$$\frac{dC_B}{d\tau} = \frac{\beta_1}{\alpha_1} \frac{dC_A}{d\tau} - \frac{\beta_2}{\delta_1} \frac{dC_D}{d\tau}, \quad \frac{dC_C}{d\tau} = -\frac{\gamma_1}{\alpha_1} \frac{dC_A}{d\tau} - \frac{\gamma_2}{\delta_1} \frac{dC_D}{d\tau}, \quad (16.24)$$

რომელთა ინტეგრირების შემდეგ ვიღებთ:

$$C_B - C_{B0} = \frac{\beta_1}{\alpha_1} (C_A - C_{A0}) - \frac{\beta_2}{\delta_1} (C_D - C_{D0}),$$

$$C_C - C_{C0} = -\frac{\gamma_1}{\alpha_1} (C_A - C_{A0}) - \frac{\gamma_2}{\delta_1} (C_D - C_{D0}),$$

სადაც  $C_{A0}$ ,  $C_{B0}$ ,  $C_{C0}$  და  $C_{D0}$  - კომპონენტების საწყისი კონცენტრაციაა. აქედან საბოლოოდ ვპოულობთ დამოკიდებულებებს:


$$C_B - C_{B0} = \frac{\beta_1}{\alpha_1} (C_A - C_{A0}) - \frac{\beta_2}{\delta_1} (C_D - C_{D0}),$$

$$C_C - C_{C0} = -\frac{\gamma_1}{\alpha_1} (C_A - C_{A0}) - \frac{\gamma_2}{\delta_1} (C_D - C_{D0}),$$


რომლებიც გამოიყენებიან (45) სისტემის მეორე და მესამე დიფერენციალური განტოლებების მაგიერ.

**16.6 მაგალითი 7.** ეთილოქსიდის საფონდო რეაქციები კაუსტიკური სოდით გაწმენდის რეაქციის მოდელირება.

ჩანაწერის გამარტივების მიზნით შემოვიტანოთ ქიმიური ფორმულები:



ამ რეაქციის სქემა ჩაიწერება ასე:



რეაქცია მიმდინარეობს თხევად გარემოში პრაქტიკულად იზოქორულად.

$$0^\circ\text{C} \quad k_1 = 2,24 \text{ M}^3 / (\text{კმოლიწმ}); \quad k_2 = 0,33 \text{ M}^3 / (\text{კმოლიწმ}).$$

შედეგად რეაქციის იზოქორულობისათვის შეიძლება (26) განტოლება.

$$v_r = \pm \frac{dC}{d\tau}.$$

რეაქციის სისწრაფის სქემას აქვს სახე:

$$\begin{cases}
v_{rA} = -k_1 C_A C_B, \\
v_{rB} = -k_1 C_A C_B - k_2 C_C C_B, \\
v_{rC} = k_1 C_A C_B - k_2 C_C C_B, \\
v_{rD} = k_1 C_A C_B + k_2 C_C C_B, \\
v_{rE} = k_2 C_C C_B.
\end{cases}$$

არ არის რთული, მივხვდეთ იმას, რომ სტექიომეტრიული კოეფიციენტებისაგან შედგენილი მატრიცის რანგი უდრის 2-ს. საკვანძო კომპონენტება და ავირჩიოთ ნებისმიერი ორი (მაგალითად A და E). მაშინ დანარჩენი კომპონენტების სისწრაფე ტოლი იქნება შემდეგი ტოლობებისა:

$$v_{rB} = v_{rA} - v_{rE},$$

$$v_{rC} = -v_{rA} - v_{rE},$$


$$v_{rD} = -v_{rA} + v_{rE}.$$

ბოლო დამოკიდებულებების გათვალისწინებით რეაქციის მათემატიკურ აღწერილობას აქვს სახე:

$$\begin{cases} \frac{dC_A}{d\tau} = -k_1 C_A C_B, \\ \frac{dC_E}{d\tau} = k_2 C_C C_B, \\ C_B = C_{B0} + (C_A - C_{A0}) - (C_E - C_{E0}), \\ C_C = C_{C0} - (C_A - C_{A0}) - (C_E - C_{E0}), \\ C_D = C_{D0} - (C_A - C_{A0}) + (C_E - C_{E0}). \end{cases} \quad (16.25)$$

16.1 ნახაზზე მოცემულია მოდელირების შედეგების გრაფიკული სახე მიღებულია კინეტიკური მრუდები  $C_{A0} = 1$  კმოლი/მ<sup>3</sup>;  $C_{A0} = 0,5$  კმოლი/მ<sup>3</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ კომპიუტერის გამოყენების გარეშე გამოთვლები ძალიან მრავალრიცხოვანია, ხოლო კომპიუტერი გვაძლევს საშუალებას ძალიან იოლად და კომპაქტურად, ნებისმიერი ცაწყისი სიჩქარეების პირობებში ავაგოთ კინეტიკური მრუდები.



ნახ.16.1 რეაქციის მოდელირების გრაფიკული სურათი

Matlab -ში (16.25) განტოლებათა სისტემის ამოხსნის პროგრამას შეიძლება მიეცეს შემდეგი სახე:

```

dt=0.001;           % : დროში ინტეგრირების ბიჯი
time=[0:dt:3];     % : დროების მასივი
n=length(time);    % : დროების მასივის განზომილება
% კონცენტრაციის მასივთა შექმნა
Ca=zeros(1,n);
Cb=zeros(1,n);
Cc=zeros(1,n);
Cd=zeros(1,n);
Ce=zeros(1,n);
% საწყისი პირობები
Ca(1)=1;
Cb(1)=0.5;
Cc(1)=0;
Cd(1)=0;
Ce(1)=0;
% რეაქციების სიჩქარეთა მუდმივები
k1=2.24; k2=0.33;
% დიფ. განტოლებების ინტეგრირება ეილერის მეთოდით
for i=2:n
    Ca(i)=Ca(i-1)+dt*(-k1*Ca(i-1)*Cb(i-1));
    Ce(i)=Ce(i-1)+dt*(k2*Cc(i-1)*Cb(i-1));
    Cb(i)=Cb(1)+(Ca(i-1)-Ca(1))-(Ce(i-1)-Ce(1));
    Cc(i)=Cc(1)-(Ca(i-1)-Ca(1))-(Ce(i-1)-Ce(1));
    Cd(i)=Cd(1)-(Ca(i-1)-Ca(1))+(Ce(i-1)-Ce(1));
end
% საბოლოო მრუდების აგება
plot(time,Ca,'k', time,Cb,'b', time,Cc,'r', time,Cd,'g', time,Ce,'m');

```

### 16.7 სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობა

1. ავარტ რეაქციათა სიჩქარეების განტოლებები თითოეული ნივთიერებისთვის (საკონტროლო დავალებები მოცემულია ცხრილებში 16.1 და 16.2).
2. განვხორციელოთ რეაქციის საკვანძო კომპონენტების შერჩევა;
3. შევადგინოთ ქიმიური რეაქციების მათემატიკური აღწერა 2. პუნქტის გათვალისწინებით;
4. განვსაზღვროთ კინეტიკური დამოკიდებულებები რეაქციაში მონაწილე ნივთიერებებისთვის

ცხრ.16.1 დავალებათა საკონტროლო ვარიანტები

№	რეაქციათა აღწერა	№	რეაქციათა აღწერა
1	$A+B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} C+D$ $C+D \xrightarrow{1 \text{ no } C, 1 \text{ no } D, k_2} A+B$ $A+C \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } C, k_3} E$	7	$A+2B \xrightarrow{2 \text{ no } B, k_1} 2C+2D$ $2C+2D \xrightarrow{1 \text{ no } C, 1 \text{ no } D, k_2} A+2B$ $2B+C \xrightarrow{2 \text{ no } B, k_3} E$
2	$2A+B \xrightarrow{2 \text{ no } A, k_1} 2C+D$ $A+2C \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } C, k_2} 2D+E$ $B \xrightarrow{1 \text{ no } B, k_3} E$	8	$A+B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} C+D$ $D+A \xrightarrow{1 \text{ no } D, 1 \text{ no } A, k_2} C+E$ $D \xrightarrow{1 \text{ no } D, k_3} A+B$
3	$2A+B \xrightarrow{2 \text{ no } A, k_1} 2C+D$ $2C+D \xrightarrow{2 \text{ no } C, k_2} 2A+B$ $A+2C \xrightarrow{2 \text{ no } C, k_3} 2E$	9	$A+2B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} 2C+2D$ $2C+2D \xrightarrow{1 \text{ no } C, 1 \text{ no } D, k_2} A+2B$ $2B+C \xrightarrow{2 \text{ no } B, k_3} E$
4	$A+3B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} 2C+D$ $2B \xrightarrow{2 \text{ no } B, k_2} D+2E$ $B+D \xrightarrow{1 \text{ no } B, 1 \text{ no } D, k_3} 2E$	10	$2A+2B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} 2C+D$ $2C+B \xrightarrow{2 \text{ no } C, k_2} E$ $E \xrightarrow{1 \text{ no } E, k_3} 2C+B$
5	$A+2B \xrightarrow{2 \text{ no } B, k_1} C+2D$ $C+2D \xrightarrow{2 \text{ no } D, k_2} A+2B$ $2A+C \xrightarrow{2 \text{ no } A, k_3} 2E$	11	$2A+B \xrightarrow{2 \text{ no } A, k_1} C+2D$ $2A+D \xrightarrow{2 \text{ no } A, k_2} E$ $E \xrightarrow{2 \text{ no } E, k_3} 2A+D$
6	$3A+B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} 2C+D$ $2A \xrightarrow{2 \text{ no } A, k_2} D+2E$ $A+D \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } D, k_3} E$	12	$A+B \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } B, k_1} C+D$ $C+D \xrightarrow{2 \text{ no } C, k_2} A+B$ $A+C \xrightarrow{1 \text{ no } A, 1 \text{ no } C, k_3} E$



16.1 ცხრილის გაგრძელება

№	რეაქციის აღწერა	№	რეაქციის აღწერა
13	$3A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} C+2D$ $3A+D \xrightarrow{2\text{no } A, k_2} E$ $E \xrightarrow{2\text{no } E, k_3} 3A+D$	20	$2A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} C+D$ $C+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_2} D+E$ $C \xrightarrow{2\text{no } C, k_3} 3E$
14	$2A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} 2C+D$ $2C+D \xrightarrow{2\text{no } C, k_2} 2A+B$ $A+2C \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } C, k_3} 2E$	21	$A+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_1} C+2D$ $2C+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_2} 2D+E$ $C \xrightarrow{2\text{no } C, k_3} 2E$
15	$A+B \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } B, k_1} C+D$ $C+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_2} 2E$ $2E \xrightarrow{2\text{no } E, k_3} C+2B$	22	$A+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_1} C+2D$ $2C+B \xrightarrow{2\text{no } C, k_2} 2D+E$ $C \xrightarrow{2\text{no } C, k_3} 2E$
16	$2A+B \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } B, k_1} C+D$ $C+2D \xrightarrow{2\text{no } D, k_2} A+2B$ $2A+C \xrightarrow{2\text{no } A, k_3} 2E$	23	$2A+2B \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } B, k_1} C+2D$ $A+2C \xrightarrow{2\text{no } C, k_2} 2D+E$ $B \xrightarrow{1\text{no } B, k_3} E$
17	$2A+B \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } B, k_1} C+D$ $C+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_2} 2E$ $2E \xrightarrow{2\text{no } E, k_3} C+2B$	24	$2A+2B \xrightarrow{1\text{no } A, 1\text{no } B, k_1} 2C+D$ $A+2C \xrightarrow{2\text{no } C, k_2} 2D+E$ $B \xrightarrow{1\text{no } B, k_3} E$
18	$A+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_1} 2C+2D$ $C+2D \xrightarrow{1\text{no } C, 2\text{no } D, k_2} A+2B$ $2B+C \xrightarrow{2\text{no } B, k_3} 2E$	25	$2A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} 2C+2D$ $B+2D \xrightarrow{2\text{no } D, k_2} C+2E$ $D \xrightarrow{1\text{no } D, k_3} E$
19	$2A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} C+D$ $C+2B \xrightarrow{2\text{no } B, k_2} D+E$ $2C \xrightarrow{2\text{no } C, k_3} 3E$	26	$2A+B \xrightarrow{2\text{no } A, k_1} 2C+D$ $B+2D \xrightarrow{2\text{no } D, k_2} C+2E$ $D \xrightarrow{1\text{no } D, k_3} E$

ცხრ.16.2 საწყისი მონაცემები

№	$C_{\text{ჩრ}} \text{მოლ/მ}^3$	$C_{\text{მზ}} \text{მოლ/მ}^3$	$k_1$	$k_2$	$k_3$
1	2	3	4	5	6
1	2,0	3,0	1,12	0,85	1,74
2	5,0	2,5	1,12	0,85	1,74
3	3,5	2,5	2,65	0,11	0,43
4	3,2	1,6	1,16	1,05	0,72
5	2,4	0,8	1,26	1,00	1,07
6	1,6	2,1	2,25	1,12	0,87
7	0,8	1,4	0,25	0,12	0,87
8	2,0	1,0	1,28	0,25	0,82
9	0,8	0,5	2,14	1,18	0,54
10	3,8	2,5	2,27	0,54	1,47
11	1,6	0,9	2,47	0,87	2,45
12	2,5	1,5	0,23	2,94	1,16
13	1,8	2,0	0,85	1,74	1,15
14	2,0	1,5	0,75	1,65	1,31
15	1,6	1,4	1,25	1,51	2,08
16	2,4	1,2	2,62	0,97	1,28
